3. Беркаль И. В. Особенности голубики обыкновенной (*Vaccinium uliginosum*) и ее практическая значимость в условиях Амурской области. [Электронный ресурс] – Режим доступа до ресурсу: URL: www.esa-conference.ru. (Дата звернення: 5.11.20 р.).
4. Биологические особенности голубики [Электронный ресурс] – Режим доступа до ресурсу: URL: <http://fruit.org.ua/index.php/ru/publikatsii/83-ru-kontent/sluzhebnye-stati/331-golubika-biologicheskie-osobennosti-golubiki>. (Дата звернення: 5.11.20 р.).
5. Экспериментальные исследование сублимационной сушки / Арипов М. М. [и др.]. *Universum : технические науки : электрон. научн. журн.* 2019. № 9 (66).

BLUEBERRY FRUIT: RAW MATERIAL FOR CREATION OF MEDICINES OF WIDE SPECTRUM OF PHARMACOLOGICAL ACTION

BOHUTSKA O. YE., HRABOVA H. L.

National University of Pharmacy, Kharkiv, Ukraine

Abstract

The prospects of using blueberry as a raw material for the creation of drugs with a wide range of pharmacological activity and low toxicity have been proven. As raw materials there can be used fruits, young shoots, leaves and even the bark of the plant. The Department of Pharmaceutical Technology of Drugs of the National University of Pharmacy has developed the composition and technology of the drug based on fresh blueberries. To preserve thermolabile substances containing raw materials (anthocyanins, vitamins, etc.), the drug is



obtained by using freeze-drying. The drug is obtained in the form of a lyophilized powder. Methods of its standardization are currently being developed. The drug from the fruits of blueberries in the form of lyophilized powder can be used alone or in the form of capsules, aqueous and alcoholic solutions, as well as in combination with other drugs.

**მოცვის ნაყოფი: ნედლეული ფარმაკოლოგიური მოქმედების ფართო სპექტრის მქონე პრეპარატებისათვის
ო.ე. ბობუცკა, ხ.ლ. ჰრაბოვა
ფარმაციის ეროვნული უნივერსიტეტი. ხარკოვი. უკრაინა
რეზიუმე**

დამტკიცებულია, რომ მოცვი პერსპექტიული ნედლეულია მოქმედების ფართო სპექტრის პრეპარატების შესაქმნელად და გამოირჩევა მცირე ტოქსიკურობით. ნედლეულად შეიძლება გამოვიყენოთ ნაყოფები, ყლორტები, ფოთლები და მცენარის ქერქიც კი. ფარმაციის ეროვნული უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის კათედრაზე შემუშავებული იქნა ნედლი მოცვისაგან პრეპარატის შემადგენლობა და ტექნოლოგია.

ნედლეულში არსებული თერმოლაბილური ნივთიერებების (ანტოციანიდების, ვიტამინებისა და სხვათა) შენარჩუნებისათვის პრეპარატის მიღება ხდება სუბლიმაციური შრობით. გამოშვებულია ლიოფილიზებული ფხვნილის სახით. ამჟამად მუშავდება მისი სტანდარტიზაციის მეთოდები. მოცვისგან მიღებული პრეპარატი, ლიოფილიზებული ფხვნილის სახით, შეიძლება მიღებული იქნას ცალკე ან კაფსულების სახით, წყლიანი და სპირტიანი ხსნარების სახით, ასევე სხვა სამკურნალო ნივთიერებებთან შერყმული სახით.

თანამედროვე ფარმაცია
მეცნიერება და პრაქტიკა



DEVELOPMENT OF A PHYTOMEDICINE FOR GASTRIC ULCER TREATMENT

I. S. KONOVALENKO, T. YU. PAKHOMOVA, L. I. VISHNEVSKA
National University of Pharmacy, Kharkiv, Ukraine

This article discusses modern new approaches to rational use phytomedicines for the treatment of disease gastrointestinal tract. The use of groups of medicinal plants for the treatment of diseases of the digestive system is substantiated on the basis of the dependence "active substance - pharmacological action". In the context of this nosological spectrum, the most important types of medicinal plant raw materials are considered from the point of view of modern information regarding the chemical composition and pharmacological action. Importance shown the principle of safety as one of the most important principles of evidence-based medicine. This article will help specialists make scientifically sound choices medicinal plants and phytomedicines on their basis in clinical practice.

The prevention and cure of diseases of the digestive system are the most important medical problems. As the main causes of disease of gastrointestinal tract usually point out such interconnection endogenous and exogenous factors, as disorder of neurohumoral and endocrine regulation of secretory and digestive processes, a bacterial infection, long-term using of some medicines (so-called «medicine gastritis»), inconsistent and poor nutrition, neuro-emotional overstress, poor quality of food products and others [1]. As a rule, disturbances of the digestive system are characterized by the involvement of this pathological process of anatomically and functionally related systems and organs [2, 3]. In this way, therapy in gastrointestinal practice usually include medicines, that are directly influenced on secretory, gastric evacuation and digestive functions, on intestinal microflora for normalization and also on excretory activity of the pancreas and liver [4, 5]. A specific feature of phytotherapy is that it's difficult to mark out the pharmacological group of medicinal plant in comparison with synthetic medicines [6].

Flavonoids occupy a special place in phytotherapy of inflammatory diseases of the gastrointestinal tract. Flavonoids have biological properties that are necessary for the manifestation of beneficial effects in diseases of the digestive system: anti-inflammatory [7, 8], hepatoprotective [9, 10], anti-ulcer [11], anti-diabetic [12, 13], hypolipidemic [14, 15], immunotropic [16], antimicrobial [17], antiviral, antitumor, antispasmodic, choleric [18] effect. Flavonoids enter the body by transport through the epithelial cells of the gastrointestinal tract, undergo metabolic transformation in the intestinal epithelium and liver, including methylation of hydroxyl groups, sulfates, reduction of carboxyl groups, conjugation with glucuronic acid.

The effectiveness of any pharmacotherapy is due to its ability to influence the factors that cause the disease (etiotropic therapy), to intervene in certain phases of the pathological process (pathogenetic therapy), to eliminate the symptoms that accompany the disease (symptomatic therapy). In view of this, in order to develop the composition of the drug, we analyzed the common factors influencing the basis of both pathologies on the pathogenetic links of disease development.

Etiotropic phytotherapy of stomach ulcer is usually aimed at the following processes: mucus-forming action (marigold flowers, plantain leaves); antiulcer activity (coriander fruits, dried marsh grass); strengthening the body with vitamin preparations: the fruits of sea buckthorn.

For pathogenetic phytotherapy use: medicinal plants with anti-inflammatory activity (leaves of plantain); drugs with antispasmodic and myotropic action (marigold flowers, marsh dried flowers).

Symptomatic phytotherapy is aimed at: normalization of digestion and increase in the formation of mucus (marigold flowers, plantain leaves).

Based on the frequency of references in the literature of medicinal plant raw materials with the actual types of action for the above pathologies for further research and development of the drug were



taken: *marigold flowers, plantain leaves, marsh dried flowers, coriander seeds, sea buckthorn fruits*. Based on the analysis of literature data, a selection of medical plant material species with appropriate pharmacotherapeutic effects required in the treatment of peptic ulcer and duodenal ulcer [19] (Table 1).

Research of quality indicators of raw materials is an important stage of drug development, as a result of which the studied drug is developed, the process of identification and unification takes place. That is why the necessary stage of development and research of the collection is the identification and determination of quality indicators of the components that are part of it. The results of tests of medical plant materials, which were conducted according to the methods of the State Pharmacopoeia of Ukraine (SPhU) (Table 2) [22].

Table 1

The choice of components for the anti-ulcer collection of medical plant materials

Pharmacological properties	Medical plant materials	References
Mucus-forming	marigold flowers medicinal, plantain leaves large	[20]
Myotropic, antispasmodic	marigold flowers medicinal, dried marsh grass	[21, 20]
Anti-inflammatory	plantain leaves large	[21, 20]
Wound healing	sea buckthorn fruits, marigold flowers medicinal, plantain leaves large	[21, 20]
Antiulcer	coriander seeds, dried marsh grass	[20]
Vitamin	sea buckthorn fruits, marigold flowers medicinal	[21, 20]

Table 2

Research of medicinal plant materials for the developed collection (n = 5, P = 95%)

Medicinal plant materials	Indicators, dimension	Research results	Norm for SPhU
Marigold Flowers	Weight loss during drying, %	10,2 ± 0, 1	not ≤ 12,0
	Common ash, %	7,5 ± 0, 2	not ≤ 10,0
	Ash insoluble in HCl, %	2,7 ± 0, 3	not ≤ 5,0
Plantain leaves	Weight loss during drying, %	11,7 ± 0, 1	not ≤ 14,0
	Common ash, %	15,5 ± 0, 2	not ≤ 20,0
	Ash insoluble in HCl, %	3,2 ± 0, 3	not ≤ 6,0
Sea buckthorn fruits	Weight loss during drying, %	68,1 ± 0, 1	not ≤ 87,0
	Common ash, %	0,2 ± 0, 2	not ≤ 1,0
	Ash insoluble in HCl, %	1,2 ± 0, 1	–
Coriander fruits	Weight loss during drying, %	8,1 ± 0, 1	not ≤ 10,0
	Common ash, %	5,3 ± 0, 3	not ≤ 8,0
	Ash insoluble in HCl, %	1,1 ± 0, 1	–
Marsh cudweed grass	Weight loss during drying, %	11,1 ± 0, 1	not ≤ 13,0
	Common ash, %	15,7 ± 0, 3	not ≤ 20,0
	Ash insoluble in HCl, %	4,3 ± 0, 3	not ≤ 10,0

Notes: "-" - values are not given






The study of the collection of antiulcer with the naked eye shows that the collection is a mixture of inhomogeneous particles of light yellow with orange, light yellow, orange-yellow, bright yellow, green, greenish-gray, reddish-black, brown-red, dark- brown, black specks. The results of morphological



and anatomical study of medicinal plant raw materials included in the antiulcer collection are given in Table 3.

Table 3

Identification of medicinal plant raw materials that are part of the developed collection

Medicinal plant materials	Identification	Diagnostic characteristics, photo
Marigold Flowers	1. Ligulate flowers lanceolate with a curved short-tube. 2. Parts of tubular flowers, orange-yellow, bright yellow. 3. Pieces of leaves wrapped in green, greenish-gray.	
Plantain leaves	1. Scraps of green leaf, brown-green color with pronounced veins on the underside of the leaf. 2. Prominent two or three-celled veins.	
Sea buckthorn Fruits	1. Pieces of bright yellow, yellow-orange fruit that leave greasy marks on the paper. 2. Pieces of seeds of gray-black, black color.	
Coriander Fruits	1. Pieces of fruit spherical, yellowish-brown or grayish-brown. 2. A pronounced diagnostic sign is noticeable straight and tortuous ribs.	
<i>Continuation of Table 3</i>		
Marsh cudweed grass	1. Pieces of leaves, stems, inflorescences gray-felt-pubescent, with yellowish patches of flowers.	



At research of collecting an antiulcer under a magnifying glass and a microscope it is visible: pieces of reed flowers of a lanceolate form, orange, yellow, light yellow color, with the bent short-filled tube; parts of tubular flowers, orange-yellow, bright yellow; pieces of green, greenish-gray wrapper leaves (marigold flowers); scraps of green, brown-green leaves with pronounced veins on the underside of the leaf (plantain leaves); pieces of leaves, stems, inflorescences gray-pubescent, with yellowish streaks of flowers (dried flowers); pieces of bright yellow, yellow-orange fruits that leave greasy marks on the paper, pieces of gray-black, black seeds (sea buckthorn fruits); pieces of fruit spherical, yellowish-brown or grayish-brown, sometimes with visible from the surface alternating straight and tortuous ribs (coriander fruit).

Thus, the consideration of medicinal plants used in the treatment of diseases of the gastrointestinal tract, from the standpoint of the relationship "biologically active compound - pharmacological activity" taking into account complexity of therapeutic action of medicinal plant materials allows to carry out rational phytotherapy.

References

1. Yang JC, Lu CW, Lin CJ. Treatment of *Helicobacter pylori* infection: current status and future concepts. *World J Gastroenterol*. 2014 May 14;20(18):5283-93. doi: 10.3748/wjg.v20.i18.5283. PMID: 24833858; PMCID: PMC4017043.
2. Vitor JM, Vale FF. Alternative therapies for *Helicobacter pylori*: probiotics and phytomedicine. *FEMS Immunol Med Microbiol*. 2011 Nov;63(2):153-64. doi: 10.1111/j.1574-695X.2011.00865.x. PMID: 22077218.
3. Bagheri SM, Zare-Mohazabieh F, Momeni-Asl H, Yadegari M, Mirjalili A, Anvari M. Antiulcer and hepatoprotective effects of aqueous extract of *Plantago ovata* seed on indomethacin-ulcerated rats. *Biomed J*. 2018 Feb;41(1):41-45. doi: 10.1016/j.bj.2018.01.001. Epub 2018 Apr 7. PMID: 29673551; PMCID: PMC6138616.
4. Huff NK, Auer AD, Garza F Jr, Keowen ML, Kearney MT, McMullin RB, Andrews FM. Effect of sea buckthorn berries and pulp in a liquid emulsion on gastric ulcer scores and gastric juice pH in horses. *J Vet Intern Med*. 2012 Sep-Oct;26(5):1186-91. doi: 10.1111/j.1939-1676.2012.00975.x. Epub 2012 Jul 28. PMID: 22845737.
5. Xu X, Xie B, Pan S, Liu L, Wang Y, Chen C. Effects of sea buckthorn procyanidins on healing of acetic acid-induced lesions in the rat stomach. *Asia Pac J Clin Nutr*. 2007;16 Suppl 1:234-8. PMID: 17392110.
6. Burkova VN, Boev SG, Vengerovskii AI, Iudina NV, Arbuzov AG. [Gastroprotective action of the nettle extract in experimental peptic ulcer]. *Eksp Klin Farmakol*. 2011;74(1):24-7. Russian. PMID: 21476271.
7. Rotelli, A.E. Comparative study of flavonoids in experimental models of inflammation / A.E. Rotelli, T. Guardia, A.O. Juarez et al. // *Pharmacological Research*. – 2003. – Vol. 48. – P. 601 - 606.
8. Sandhar, H.K. A review of chemistry and pharmacology of flavonoids / H.K. Sandhar, B. Kumar, S. Pracher, P. Uvani, M. Salhan, P. Sharma // *Int. Phar., Sci.* - 2011. - Vol. 1. - P. 25-41.
9. Чернов, Ю.Н. Полифенольные соединения: структура, свойства и прикладные аспекты применения / Ю.Н. Чернов, А.В. Бузлама, Ю.М. Дронова // *Фарматека*. – 2004. – № 8 (86). – С. 43 - 48.
10. Jadeja, R.N. Polyphenols and flavonoids in controlling non-alcoholic steatohepatitis / R.N. Jadeja, R.V. Devkar // *Polyphenols in human health and disease*. – 2014. – Vol. 1. – P. 615 - 623.
11. Sumbul, S. Role of phenolic compounds in peptic ulcer: An overview (Review) / S. Sumbul, M.A. Ahmad, M. Asif, M. Akhtar // *J. of Pharmacy and Bioallied Sciences*. – 2011. – Vol. 3 (3). – P. 361 - 367.
12. Babenko, N.A. Effects of *Chamomilla recutita* flavonoids on age-related liver sphingolipid turnover in rats / N.A. Babenko, E.G. Shakhova // *Experimental Gerontology*. – 2006. – Vol. 41. – P. 32-39.
13. Mohan, S. Role of various flavonoids: hypothese on novel approach to treat diabetes / S. Mohan, L. Nandhakumar // *Journal of Medicinal Hypotheses and Ideas*. – 2014. – Vol. 8. – P. 1 - 6.
14. Bansode, R.R. Bioavailability of popyphenols from peanut skin extract associated with plasma lipid lowering function / R.R. Bansode, P. Randolph, M. Ahmedna et al. // *Food Chemistry*. – 2014. – Vol. 148. – P. 24-29.
15. Unnikrishnan, M.K. Antidiabetic, antihyperlipidemic and antioxidant effects of the flavonoids / M.K. Unnikrishnan, V. Veerapur, Y. Nayak et al. // *Polyphenols in Human Health and Disease*. – 2014. – Vol. 1. – Chapter 13. – P. 143 - 161.



16. Gonzalez-Gallego, J. Anti-inflammatory and immunomodulatory properties of dietary flavonoids / J. González - Gallego, M.V. García - Mediavilla, S. Sánchez - Campos, M.J. Tuñón // Polyphenols in Human Health and Disease. – 2014. – Vol. 1. – Chapter 32. – P. 435 - 452.
17. Iranshahi, M. Protective effects of flavonoids against microbes and toxins: the cases of hesperidin and hesperetin / M. Iranshahi // Life Sciences. – 2015. – Vol. 137. – P. 125 - 132.
18. Havsteen, B.H. The biochemistry and medical significance of the flavonoids / B.H. Havsteen / Pharmacology & Therapeutics. – 2002. – Vol. 96. – P. 67-202.
19. Мурашко Н. К. Перспективы использования лекарственных растений при оказании помощи пациентам с болевым синдромом. *Медицина газета «Здоров'я України»*. 2013. № 15–16 (316–317). С. 42–43.
20. Соколов, С.Я. Справочник по лекарственным растениям (фитотерапия) / С.Я. Соколов, И.П. Замотаев. – М.: Медицина, 1988. – 464 с.
21. Николаева, Г.Г. Фитохимическое исследование растений семейства Горечавковых флоры Сибири: дис. ... д-ра фарм. наук: 15.00.02. / Николаева Галина Григорьевна. - М., 2000. – С. 331.
22. Державна Фармакопея України: в 3 т. / Державне підприємство «Український науковий фармакопейний центр якості лікарських засобів». 2-е вид. Харків : Державне підприємство «Український науковий фармакопейний центр якості лікарських засобів», 2015. Т. 1. 1128 с.

DEVELOPMENT OF A PHYTOMEDICINE FOR GASTRIC ULCER TREATMENT
I. S. KONOVALENKO, T. YU. PAKHOMOVA, L. I. VISHNEVSKA
National University of Pharmacy, Kharkiv, Ukraine
ABSTRACT

Phytomedicines taken «per os» work by medical act in the place of delivery. Phytopharmaceuticals reveal total therapeutic effect, in which necessarily highlighted the main pharmacological activity. By the way, it is very important to show such characteristics of phytomedicines as the mildness of phytopharmaceutical activity, ability to prolongation of the therapeutic effect of synthetics medicines. Special significance of medicinal plants is relative safety that is very actual in long-term using for chronic diseases. In the light of above, we can identify the most important group of medicinal plants, which are used in the treatment of diseases of the digestive system: anti-microbial, anti-inflammatory, enveloping, regenerating (anti-ulcer, wound healing), spasmolytic, cholagogue, laxative, astringent, hemostatic, hepatoprotective and bitterness. Based on the frequency of references in the literature of medicinal plant raw materials with the actual types of action for the above pathologies for further research and development of the drug were taken: marigold flowers, plantain leaves, marsh dried flowers, coriander seeds, sea buckthorn fruits.

ფიტოკრეპარატის შემუშავება კუჭის წყლულის სამკურნალოდ
ი. ს. კონოვალენკო, ტ. ი. პახომოვა, ლ. ი. ვიშნევსკა
ფარმაციის ეროვნული უნივერსიტეტი, ხარკოვი, უკრაინა
რეზიუმე

სტატიაში განხილულია ფიტომედიცინების რაციონალური გამოყენების თანამედროვე ახალი მიდგომები საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადების სამკურნალოდ. საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების სამკურნალოდ სამკურნალო მცენარეების ჯგუფების გამოყენება ეყრდნობა დამოკიდებულებას "აქტიური ნივთიერება - ფარმაცოლოგიური მოქმედება". ამ ნოზოლოგიური სპექტრის კონტექსტში განხილული სამკურნალო მცენარეული ნედლეულის მნიშვნელოვანი სახეობები განიხილება ქიმიური შემადგენლობისა და ფარმაცოლოგიური მოქმედების შესახებ თანამედროვე ინფორმაციის თვალსაზრისით. ნაჩვენებია უსაფრთხოების პრინციპის, როგორც მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპის, მნიშვნელობა. სტატია დაეხმარება სპეციალისტებს სამკურნალო მცენარეებისა და მათ საფუძველზე ფიტომედიცინის საშუალებების მეცნიერულად დასაბუთებული არჩევანის გაკეთებაში კლინიკურ პრაქტიკაში.



იმერეთში მოზარდი ბალახოვანი მცენარეებისა და
ხილ-კენკროვანთა ნაყოფის გამოყენება არომატიზებული
სასმელების წარმოებაში

ტყემალაძე გუჩამი, დემეტრაშვილი მარინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ქიმიის მძლავრ განვითარებასთან ერთად, რიგ შემთხვევაში შეინიშნება სერიოზული უარყოფითი შედეგები. ხდება ადამიანის ორგანიზმში ტოქსიკური ნივთიერებების დაგროვება დაა შინაგანი ორგანოების დაზიანება. სამკურნალო ბალახოვანი მცენარეების საფუძველზე შექმნილი ნაყენები ხალხური მედიცინის პირველწყაროს წარმოადგენს და ფართოდ გამოიყენება ადამიანის ორგანიზმიდან არასასურველი ტოქსინების გამოდევნის მიზნით.

იმერეთის აგროეკოლოგიურ გარემოში ბუნებრივად მოზარდი ბალახოვანი მცენარეებისა და ხილ-კენკროვანთა ნაყოფი ხასიათდება მაღალი ბიოლოგიური თვისებებით. ისინი წარმოადგენს ანტიოქსიდანტების, შეუცვლელი ამინომჟავების, მიკრო- და მაკროელემენტების მნიშვნელოვან ბუნებრივ წყაროს. კვლევის ფარგლებში, არომატიზირებული ღვინოების დასამზადებლად გამოყენებული იქნა შემდეგი ნედლეული: შავბალახა, ბარამბო, კრაზანა, კუნელი, კულმუხო, კოთხუჯი, ტყის შინდი, ტყის მაცვალი, კუნელი, ქლიავი, მოცხარი, კივი, ლეღვი და ქაცვი. საქართველოში გავრცელებული წითელი და თეთრი ჯიშის ყურძნის საფერავის, პინოსა და რქაწითელის ღვინომასალაზე შესწავლილი მცენარეების სპირტნაყენების გამოყენებამ არომატიზირებული სასმელების მისაღებად, გვიჩვენა რომ, გამოირჩევა საუკეთესო გემური თვისებებით, სასიამოვნო არომატითა და ახალი პროდუქტის მიმზიდველი ვიზუალით.

USE OF HERBACEOUS PLANTS, FRUITS AND BERRIES GROWING IN IMERETI FOR THE
PRODUCTION OF AROMATIC DRINKS
TKEMALADZE G. DEMETRASHVILI M.
Georgian Technical University
ABSTRACT

With the rapid development of household and medicinal chemicals, in some cases, serious negative consequences are being observed. Toxic substances start to accumulate inside human body and damaging internal organs. medicinal plants based tinctures are the foundation of traditional medicine and are widely used to expel unwanted toxins from the human body.

In the agro-ecological environment of Imereti, the fruits of naturally growing herbaceous plants, as well as fruits and berries, are characterized with high biological properties. They are an important natural source of antioxidants, essential amino acids, micro and macro elements. The study used the following raw materials to make flavored wines: *Leonurum*, *Lemon balm*, *Perforate St John's-wort*, *Hawthorn*, *Elecampane*, *Calamus medicinal plant*, *Dogwood*, *Raspberry etc.*. It has been shown that the use of alcohols of red and white varieties of Saperavi, Pino and Rkatsiteli grapes, in Georgia-studied production of flavored drinks, gives the best taste, pleasant aroma and attractive appearance to the new product.



ფიტოთერაპიის როლი ბავშვთა სტომატოლოგიაში დაავადებათა პროფილაქტიკასა და მკურნალობაში

ირმა ხუჯაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოცემული ნაშრომი ეძღვნება ფიტოთერაპიის როლს ბავშვთა სტომატოლოგიაში და ზოგადად მისი გამოყენების ისტორიას. ნიშანდობლივია, რომ სამკურნალო ფიტო საშუალებები იყო ერთადერთი საშუალება, მთელი რიგი სტომატოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ და ის ახლაც ძალიან აქტუალურია სტომატოლოგიაში. როგორც ერთ-ერთი საშუალება ან სინთეზურ პრეპარატებთან კომბინაციაში. ამას გარდა ჩვენს მიერ შერჩეულია საქართველოს ბიომრავალფეროვანი ფლორიდან შედარებით ეკონომიურად ხელმისაწვდომი ნედლეული და მოწოდებულია მათი გამოყენების სფერო, როგორც საპროფილაქტიკო ისე სამკურნალო გამოყენებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის პირის ღრუ, არის ბაქტერიებისა და ვირუსების ცხოვრების შესანიშნავი გარემო. მათთვის ადამიანის პირის ღრუში წარმოუდგენლად კომფორტული გარემოა. მათთვის ის არის თბილი ნოტიო და საკვებით მდიდარი. მაშინ როდესაც ადამიანი სისუსტეს გამოიჩენს და განუწყვეტელი ჰიგიენური ომის დროს რამდენჯერმე გამოტოვებს კბილების გახეხვას პროცედურას სწორედ მაშინვე ჩნდება ბაქტერიების ხელსაყრელი პირობები. რომელსაც შემდგომში მოზღვევს შემდეგი სიმპტომები: სუნი პირის ღრუდან, ნადები, ღრძილების სიწითლე სისხლდენა და ა.შ უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლაში ადამიანს გააჩნია ეფექტური ფარმაცევტული პროდუქტების მთელი არსენალი, რომელიც არასოდეს წყვეტს ახალი პროდუქტების შევსებას. ანტიბიოტიკები, ანტისეპტიკები, იმუნომოდულატორები და სხვა მრავალი. ისინი შესანიშნავად ანადგურებენ მავნე ბაქტერიებს. ათავისუფლებენ ანთებით კერას და ასტიმულირებენ იმუნურ სისტემას. მკურნალობის დროს ექიმი სტომატოლოგი ინდივიდუალურად განსაზღვრავს და ირჩევს ყველაზე ეფექტურ გზას თითოეულ პაციენტზე ინდივიდუალურად. კრიზისის დასრულების შემდეგ აუცილებელია ადამიანმა შეინარჩუნოს პირის ღრუს ნორმალური ჰიგიენური მდგომარეობა. სინთეზური პრეპარატები არ არიან რეკომენდირებული ხანგრძლივი გამოყენებისთვის, რადგან ისინი მავნე ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელ მიკროფლორაზე. რომელიც ქმნის ჩვენს პირის ღრუში ბუნებრივ გარემოს. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ფარმაცევტულ ბაზარზე არსებობს უამრავი საკვები საშუალებები რომლის მოქმედება მიმართულია ზუსტად ამ მიზანზე. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ეს პრობლემა. ამიტომ ჩვენს დასახმარებლად ჩქარობს ეფექტური მცენარეული მედიცინა ანუ ფიტოთერაპია. სამკურნალო მცენარეები წარმატებით უმკლავდებიან ყველა იმ გამოწვევას, რომელიც დგას დღეს სტომატოლოგიის იმ დარგში, რომელიც შეისწავლის პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებებს.

სტომატოლოგიაში ფიტოთერაპია გამოიყენებოდა მედიცინის დაარსების დღიდან და დღემდე არის მნიშვნელოვანი მეთოდი სტომატოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. დიდი ხნის განმავლობაში სტომატოლოგების არსენალში არსებობდა მხოლოდ მცენარეული მედიკამენტები, რომლებიც გამოიყენებოდა მრავალი პათოლოგიის სამკურნალოდ. დროის უზარმაზარი პერიოდის განმავლობაში სტომატოლოგიურმა პრაქტიკამ, მათ შორის, ბავშვთა პრაქტიკის ჩათვლით. დააგროვა მართლაც კოლოსალური გამოცდილება მცენარეული სამკუ-



რენალო საშუალებების ეფექტურობასთან დაკავშირებით. ფარმაციის მეცნიერების ფიტოთერაპიის დარგი, არის რეალურად უკიდურესად დიდი შესაძლებლობების მქონე ნაწილი. იმიტომ რომ კონკრეტულ მცენარეებს აქვს ფართო სპექტრის სამკურნალო თვისებები: ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიოსტატიკული, იმუნომასტიმულირებელი და ა.შ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მცენარეებს შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს რეციდივის ალბათობა და ზოგჯერ უზრუნველყოფს ხანგრძლივ რემისიას. წარმატების ფაქტორებია, სწორედ შერჩეული მცენარეები და მათი გამოყენების რეგულირება. სტომატოლოგიაში როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ფიტოთერაპია ძირითადად გამოიყენება პირის ღრუსა და ლორწოვანი გარსის დაავადებების სამკურნალოდ როგორც მოზრდილებში, ისე ბავშვებშიც.

ბავშვთა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში დაგროვდა საკმარისი გამოცდილება, სამკურნალო მცენარეების გამოყენებაში. სხვადასხვა სახის პათოლოგიების სამკურნალოდ. ფიტოთერაპია სტომატოლოგიაში გამოიყენება მედიცინის დაარსების დღიდან და დღემდე არის მნიშვნელოვანი მეთოდი სტომატოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. დიდი ხნის განმავლობაში სტომატოლოგების არსენალში არსებობდა მხოლოდ მცენარეული მედიკამენტები, რომლებიც გამოიყენება მრავალი პათოლოგიის სამკურნალოდ. დიდი ყურადღება ექცევა გარკვეული მცენარეული მედიკამენტების გამოყენებას ისეთი დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის დროს, როგორც კარიესი, პაროდონტიტი, გინგივიტი. ბავშვებში როგორც აღინიშნა პირის ღრუს სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება მრავალი სამკურნალო მცენარე და მათი კომბინაციის კიდევ უფრო მეტი რაოდენობა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცენარეული მედიცინა სინთეზური წამლების გამოყენებისგან განსხვავებით უვნებელია დაბალტოქსიკურია და იშვიათად იძლევა ალერგიულ რეაქციებს. ვინაიდან მცენარეები შეიცავენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს როგორცაა ვიტამინები, ფიტოჰორმონები, ფიტონციდები ალკალოიდები, ქლორიფილები, მიკროელემენტები ცხიმოვანი და ეთერზეთები. ისინი ასტიმულირებენ მეტაბოლურ პროცესებს. ანორმალიზებენ ჰომეოსტაზს და ზრდის იმუნიტეტს. ამას გარდა მათ აქვთ ტკივილგამაყუჩებელი კერატოპლასტიკური თვისებებიც.

სტომატოლოგიაში გამოყენებული ფიტოსაშუალებები შეიძლება დაიყოს 2 ჯგუფად:

1. ნაყენები, ექსტრაქტები (წყალ-სპირტიანი და ზეთოვანი)
2. ფიტოპასტები, ფიტოპარაფინები, ფიტომალამოები და ა.შ.

პირველი ჯგუფის პრეპარატები განკუთვნილია სავლებად და აპლიკაციებისათვის სახლის პირობებში. ისინი დიდი ხნით არ ინახება და მცირე ხნით მოქმედებენ პაროდონტის ქსოვილზე. მეორე ჯგუფს იყენებენ წასასმელად და აპლიკაციებად, განსაკუთრებით ბავშვთა სტომატოლოგიურ პოლიკლინიკების პირობებში. მათ, როგორც წესი, ამზადებს თვითონ ექიმი ან სპეციალურად მომზადებული მედპერსონალი. ყველაზე ხშირად სტომატოლოგიაში მცენარეული პრეპარატები გამოიყენება შემკვრელ და მთრთიმლავ საშუალებებად. ეს თვისებები გააჩნია მურყნის, მუხის, არყის კვირტებს, სალბის ქერქს. მათი გამოყენება იწვევს სისხლდენის შემცირებას, ანთების, ტკივილის მგრძობელობის დაქვეითებას. როგორც ფუნგიციდური საშუალებები, გამოიყენება როგორცაა კოჭა, კალამუსი, კელპი. კარიესის მკურნალობაში და პროფილაქტიკაში ალოე, ანისული, ევკალიპტი, ქრისტესისხლა, ტირიფი, გულყვითელა, ჭინჭარი გამოიყენება პაროდონტიტის, გინგივიტისა და სტომატიტის სამ-



კურნალოდ.

სტომატოლოგიურ პრაქტიკაში სამკურნალო მცენარეების გამოყენების თერაპიული ეფექტი განისაზღვრება მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (BAS) შემცველობით, რომელთა რაოდენობა პირდაპირ დამოკიდებულია მათი წარმოების მეთოდზე, ანუ მათი მოპოვების მეთოდები- ნაყენი, გამონაცემები და მონახარშები, რომლებიც წარმოადგენენ წყლიან ექსტრაქტებს სამკურნალო მცენარეული ნედლეულიდან, საშუალებას იძლევიან მცენარეთაგან გამოიყოს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების 20% -მდე.

ფარმაკოლოგიის სფეროში ბოლოდროინდელი მოვლენები საშუალებას გვაძლევენ მივიღოთ სამკურნალო მცენარეების ექსტრაქტები, რომლებიც შეიცავს მშრალ მცენარეულ ნედლეულში 98% -მდე ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას, გამოიყოფა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების საჭირო ჯგუფები სამკურნალო მცენარეებიდან გარკვეული თერაპიული ეფექტით, მიიღება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ბალასტური ნივთიერებებისა და მიკროორგანიზმების გარეშე. მცენარეული მედიკამენტები გამოიყენება პედაიატრიულ სტომატოლოგიურ პრაქტიკაში სხვადასხვა მეთოდების მიხედვით, როგორცაა პირის ღრუს გამოორეცხვა, პირის ღრუს აბაზანები, პირის ღრუს და პაროდონტის ჯიბეების დამუშავება.

სტატისტიკის თანახმად, კარიესი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა დედამიწაზე, მისი პათოგენეზი ბოლომდე არ არის დადგენილი. კარიესული პროცესის ეტიოლოგიური ფაქტორები (ორგანოებისა და სისტემების დისფუნქცია, კბილის ბალთა და მისი უარყოფითი გავლენა კბილების ქსოვილებზე ბაქტერიებით, ფერმენტებით, მჟავებით, პოლისაქარიდებით, ნერწყვის ორგანული და მინერალური შემადგენლობით, მისი pH. ფიტოტერაპია საშუალებას გვაძლევს გავლენა მოვხდინოთ მათზე. ცნობილია, რომ არსებობს გარკვეული დამოკიდებულება კარიესულ პროცესსა და ორგანიზმში ნახშირწყლების ცვლის მდგომარეობაზე. მაგალითად, მისი ინტენსივობა იზრდება შაქრიანი დიაბეტის საწყის ეტაპებზე და იკლებს დარღვევების გამოსწორებისას, დიეტის დაცვით და ინსულინის შეყვანით. ასეთ ვითარებაში მცენარეული მედიკამენტები გამოიყენება თერაპიული მიზნებისათვის, რომლებიც გავლენას ახდენენ პანკრეასის დაქვეითებულ ფუნქციაზე დაავადების საწყის პერიოდში (კულმუხოს ტუბერები და ფესვები, ბაბუაწვერა, ვარდკაჭაჭა). მოცვის ფოთლების მონახარში ინსულინის მსგავსად მოქმედებს პანკრეასის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ანალოგიურ ეფექტს ახდენს ასისტავას ბალახი.

კარიესოგენული ვითარება ბავშვებში ასევე გვხვდება B1 ჰიპოვიტამინოზის თანკბილვის შეცვლის დროს, რომელსაც თან ახლავს პროტეოლიზის მომატება, რაც ხელს უწყობს მყარი სტომატოლოგიური ქსოვილების დემინერალიზაციას. ამიტომ ლუდის საფუარი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც B1 ჰიპოვიტამინოზის ერთ-ერთ სამკურნალო საშუალებას. ცნობილია, რომ ბუნებრივი კვება კარიესის (და სალექი აპარატის დაავადებების) პროფილაქტიკის ერთ-ერთი ღონისძიებაა. ზოგჯერ ბუნებრივი კვება რთული დაბალი ლაქტაციის გამო, რომლის გასაუმჯობესებლად ფარსმანდუკის ბალახზე დაფუძნებულ პრეპარატები ინიშნება. აუცილებელია ყურადღება უნდა მიექცეს ანტენატალურ პერიოდში კარიესის პროფილაქტიკას, კბილის ქსოვილის რეზისტენტობის გაზრდის მიზნით. კბილების ქსოვილები ორგანული ნაწილის ფორმირებაში C ვიტამინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ცნობილია, რომ ორსულ ქალებში C ვიტამინის საჭიროება იზრდება 75-100 მგ დღეში. იმის უზრუნველსაყოფად, სასურველია ორსულებს დაუნიშნოთ ვარდის ნაყენი, რომლის მშრალი ნაყოფი შეი-



ცავს 2,46-5,2% ასკორბინის მჟავას.

კარიესის პროფილაქტიკის ღონისძიებებს შორის ასევე მნიშვნელოვანია სრულფასოვანი რაციონალური დიეტის ჩატარება, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმში არსებითი მიკროელემენტების კომპლექსი. ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით ფტორი, ნიკელი, კობალტი, სპილენძი, ვერცხლი, ვანადიუმი, რკინა, მოლიბდენი, ხელს უწყობს კბილების მყარი ქსოვილების გაძლიერებას და გარკვეულ წილად ამცირებს კარიესის შემთხვევებს.

პაროდონტიტი - არის პაროდონტის ქსოვილების ანთებითი დაავადება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ადამიანთა 80% -ზე მეტს აწუხებს ეს დაავადება, ბოლო წლებში კი პერიოდონტიტი იმდენად „ახალგაზრდულია“, რომ ბევრს აწუხებს უკვე 12-17 წლის ასაკში. პაროდონტიტის განვითარების მრავალი მიზეზი არსებობს. ეს არის პირის ღრუს ჰიგიენა, არაჯანსაღი დიეტა, ვიტამინების ქრონიკული ნაკლებობა, იმუნიტეტის დაქვეითება, გენეტიკური მიდრეკილება, სტრესი, ნევროზები, ცუდი ეკოლოგია და სხვა. ამ დაავადების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვებში კბილების ნადების არსებობა, რომლებიც ფაქტიურად ივსება პათოგენური მიკრობებით და ღრძილებსაც კი მექანიკურად აღიზიანებს. გარდა ამისა, ყველამ იცის, რომ ტკბილეული აფუჭებს კბილებს, რადგან შაქარი არის პათოგენების ერთგვარი ნაყოფიერი საფუძველი. პირს შორის პაროდონტის ქსოვილები და შინაგანი ორგანოების ფუნქციური მდგომარეობა: კუჭი, ნაწლავები, ღვიძლი, პანკრეასის ჯირკვალი, გული - ახლო ურთიერთობაშია. განსაკუთრებული ურთიერთობა არსებობს ღრძილებსა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტს შორის. მაგალითად, ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ლეიკოციტები (ესენია სისხლის ძირითადი უჯრედები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ორგანიზმის თავდაცვაზე) ყველაზე ხშირად არსებობენ ღრძილებში. ამიტომ, რაც უფრო ჯანმრთელია ღრძილები, მით ჯანმრთელია სხეული. შემთხვევითი არ არის, რომ ადრეულ პერიოდონტიტთან ერთად ხშირად აღინიშნება სხეულის ზოგადი აშლილობის ნიშნები: დისბიოზი, იმუნიტეტის დაქვეითება, ინტოქსიკაცია, საჭმლის მომწელებელი, გულსისხლძარღვთა, ნერვული და სხვა სისტემების გართულებები. პაროდონტოზის ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკის პირობებში, ფიტოპრეპარატები სამკურნალო მცენარეული საშუალებების პაროდონტის ქსოვილების ნებისმიერი ანთებითი დაავადებების მკურნალობა უნდა დაიწყოს კბილების ნადების მოცილებით. მისი მოცილება და ღრძილების ჯიბეების გამორეცხვის შემდეგ, სასარგებლოა გამოიყენოთ გულყვითელას ნაყენით (40-60 წვეთი კალენდულას ნაყენი 1-ჭიქა წყალში). გულყვითელას გამოყენება ეფექტურია, ის ასტიმულირებს ეპითელიზაციას და ზრდის ქსოვილების დამცავ თვისებებს. ბავშვთა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენებამდე ნაყენი თბება წყლის აბაზანაში 37 ° C ტემპერატურაზე. ამ მიზნებისთვის გამოიყენება აგრეთვე საქართველოში და მის სამეზობლო ქვეყნებში მოპოვებული სამკურნალო მცენარეული საშუალებები.

ვაზი VITACEAE — მცენარის გვარი ვაზისებრთა ოჯახისა. აერთიანებს 70-მდე სახეობას, რომლებიც უმთავრესად დედამიწის თბილი და ზომიერი ჰავის ქვეყნებშია გავრცელებული. ბუნებრივად მოზარდი ვაზი მხვიარაა, საყრდენს ულვაშებით ანუ პწკლით ემაგრება, აქვს ყავისფერი ქერქი, რომელიც ზოლ-ზოლად სცილდება შემადგენლობა. ნახშირწყლები, გლუკოზა, ფრუქტოზა, ორგანული მჟავები: ვაშლის, ლიმონის, ქარვის, ჭიანჭველას, ასევე კალიუმის, კალციუმის, ფოსფორის, სილიციუმის, რკინის, მაგნიუმის მარილები, მრთილავი ნივთიერება, ფოლის მჟავა, ვიტამინები A,C,B 2, B 6, P,PP. მედიცინაში ადრეიდანვე ხმარობდნენ ძმართან ერთად პირში გამოსავლებდ ღრძილების შესივების დროს. სტომატოლოგიაში ყურ-



მნის ფოთლების ნაყენი გამოიყენება სტომატიტების დროს გამოსავლებად, წყლულოვანი სტომატიტების დროს კი უმწიფარი ყურძნის წვენი.

ცერეცო (*Anisum vulgare*) – ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აშენებენ საქართველოში, ჩრდილო კავკასიაში და უკრაინაში. სამკურნალო ნედლეული არის ნაყოფი და თესლი. შემადგენლობა: ეთერზეთები, ალდეჰიდები, კეტონები და ანისის მჟავას. მას იყენებენ როგორც ანტისეპტიკურ, ტკივილგამყუჩებელ, ანთების საწინააღმდეგო საშუალებას.

ანწლი (*Sambucus nigra*) – მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. სამკურნალო ნედლეულია ყვავილები და ნაყოფი. შემადგენლობა - ასკორბინის მჟავა, ქოლინი, რუტინი, ვალერიანას მჟავა, კაროტინი, ამინომჟავები, მრთრიმლავი ნივთიერებები. გამოიყენება ნევრალგიების, დამაშვიდებელ და სადუზინფექციო საშუალებებად.

ატამი (*Persica vulgaris*) სამკურნალო ნედლეულია ატმის ფოთოლი და მისი წვენი, კურკისაგან მიღებული ზეთი. სტომატოლოგიაში იყენებენ ატმის ზეთს კბილების ფესვის არხის საბჟენი პასტების, სამკურნალო მალამოების დასამზადებლად.

დასკვნა: მიმოხილული სამკურნალო მცენარეები სტომატოლოგიაში უძველესი დროიდან გამოიყენება და დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი აქტუალობა. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ფარმაცევტულ ბაზარზე უამრავი ფიტო-მედიკამენტი, რომლებიც ინიშნება სტომატოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. ისინი მიეწოდება სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, პირში სავლებად, ნაყენების, აეროზოლების, მალამოების სახით და ა.შ. პედაგოგიურ სტომატოლოგიაში მათი არჩევისა და გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს მათი მიღების ტექნოლოგიას. ეფექტური მკურნალობის დანიშვნა დამოკიდებულია მიღების ზუსტ ტექნოლოგიაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Gontarev S.N., Gontareva I.S., Nikishaeva A.V. Usage of phytotherapy in pediatric dentistry// Сетевой журнал «Научный результат». Серия «Медицина и фармация». - Т.2, №2,2016.
2. Гонтарев С.Н., Гонтарева И.С. Частота и структура диагностических мероприятий у детей и подростков с локальными пародонтитами при ортодонтической патологии. Вестник новых медицинских технологий. 2012. №1. С. 82-83
3. Agapova N.M., Abdulina S.G., Haziev R.Sh. Culonometric Determination of Ascorbic Acid in Benefits of Dog-rose. Health and Education in XXI century. Issue № 2. Vol. 12, 2010. 115 p.
4. ქ. მანჯგალაძე, ქ. სიმონიშვილი, ნ.ვაჩნაძე „სამკურნალო მცენარეების გამოყენება სტომატოლოგიაში.
5. ფიტოთერაპიის როლი ბავშვთა სტომატოლოგიურდაავადებათა პროფილაქტიკასა და მკურნალობაში.

THE ROLE OF PHYTOTHERAPY IN THE PREVENTION AND TREATMENT OF PEDIATRIC DENTAL DISEASES
IRMA KHUJADZE
 Akaki Tsereteli State University
 ABSTRACT

In conclusion, it should be noted that today in the pharmaceutical market there are numerous phyto-medicines that are prescribed for the treatment of dental diseases. They are supplied in different forms, such as mouthwashes, tinctures, aerosols, ointments, etc. When choosing and using them in pediatric dentistry attention should be paid to the technology of their reception. The appointment of efektif treatment depends on the exact technology of reception.



მწერები სამეურნეო საშუალებების წყარო

ნატალია მანღარია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მომავალი ანტივირუსული და ონკოლოგიური დაავადებების საწინააღმდეგო პრეპარატების შექმნაში მეცნიერები დიდ დასაყრდენს ხედავენ მწერებში.

ახალი ანტივირუსული და ანტიკანცეროგენული პრეპარატების წარმოების იდეა დამყარებულია სხვადასხვა ცოცხალ ორგანიზმებზე, განსაკუთრებით მწერებზე, კერძოდ მათ იმუნურ სისტემაზე.

რატომ მწერები და რა განსაკუთრებული თვისებები აქვთ მათ.

მწერები დაახლოებით 400 მილიონი წლის წინ წარმოიშვნენ. ფართოდ დაიკავეს არა მარტო ხმელეთი, არამედ ჰაერიც და ევოლუციურად აყვავებას მიაღწიეს ნერვული სისტემის მაღალი ორგანიზაციის გამო. ისინი ცოცხალი ორგანიზმების უდიდეს ჯგუფად იქცნენ. მართალია მწერების იმუნური სისტემა ძალზედ განსხვავებულია ჩვენი იმუნური სისტემისაგან, მაგრამ არანაკლებ ეფექტურია. მწერების იმუნური სისტემა სწრაფად ახდენს მიკრობული უჯრედების ამოცნობას რეცეპტორული მოლეკულების დახმარებით და პასუხად ასინთეზირებს დამცველობით პეპტიდებს. ასე რომ ეს არსებები წარმოადგენენ მომავლის სამკურნალო ნივთიერებების ამოუწურავ წყაროს. საჭიროა მეცნიერული კვლევების საფუძველზე მათი სწორად გამოყენების გზის პოვნა.

პეტერბურგელი მკვლევარების მიერ შექმნილია პრეპარატი - მწერების იმუნური სისტემის პეპტიდების ანალოგი. ახალი პრეპარატის აქტიური ნივთიერება (ალოფერონი) გამოყვეს კალიფორნიის ბუჩის ლარვებისგან, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდა ექიმებს დაჭრილების გადასარჩენად. პრეპარატმა წარმატებით გაიარა კლინიკური კვლევები და გამოიყენება, როგორც ანტივირუსული საშუალება, ძირითადად ჰერპესის სამკურნალოდ.

დღეს, როგორც არასდროს ანტივირუსული პრეპარატების მიუხედავად ახალი გაქანება შეიძინა, კოვიდ 19-ის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ფარმაცევტის, ფარმაკოლოგის და ბიოლოგის უპირველესი მოვალეობაა.

ჰერპესი-ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ჯერ კიდევ პრაქტიკულად განუკურნებელი ვირუსული ინფექციაა, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის 15%-ზე ახდენს უარყოფით გავლენას.

მომავალი ანტივირუსული და ონკოლოგიური დაავადებების საწინააღმდეგო პრეპარატების შექმნაში მეცნიერები დიდ დასაყრდენს ხედავენ მწერებში.

პირველ რიგში მკვლევარებმა შეიმუშავეს ახალი თაობის მედიკამენტები, რომლებიც დაფუძნებულია ალოფერონის მსგავს პეპტიდებზე - ალოსტატინებზე. ეს არის შედარებით მოკლე ცილის მოლეკულები, ჯაჭვის სიგრძით 10-15 ამინომჟავა. ალოსტატინები არა მხოლოდ ეწინააღმდეგებიან ვირუსებს, არამედ ამცირებენ კიბოს უჯრედების გამრავლების სიჩქარეს.

პირდაპირ მწერების ორგანიზმიდან ალოფერონის მიღებას და პრაქტიკაში გამოყენებას მეცნიერები არ აპირებენ, ვინაიდან მათი სინთეზირება ბევრად უფრო იოლი და იაფია.

ჯერჯერობით სინთეზირებულია ერთ-ერთი ნაერთი-ალოსტატინი1. ბევრი თვალსაზ-



რისით იგი აჭარბებს ალოფერონს, ამიტომ იგი შემოთავაზებულია არა მხოლოდ ვირუსული ინფექციების სამკურნალოდ, არამედ ონკოგენური ვირუსებით გამოწვეული კიბოს სიმსივნეების სამკურნალოდ.

მკვლევარების აზრით ახალი პრეპარატის მოქმედების მექანიზმი გულისხმობს პათოლოგიური უჯრედების (ვირუსით ან კიბოთი ინფიცირებული) ამოცნობას დაავადების ადრეულ ეტაპზე. ამიტომ აღნიშნული პრეპარატებით შესაძლებელია ჰერპესვირუსის და პაპილომავირუსის ინფექციების მქონე რისკ-ჯგუფის პაციენტების მკურნალობა.

ასევე მომავალში შეიძლება მოხდეს სრულიად ახალი პრეპარატების შექმნა მწერების იმუნური სისტემის საფუძველზე. ეს არის ე.წ. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ჯგუფი, რომლებიც ადრე არასოდეს ყოფილა შესწავლილი და მათ შორის ანალოგები არ აქვთ. პოტენციური ანტივირუსული პრეპარატების საფუძველზე შეიძლება შეიქმნას ბიოფარმაცევტული საშუალებების სრულიად ახალი დარგი.

მწერებს ადამიანებისგან განსხვავებით არ აქვთ შექმნილი იმუნიტეტი, ამიტომაც ბუნებრივი, თანდაყოლილი იმუნიტეტი ევოლუციის მიერ იუველირის სიზუსტითაა წარმოდგენილი. გარე გამლიზიანებლის საპასუხოდ მათ ორგანიზმში წარმოიქმნება მრავალფეროვანი ნივთიერებების მთელი ბუკეტი, რომლებიც დაუყონებლივ ანეიტრალებენ ბაქტერიებს, სოკოებსა და ვირუსებს.

მსოფლიოში ასობით ანტიბიოტიკი არსებობს, ხოლო ანტივირუსული პრეპარატი მხოლოდ ერთეულია. ალოფერონი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ანტივირუსული პრეპარატი. იგი ჰემოგლობინის ცილასაგან (რომელსაც ამინომჟავების უზარმაზარი რაოდენობა აქვს) განსხვავება იმით, რომ მხოლოდ ცამეტი ამინომჟავა აქვს, ამიტომ ბევრად უფრო ადვილად სინთეზირდება. აქედან გამომდინარე მისი წარმოება ძალზე დიდი მასშტაბითაა შესაძლებელი. ვინაიდან ვირუსის სასიცოცხლო ციკლი მჭიდრო კავშირშია უჯრედის სიცოცხლესთან, ძალიან იშვიათია ისეთი ნაერთის პოვნა, რომელიც შერჩევით იმოქმედებს ვირუსებზე უჯრედის დაზიანების გარეშე.

ადამიანებში იმუნურ სისტემაში არსებობს ორი ტიპის უჯრედი, რომლებსაც შეუძლიათ დაინფიცირებული უჯრედების განადგურება-ბუნებრივი მკვლელი უჯრედები და მკვლელი T უჯრედები. ამასთან, ევოლუციის პროცესში ზოგიერთმა ვირუსმა, მაგ. ჰერპესის ვირუსმა ისწავლა მათი „მოტყუება“, იმუნური რეაგირების თავიდან ასაცილებლად. იგი მასპინძლის გენებს აიძულებს წარმოქმნას მისთვის საჭირო ცილები, რომლის დახმარებითაც ნიღბავს უჯრედს, რომელშიც ის მდებარეობს და ასეთი უჯრედი აღიქმება როგორც ჯანმრთელი. იმუნური სისტემა ასეთ შემთხვევაში ვეღარ ხედავს ჰერპესის ვირუსს უჯრედში.

აღსანიშნავია, რომ ალოფერონის პეპტიდს არანაირი გავლენა არ აქვს იმუნურ სისტემაზე ან ვირუსზე, მაგრამ ბუნებრივი მკვლელის არსებობის შემთხვევაში, მას საშუალებას აძლევს ამოიციოს უჯრედი, რომელიც ვირუსის გადამზიდავია და გაანადგუროს იგი, რითაც განადგურდება დაავადების კერა. მაშასადამე ამ შემთხვევაში რეაქცია წავა ადგილობრივად-მხოლოდ იქ, სადაც არის ვირუსი, რაც ნიშნავს, რომ ორგანიზმში გვერდით მოვლენებს ადგილი არ ექნება.

ალოფერონ 1 -ის გამოყენებამ აჩვენა სპეციფიკური ანტივირუსული შედეგები. შემდგომი კვლევები, რომლებიც გაგრძელდა მეცნიერთა ჯგუფის მიერ კიდევ ერთი ახალი პეპტიდის



სინთეზით გამოიხატა. ესაა ალოსტატინი, რომელსაც გაუმჯობესებული აქვს კიბოს საწინააღმდეგო თვისებები.

პეტერბურგის მეცნიერთა მიღწევები უზარმაზარია. მათ შექმნეს ახალი მიმართულება ბიოფარმაკოლოგიაში, რომელსაც დღეს მათ გარდა მხოლოდ რამდენიმე სპეციალისტი ეწევა მთელ მსოფლიოში. ამავდროულად, ეს მიმართულება ახორციელებს ახალ ფილოსოფიას-მწერების ბუნებრივი იმუნიტეტის მექანიზმების სამკურნალოდ გამოყენება, რომელიც საფუძვლად დაედო ახალი ანტივირუსული და კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატების შექმნას.

INSECTS AS A SOURCES OF MEDICINES
NATALIA MANDARIA
Akaki Tsereteli State University
ABSTRACT

The idea of creating new antiviral and anticancer drugs is based on the use of various living organisms, especially insects, in particular their immune system. Scientists see insects as a great resource for creating future antiviral and oncological drugs.

თანამედროვე ფარმაცია
მეცნიერება და პრაქტიკა



**მთრიმლავი ნივთიერებები და მათი შემცველი სამკურნალო
 მცენარეები იმერეთის ფლორაში**

ნინო კოჭანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი. საქართველო

შემკვრელ-შემმოკველ საშუალებებთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მცენარულ ნედლეულს და მათ პრეპარატებს, კერძოდ ტანიდებს, რომლებიც მეტად ეფექტურია კუჭ-ნაწლავთა დაავადებებისას. ისინი იწვევენ ცილების დალექვას და მკვრივი ალბუმინატების წარმოქმნას; ახასიათებთ ანტისპეტიკური, ანტიბაქტერიული და სისხლისდენის შემაჩერებელი მოქმედება; ლორწოვან გარსზე, ჭრილობის და დამცვარი ადგილების ზედაპირზე მოხვედრისას იწვევენ აპკის წარმოქმნას. მთრიმლავი ნივთიერებები ანუ ტანიდები ბუნებრივი წარმოშობის პოლიფენოლური შენაერთებია. მათ აქვთ უნარი ცხოველების ნედლი ტყავი, რომელიც მიკრობებისათვის შეღწევადია და ადვილად ლპება, გადააქციონ მოქნილ, გამძლე ტყავად. მთრიმლავი ნივთიერებები მოიპოვება უჯრედის წვენი გახსნილი სახით და გამოვლინდება უჯრედის ზრდასა და ვაკუოლის გაჩენასთან ერთად. ფოთლებში მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიძლება დაგროვდნენ კოლენქიმაში ან კანის უჯრედებში, თუმცა ლოკალიზაციის ძირითადი ადგილია ძარღვების გამტარ კონების შემომდგენი პარენქიმული უჯრედები.

მთრიმლავი ნივთიერებები ანუ ტანიდები ბუნებრივი წარმოშობის პოლიფენოლური შენაერთებია. ტერმინი „ტანიინი“ 1795 წ. შემოიღო ფ. სეგენმა. ამით მიუთითა მათ უნარზე ცხოველების ნედლი ტყავი, რომელიც მიკრობებისათვის შეღწევადია და ადვილად ლპება, გადააქციონ მოქნილ, გამძლე ტყავად. მთრიმლავის პროცესის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნედლი, მოუქნელი ტყავის ხსნადი და გაჯირჯვებადი ცილა – კოლაგენი გადადის უხსნად და გაჯირჯვების უნარს მოკლებულ შენაერთში, ტყავი შეუღწევადი გახდება და აღარ დალპება. მთრიმლავ ნივთიერებებს არ მიეკუთვნებიან უფრო დაბალმოლეკულური შენაერთები, ისეთი პოლიფენოლები, რომელთაც არ გააჩნიათ მთრიმლავის უნარი, ასევე მარტივი ფენოლები – გალის მჟავები, კატექინები, თუმცა მათ ახასიათებთ ტანიდების ანალოგიური ზოგიერთი თვისება. ასეთ შენაერთებს ხშირად იყენებენ კვების მრეწველობასა და ტექნიკურ ბიოქიმიაში, მათ „საკვებ ტანიდებს“ უწოდებენ. ტანიდებს, რომლებიც ადვილად განიცდიან ჰიდროლიზს მჟავებით, ფუძეებით და ფერმენტებით, უწოდეს ჰიდროლიზებადი მთრიმლავი ნივთიერებები. მათი ჰიდროლიზის შედეგად წარმოიქმნება უფრო მარტივი შენაერთები: გლუკოზა ან მრავალატომიანი სპირტი და გალის მჟავა ან ამ უკანასკნელთან ახლომდგომი ფენოლური მჟავები ფენოლკარბონის მჟავების არაშაქროვან ეთერებად.

ტანიდების ნაწილი არ იშლება დაბალმოლეკულურ ნაერთებად, ნაცვლად ამისა ამჟღავნებენ პოლიმერიზაციის ტენდენციას, განსაკუთრებით მინერალური მჟავების მოქმედებით და წარმოქმნიან უხსნად, ამორფულ, ხშირად წითელ-ყავისფრად შეფერილ პროდუქტებს – ფლობაფენებს.

მთრიმლავი ნივთიერებების ბიოგენეზის ახსნისას დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეში მათი წარმოქმნის პირველადი ადგილის დაზუსტებას – ფოთლებში, ქერქში, მერქანში თუ მიწისქვედა ორგანოებში, თანაც სად ლოკალიზდებიან, გამტარ კონებში, კამბიუმში თუ სხვა ქსოვილებში და როგორ გადანაწილდებიან მთელ მცენარეში. დამტკიცებული-



ა, რომ მცენარეში მთრმილავი ნივთიერებების წყარო ნახშირწყლებია. მთრმილავი ნივთიერებები ფართოდაა გავრცელებული მცენარეთა სამეფოში. ისინი შედარებით იშვიათია დაბალ საფეხურზე მდგომ სახეობებში – მღიერებში, სოკოებში წყალმცენარეებში. მათზე მეტადაა გვიმრებში, შიშველთესლიანებში. ერთლებნიან მცენარეებში დადგენილია მხოლოდ ზოგიერთი ოჯახის წარმომადგენლებში. ტანიდების მასიური პროდუცირებით ხასიათდებიან ორლებნიანი მცენარეები, განსაკუთრებით ოჯახები: Fagaceae, Rosaceae, Polygonaceae, Astraceae, Salicaceae, Plumbaginaceae, Saxifragaceae, Vacciniaceae, Myrtaceae, Punicaceae, თითქმის არ გვხვდება ოჯ. Euphorbiceae, Solanaceae, Malvaceae-ს მცენარეებში.

მთრმილავი ნივთიერებები გავრცელებულია ტროპიკებიდან დაწყებული უკიდურესი პოლარული ქვეყნების მცენარეებამდე და მათ განაწილებაში გეოგრაფიული ზონალობის მიხედვით შეიმჩნევა თავისებურებები. ყველაზე მდიდარია ტროპიკული ზონის მცენარეები. ხშირია აგრეთვე სამხრეთის ქვეყნების წარმომადგენლებში ამის ნათელი მაგალითია საქართველოს ფლორა. კანონზომიერებაა მათი დიფერენციაციაში მცენარეთა სასიცოცხლო ფორმების მიხედვით. ყველაზე ხშირია და პროცენტულად მეტი ხე-მცენარეებში, შემდეგ მოდის ხე-ბუჩქები, ბუჩქ-ბალახები, მრავალწლოვანი ბალახები, რაც შეეხება 2 და 1 წლიან მცენარეებს – მათში თითქმის აღარ გვხვდება. საინტერესოა ისიც, რომ ტროპიკულ ქვეყანებში ტანიდების შემცველია ძირითადად ხე-მცენარეები, ზომიერ ზონაში კი- ბუჩქები, ნახევრადბუჩქები, ბალახები. მთრმილავი ნივთიერები გროვდება მცენარის თითქმის ყველა ორგანოში: ფოთლებში (თრიმლი, თუთუბო), ქერქში (მუხა, ბროწეული), ბალახში (მარწყვბალახი, კრაზანა), ნაყოფში (მოცივი, შოთხვი), ფესვურებში და ფესვებში (დეალურა, ღოლო), მცენარეებში მათი რაოდენობა მერყეობს დიდ ფარგლებში. 10%-ზე ნაკლებ შემცველობას არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, 20-30%-ისას ნედლეულს უკვე ეძლევა სამრეწველო გამოყენება.

ტანიდების სარეკორდო რაოდენობაა პათოლოგიურ წარმონაქმნებში – გალებში (50-80%) მთრმილავი ნივთიერებების მეტ-ნაკლები რაოდენობით დაგროვება მოცემული სახეობის გენეტიკურად განმტკიცებული ნიშანია, თუმცა დიდ ზეგავლენას ახდენს რიგი მაჩვენებლები. ტანიდების თვისობრივად რაოდენობითი შემცველობა არ რჩება უცვლელი და ვარირებს მცენარის ზრდის და განვითარების პროცესში. მათზე მოქმედებს მცენარის ასაკი, განვითარების ფაზა, ზრდის ადგილის კლიმატო-გეოგრაფიული ფაქტორები. მაგ. თრიმლის და თუთუბოს მაგალითზე დადგენილია, რომ ზღვის დონიდან რაც უფრო მაღლა იზრდება მცენარე, მით მეტია ტანიდების რაოდენობა. თუთუბოს ფოთლებში კარგი განათებისას ტანიდების შემცველობა 12,3% ჩრდილში კი- 17%. მცენარეში მთრმილავი ნივთიერებები მოიპოვება უჯრედის წვენში გახსნილი სახით და გამოვლინდება უჯრედის ზრდასა და ვაკუოლის გაჩენასთან ერთად. ფოთლებში მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიძლება დაგროვდნენ კოლენქიმაში ან კანის უჯრედებში, თუმცა ლოკალიზაციის ძირითადი ადგილია მარღვების გამტარი კონების შემომფენი პარენქიმული უჯრედები. აღნიშნული დადგენილი იყო მთრმილავ ნივთიერებებზე მიკროქიმიური რეაქციების ჩატარებით (სამქლორიანი რკინის ხსნარით), რის საფუძველზეც ვარაუდობენ რომ ტანიდები სინთეზირდება ფოთლებში და შემდეგ გამტარი სისტემის- ფლოემის მილებით გადაწარმოებულია მთელ მცენარეში. .



მთრიმლავი ნივთიერებები მაღალმოლეკულური შენაერთებია 1000-5000 და ზოგჯერ 2000 მოლ. მასით, ისინი მოყვითალო ან მურა ფერის ამორფული ნივთიერებებია, კარგად იხსნებიან, როგორც ცივ, ისე ცხელ წყალში და იძლევიან კოლოიდურ ხსნარებს, ორგანული გამხსნელებიდან იხსნებიან – სპირტში, აცეტონში, ეთილაცეტატში, პირიქით – თითქმის უხსნადებია ქლოროფორმში, ბენზოლში, პეტროლეინის ეთერში, ოთხქლორნახშირბადში და სხვ. ტანიდების უმეტესობა ოპტიკურად აქტიურია, ადვილად იჟანგებიან ჰაერზე და იღებენ მეტ-ნაკლებად მუქ შეფერვას. დაჟანგული კონდენსირებული ტანიდები იწოდება ფლობაფენებად. დაწვრიმანებული სახით ნედლეულის შენახვისას მთრიმლავი ნივთიერებების დაჟანგვა დაჩქარდება. ეს პროცესი განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარებს ტუტე არეში, ახლად დაზადებული ნედლეულის ხანგრძლივი შენახვისას, ფერმენტების ზეგავლენით, მიმდინარეობს ჰიდროლიზებადი ტანიდების დაშლა და პირიქით, კონდენსირებული ტანიდების კონდენსაცია.

უმეტესი მთრიმლავი ნივთიერებების არაერთგვაროვნება და ამორფული მდგომარეობა დიდ სიმწელეებს იწვევს მათი მცენარეული ნედლეულიდან გამოყოფისას. კონდენსირებული ჯგუფის ნივთიერებები წყლით უფრო სწრაფად იწვლილებიან, ვიდრე ჰიდროლიზებადი. მათი განსხვავებული ხსნადობა, სხვადასხვა გამხსნელსა და სისტემებში, გამოიყენება ფრაქციული დაყოფისათვის. მთრიმლავი ნივთიერებებს თვისობრივი ანალიზისა და დაყოფისათვის ფართოდ გამოიყენება განაწილებითი ქრომატოგრაფია ქაღალდსა და სვეტზე. ხშირად სარგებლობენ დალექვის რეაქციებით. მცენარის წყლიანი გამონაწვლილების გაცხელებისას ფორმალისა და ქლორწყალბადმჟავასთან, როგორც შემოთ იყო აღნიშნული, ილექება კონდენსირებული ტანიდები, ხოლო ჰიდროლიზებადი რჩება ხსნარში, თუ ფილტრატს დაუმატებთ კალიუმის აცეტატის სპირტიან ხსნარს, დაილექება ჰიდროლიზებადი მთრიმლავი ნივთიერებები.

შემკვრელ-შებმოჭველ საშუალებებთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მცენარეულ ნედლეულს და მათ პრეპარატებს, კერძოდ ტანიდებს, რომლებიც მეტად ეფექტურია კუჭ-ნაწლავთა დაავადებებისას. ისინი იწვევენ ცილების დალექვას და მკვრივი ალბუმინატების წარმოქმნას; ახასიათებთ ანტისპეტიკური, ანტიბაქტერიული და სისხლისდენის შემაჩერებელი მოქმედება. ლორწოვან გარსზე, ჭრილობის და დამცვარი ადგილების ზედაპირზე მოხვედრისას იწვევენ აკვის წარმოქმნას; ამზადებენ ექსტრაქტებს, ნაყენებს, მონახარშებს, ნაკრებებს.

იმერული მუხა - *Quercus imeretina* Stev. ოჯ: Fagaceae. მედიცინაში გამოიყენება მისი ახალი ამონაყარის, წვრილი ღეროების და ახალგაზრდა ტოტების ქერქი, იღებენ ადრე გაზაფხულზე - წვენების მოძრაობის პერიოდში. გამოიყენება გარეგან შემკვრელ და ანთებისსაწინააღმდეგო საშუალებად.

სამკურნალო თავისისხლა -*Sanguisorba officinas* L. ოჯ: Rosaceae. ნედლეულად იყენებენ ფესურას და ფესვებს. იღებენ აგვისტო-სექტემბერში. მისგან მზადდება მონახარში და გამონაწვლილი, იყენებენ: ენტეროკოლიტის, ინტოქსიკაციური და გასტროგენური ფაღარათისას.

ოთხფურცელა მარწყვა-ბალახა *Potentilla erecta* L. ოჯ: Rosaceae ნედლეულად იყენებენ ფესურას. იღებენ ზაფხულში, ყვავილობის ფაზაში. ამზადებენ მონახარს, რომელსაც აქვს შემკვრელი და სისხლდენის შემაკავებელი ეფექტი.



მოცივი *Vaccinium myrtillus* L. ოჯ: *Vacciniaceae*. ნედლეულად იღებენ მწიფე ნაყოფებს. მას აქვს შემკვრელი მოქმედება, გამოიყენება დიეტურ კვებაში, ასევე ოფთალმოლოგიაში.

ნაცარა მურყანი *Alnus incana* L. ოჯ: *Betulaceae*. ნედლეულად იყენებენ ნაყოფებს - გირცებს, იღებენ გვიან შემოდგომაზე და ზამთარში. ამზადებენ მონახარშს ან გამონაცემს. გამოიყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებებისას.

ბროწეული *Punica granatum* L. ოჯ: *Punicaceae*. ნედლეულად იყენებენ ნაყოფის ქერქს. მას აქვს შემკვრელი ეფექტი, ასევე გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, თირკმლების, კანის, პირის ღრუს პათოლოგიების დროს.

დასკვნა:

ლიტერატურა

1. ლ. ერისთავი „ფამაკოგნოზია“ თბილისი 2005წ.
2. ნ. ჯულაყიძე, ნ. მარგველაშვილი . სამკურნალო მცენარეები და ადამიანის ჯანმრთელობა ქუთაისი 2012
3. www.nplg.ge
4. www.mkurnali.ge
5. [Hrrp://science.Ng.ru/natural](http://science.Ng.ru/natural)

TANNIDS AND THEIR HEALING SUBSTANCES IN THE FLORA OF IMERETI DZOTSENIDZE NINO

Akaki Tsereteli State University. Kutaisi. Georgia
ABSTRACT

Tannids are polyphenolic compounds of natural origin. Tannids that are easily hydrolyzed by acids, bases and enzymes are called hydrolysable. While those who experience a tendency to polymerize-polymerizable. The source of tannins in the plants is carbohydrates. In plants tannins are obtained by dissolving in cell sap. Localizes in the cochlea, skin cells, parenchyma of conductive bones. Raw materials containing tannins are effective in diseases of the gastrointestinal tract, characterized by antiseptic and hemostatic action. Plants containing tannins are: *Quercus imeretina*, *Sanguisorba officinas*, *Potentilla erecta*, *Vaccinium myrtillus*, *Alnus incana*, *Punica granatum*.

თანამედროვე ფარმაცია
მეცნიერება და პრაქტიკა



**მწვანე ჩაის ექსტრაქტის სისუფთავისა და ანტიმიკრობული
 აქტივობის დადგენის მეთოდები ინფიცირებული ზრილობების
 სამკურნალოდ გამოყენების მიზნით**

ხუციკე თ. ს.

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი. აგრარული ფაკულტეტი.

ქუთაისი. საქართველო

სტატიაში განხილულია მწვანე ჩაის ექსტრაქტის სამკურნალო თვისებები. გაშუქებულია ჩაის კულტურის სამკურნალო მიზნით გამოყენებისათვის საქართველოს რეგიონის ფლორაში ეკოლოგიურად სუფთა მცენარის შერჩევის მეთოდები. ეკოლოგიურად სუფთა რეგიონად შერჩეულ იქნა სამეგრელო. აღნიშნულ რეგიონში ინფიცირებული ჭრილობების სამკურნალოდ გამოყენებისათვის ამავდროულად შერჩეული იქნა მწვანე ჩაის ნედლეული. სტატიაში წარმოდგენილია ჩაის ნედლეულიდან 20%-იანი ექსტრაქტის მიღების მეთოდი და შესაბამისი ექსტრაქტის სამკურნალოდ გამოყენებისათვის სისუფთავის პარამეტრების დადგენა.

კვლევის პირველ ეტაპზე განხილულია ქიმიურად შესწავლილი მწვანე ჩაის ექსტრაქტის სისუფთავის პარამეტრების დასადგენად გამოყენებული ავტოკლავი, მოდელი - HS-5020G-ს. სტატიაში გაშუქებულია ჩაის სამკურნალო ექსტრაქტის სტერილიზაციისათვის მომზადების მეთოდები; წარმოდგენილია ავტოკლავში მწვანე ჩაის 20% -იანი ექსტრაქტის სტერილიზაციის პრინციპები სხვადასხვა ატმოსფერულ წნევაზე დროის ფაქტორების გათვალისწინებით.

კვლევის მეორე ეტაპზე სხვადასხვა ატმოსფერულ წნევაზე და დროის ხანგრძლიობის მონაცემების მიხედვით გასტერილებული ექსტრაქტის სისუფთავის პარამეტრების დასადგენად განხილულია, ხორცპეპტონიან და სისხლიან აგარზე მწვანე ჩაის თესვის მეთოდი, ცდის მიმდინარეობა და შესაბამისი შედეგის მიკროსკოპული კვლევა, შედეგის დადასტურება.

კვლევის მესამე ეტაპზე განხილულია 2 ატმოსფერულ წნევაზე 30 წუთით გასტერილებული 20% - იანი მწვანე ჩაის ექსტრაქტის ანტიმიკრობული აქტივობის დადგენა პათოგენურ მიკრობებზე. ცდაში გაშუქებულია მწვანე ჩაის პრეპარატის ანტიმიკრობული აქტივობის დასადგენად სისხლიან და ხორცპეპტონიან აგარზე ხელოვნურად მიღებულ ოქროსფერ სტაფილოკოკიზე (*Staphylococcus aureus*) მწვანე ჩაის პრეპარატი გაჟღენთილი დისკების შეტანის მეთოდი. ანალიზის დიაგნოსტიკებისა და დასკვნისათვის განხილულია მეთოდები, რომლითაც ვსარგებლობდით შედეგების მისაღწევად.

საქართველოში მცენარეებისა და მინერალური წყლების სამკურნალოდ გამოყენებას უძველესი ისტორია აქვს. პირველი სამკურნალო მცენარეების ბაღი, რომელიც ცნობილია ჰეკატეს ბაღის სახელწოდებით, მდებარეობდა კოლხეთში. მედიცინა უძველეს წარსულში სწორედ აქ ჩაისახა. ამიტომაც, რომ გერმანელი ექიმი, ბოტანიკოსი და მედიცინის ისტორიის მკვლევარი კურტ შპრენგელი თავის ხუთტომეულში მსოფლიოს მედიცინის ისტორიას ძველი კოლხეთის მედიცინით იწყებს. ტერმინი „მედიცინა“ კოლხი ასულის, განთქმული მკურნალის - მედეას სახელს უკავშირდება, რომელსაც სამკურნალო მცენარეების ბაღი ჰქონდა გაშენებული ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII-XII ს-ში. ავტორის აღწერით იქ 41 სამკურნალო და შხამიანი მცენარე ხარობდა. დღეისათვის ამ მცენარეთა ნომენკლატურა გვარების დონემდეა დადგენილი, ზოგჯერ კი სახეობებიცაა მითითებული. აჭარა კოლხეთის ნაწილია, მას სამ-



ხრეთ კოლხეთს უწოდებენ. ბუნებრივია, იგი გამოირჩევა სამკურნალო მცენარეთა დიდი მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, რელიეფითა და კლიმატით. ჰეკატეს ბადის 41 მცენარიდან აჭარის ფლორაში გავრცელებულია 25 დასახელების სამკურნალო მცენარე, რომლებიც გაერთიანებულია 18 ოჯახსა და 25 გვარში: Laurus; Anemona; Aconitum; Salvia; Mentha; Teucrium; Origanum; Cyclamen; Hedera; Lepidium; Crocus; Taxus; Smilax; Matricaria; Anthemis; Glaucium; Malva; Pastinaca; Valeriana; Colchicum; Solanum; Atropa; Cornus; Adiantum; Cyperus. ისინი მიეკუთვნება ფარულთესლოვან მცენარეებს. ერთი სახეობა - ვენერას თმა, წარმოადგენს გვიმრანარიებს. განხილულია აღნიშნული მცენარეების გამოყენების ასპექტები ხალხურ მედიცინაში [1].

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ინფიცირებული ჭრილობების სამკურნალოდ საქართველოს ფლორიდან შეგვეჩვენა შედარებით ეკოლოგიურად სუფთა გარემოში გაზრდილი მცენარე, შეგვესწავლა მისი ქიმიო-ბიოლოგიური თვისებები, სისუფთავის დადგენის კრიტერიუმები. ლიტერატურული მონაცემებით ზოგადად ვიცოდით მწვანე ჩაის დადებითი სამკურნალო მოქმედება ქსოვილის ანთებით პროცესებზე, ამიტომ კვლევისათვის ავირჩიეთ აღნიშნული მცენარე. შევარჩიეთ ეკოლოგიურად სუფთა გარემო, კერძოდ სამეგრელოს რეგიონი და შესაბამისად იქ არსებული მწვანე ჩაის ნედლეული.

რეგიონში სეზონის გათვალისწინებით აღებულ იქნა ეკოლოგიურად სუფთა, შედარებით ჩაის ნედლეული. სისუფთავის პარამეტრების დადგენისათვის მოვახდინეთ ნედლეულის რეცხვა, შემდეგ შრობა. მშრალი ნედლეულიდან მიღებულ იქნა კონცენტრატი, კონცენტრატი და ექსტრაქტი. აწონილი კონცენტრატი იხსნებოდა დისტილირებულ წყალში. [1] მიღებული 20%-იანი ექსტრაქტის სისუფთავის დადგენისა და სამკურნალო მიზნით გამოყენებისათვის ვაწარმოეთ მისი გასტერილება ავტოკლავში. კვლევისას ვიყენებდით ავტოკლავის მოდელს HS-5020G-ს.

კვლევისათვის ავირჩიეთ ქიმიურად უკვე შესწავლილი [4] 20% მწვანე ჩაის ექსტრაქტი, რომელიც იხსნებოდა 500,0 სტერილურ მინის ფლაკონში. ფლაკონი იხურებოდა ჰერმეტიკულად და იდგმებოდა ავტოკლავში. ავტოკლავში ექსტრაქტის, სისუფთავის პარამეტრების დადგენის მიზნით, ვასტერილებდით სხვადასხვა ატმოსფერულ წნევაზე, დროის ფაქტორის მონაცვლეობით. იხილეთ ცხრილი N1. ექსტრაქტთან ერთად ავტოკლავში შეგვექონდა ინდიკატორი სრულყოფილი სტერილიზაციის დადგენის მიზნით.

ცხრილი N1.

მწვანე ჩაის 20%-იანი ხსნარის სტერილიზაცია ავტოკლავში ატმოსფერული წნევისა და დროის ფაქტორის მიხედვით

<i>N</i>	<i>მწვანე ჩაის კონცენტრაცია</i>	<i>ატ.წნევა</i>	<i>დრო</i>
1	20%	1	15
2	20%	1	30
3	20%	2	15
4	20%	2	30

პრეპარატის კვლევის პირველ ეტაპზე სისუფთავის დადგენის მიზნით მოვახდინეთ



სხვადასხვა ატმოსფერულ წნევაზე გასტერილებული ექსტრაქტის მიკრობიოლოგიური გამოკვლევა. პეტრის ჯამზე წინასწარ ჩამოსხმულ ორ ნიადაგზე: ხორცპეპტონიან აგარსა და სისხლიან აგარზე [5] მოვახდინეთ სხვადასხვა ატმოსფერულ წნევაზე ავტოკლავში გასტერილებული ექსტრაქტის ჩათესვა. მიღებული ექსტრაქტიანი ნიადაგი მოვათავსეთ თერმოსტატში 24 საათის განმავლობაში 37⁰ ტემპერატურაზე. 24 საათის გასვლის შემდეგ მიღებული შედეგის კვლევა ხდებოდა მიკროსკოპირების პირდაპირი კვლევის მეთოდით. ხდებოდა კვლევის შედეგების შემოწმება. კვლევის შედეგად ყველაზე სუფთა ანუ სტერილური მაჩვენებელი გამოვლინდა 2 ატმოსფერულ წნევაზე 30 წუთით გასტერილებულ მწვანე ჩაის ექსტრაქტში.

მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2 ატმოსფერულ წნევაზე, 30 წუთის განმავლობაში გასტერილებული მწვანე ჩაის ექსტრაქტი აბსოლიტურად იყო სუფთა მიკრო სამყაროსაგან, რაც საშუალებას გვაძლევდა დაგვედგინა აღნიშნული მწვანე ჩაის სამკურნალო პრეპარატის სისუფთავე (სტერილობა) მიკროსამყაროზე. მწვანე ჩაის ექსტრაქტის მიკრობიოლოგიურმა გამოკვლევამ სისუფთავის მხრივ საშუალება მოგვცა აღნიშნული პრეპარატი გამოგვეყენებინა ინფიცირებული ჭრილობების სამკურნალოდ. კვლევის მეორე ეტაპზე, იმის დასადგენად, თუ რომელ პათოგენურ მიკრობზე ამჟღავნებდა ექსტრაქტი ანტიმიკრობულ აქტივობას, მიმვმართეთ ისევ მიკრობიოლოგიურ კვლევას. [3]

ცდის მეორე ეტაპზე ხორცპეპტონიან და სისხლიან აგარზე წინასწარ ხელოვნურად გამრავლებულ პირობით პათოგენურ მიკრობზე - ოქროსფერი სტაფილოკოკი (*Staphylococcus aureus*) დისკების მეთოდით (პატარა დისკი იჟღინთებოდა 20%-იანი მწვანე ჩაის ექსტრაქტით) მოვახდინეთ მწვანე ჩაის ექსტრაქტის შეტანა. სტერილური ექსტრაქტით გაჟღენთილ დისკს ვაფენდით პათოგენზე ზემოდან. არესებულ მონაცემებს ვაკვირდებოდით ვიზუალურად. რამოდენიმე საათის შემდეგ დისკების ქვეშ და გარკვეულ რადიუსში წარმოიქმნა ნათელი შრე. მწვანე ჩაის ექსტრაქტის ანტიმიკრობული აქტივობის დასადგენად მოვახდინეთ აღნიშნული ნათელი შრის მიკროსკოპული კვლევა პათოგენურ მიკრობებზე. მიკროსკოპული კვლევით დადგინდა, რომ დისკის ქვეშ და გარკვეულ მიდამოში ოქროსფერი სტაფილოკოკი აღარ იყო. კვლევით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პრეპარატმა გამოავლინა სწრაფი ანტიმიკრობული აქტივობა.

ცდის მესამე ეტაპზე მოვახდინეთ ნათელი შრის გადათესვა ხორცპეპტონიან აგარსა და სისხლიან აგარზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პათოგენი ნიადაგზე არ განვითარდა.

უკვე ქიმიურად შესწავლილი და აღნიშნული მიკრობიოლოგიური კვლევები საშუალებას გვაძლევდა ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ჩაის სტერილური ექსტრაქტი გამოგვეყენებინა სტაფილოკოკებით ინფიცირებულ ჭრილობაზე სამკურნალო მიზნით.

კვლევებით დადგენილია ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ჩაის 20%-იანი ექსტრაქტის სისუფთავის დადგენის მიკრობიოლოგიური მეთოდის პარამეტრი. შესაბამისად, მიკრობიოლოგიური კვლევებით დადგენილია აღნიშნული პრეპარატის ანტიმიკრობული აქტივობა პირობით პათოგენურ მიკრობზე, კერძოდ ოქროსფერ სტაფილოკოკზე (*Staphylococcus aureus*).



ლიტერატურა

1. მედიცინის ისტორია | მედეადან ...www.modernpublishing.ge
2. ფრუიძე გ. ფრუიძე ვ. „ხსნადი ჩაისა და კონცენტრატების წარმოების ბიოქიმია, ტექნოლოგია და მოწყობილობა.“ მეცნიერება . თბილისი 1996 გვ.110-11
3. Toda M. Okuba S OhnishiH, Simamura T. "Antibacterial and bactericidal activities of Japanese green tea." Ipn. J. Bacteriol. ` 1989. წ
4. Calrad f; Meckes M; Cedillo-Ricerar. " Antimoebic and anti-giardial activity of flavonoids planta Med" 1999.წ
5. ა.ს ლაბინსკაია. მიკრობიოლოგია და მიკრობიოლოგიური გამოკვლევების ტექნიკა. თბილისი 1983 წ.3 90-391-393-422გვ.

METHODS FOR DETERMINING THE ANTIMICROBIAL ACTIVITY AND PURITY OF GREEN TEA EXTRACT FOR USE IN THE TREATMENT OF INFECTED WOUNDS

TAMAR KHUTSIDZE
Akaki Tsereteli State University
ABSTRACT

In order to treat infected wounds, in the ecologically clean region of Georgia, a relatively inexpensive raw material of green tea was selected, and methods for obtaining an extract from this raw material were also determined. The extract has been studied chemically. In order to use this extract for the treatment of infected wounds, at the initial stage of the study, we determined the method of parameters for sterilizing the extract using an autoclave, model HS-5020G.

At the first stage of the study, we determined the purity of the solution sterilized under different atmospheric pressure for different periods of time. The highest degree of sterility was exhibited by the green tea extract sterilized under atmospheric pressure for 30 minutes. The purity of this extract was determined on two soils prepared in advance on a petri bowl - blood and mesopatamia agar by inoculation and microscopic examination of the result obtained. By selecting the sterilization parameters, as well as microbiological studies, the complete sterility of a 20% green tea extract sterilized in a hermetically sealed glass vessel under 2 atmospheric pressure was established for 30 minutes.

At the second stage of the experiment, the antimicrobial activity of sterile green tea was determined - a preparation obtained by sterilization under 2 atmospheric pressure for 30 minutes. This drug was applied with the help of discs to Staphylococcus aureus, artificially grown on blood and mesopatamia agar. By visual observation, it was found that bright layers appeared in the radius of the disks and under them.

At the third stage, microscopic examination of the bright layer formed around the pathogenic microbe, it was found that there was no pathogenic microbe in the bright layer - Staphylococcus aureus.

The study established the parameter of the microbiological method, which determines the purity and sterility of a 20% extract of ecologically pure green tea. Accordingly, the microbiological study determined the antimicrobial activity of this drug against a conditional pathogenic microbe, namely, Staphylococcus aureus (Staphylococcus aureus).

თანამედროვე ფარმაცია
მეცნიერება და პრაქტიკა



ღვინო როგორც სამკურნალო პროდუქტი

სორდია ე., კვარცხავა ბ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მედიცინის ისტორია თვლის, რომ ღვინო უძველესი დროიდან იყო ჩართული სამკურნალო თერაპიულ საშუალებებში. ქვევრის ღვინო გამოირჩევა მაღალი ბიოენერგეტიკული, დიეტური და სამკურნალო თვისებებით.

ჩვენ მიერ ღვინოში შესწავლილ იქნა ფენოლური ნივთიერება კვერცეტინი. ის არის პრევენციის საშუალება სხვადასხვა დაავადებებისა, როგორც არის სიმსივნე, ფილტვების და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. კვერცეტინის ანტიოქსიდანტური ეფექტი თამაშობს მნიშვნელოვან როლს დაავადებების მკურნალობასა და პრევენციაში.

ჩვენ მიერ ღვინოში განისაზღვრა ანტიოქსიდანტ რეზვერატროლი, რომელსაც გააჩნია სამკურნალო თვისება, ანელებს სიმსივნის ზრდას. კვლევები ადასტურებს, რომ ღვინო, რომელიც მდიდარია ანტიოქსიდანტ რეზვერატროლით, ასეთი ღვინის მიღებისას ადამიანები ნაკლებად არიან მიდრეკილნი გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისადმი.

ღვინო მდიდარია იმ ნივთიერებებით, რომელიც დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

**WINE AS A MEDICAL PRODUCT
 SORDIA E., KVARTSKHAVA G.
 Georgian Technical University
 ABSTRACT**

According to the medical history, wine was invariably included as a form of therapy. However, it is „Qvevri“ wine that is distinguished with its high bioenergy, dietary and curative qualities.

Our wine research focus was a phenolic compounds quercetin which is considered to be a prevention against the deceases such as cancer, lungs and cardiovascular malformation. Antioxidant effect of the quercetin plays a significant role in the prevention as well as treatment.

We have determined antioxidant resveratrol in the wine which has curative powers reducing the growth of cancer. Based on the research, the people regularly consuming the wine, rich in antioxidant reserve role, are less prone to cardiovascular malformation.

Overall, wine is rich in the substances which has a positive effect on health.

თანამედროვე ფარმაცია
 მეცნიერება და პრაქტიკა



**ხალხურსა და მეცნიერულ მედიცინაში ღვიძლის დაავადებათა
 მკურნალობა: მსბავსება და ბანსხვავება**

ნანა ჯიქია, ირინე ფხაკაძე, ქეთევანი ბაბუნია
 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მედიცინის ფაკულტეტი

*მრავალი მეცნიერი სწავლობდა და სწავლობს ღვიძლის დაავადებებს და მათი მკურნალობის მე-
 თოდებს. ჩვენთვის საინტერესო იყო შეგვესწავლა ხალხურ ხელნაწერებში, კარაბადინებში აღწერილი
 მკურნალობის მეთოდები და გამოყენებული რეცეპტურა. კარაბადინებზე მუშაობისას აღმოვაჩინეთ
 გარკვეული მსგავსება როგორც დაავადების დამახასიათებელი ნიშნების აღწერისას, ასევე ავადმყოფ-
 თან ურთიერთობის განხილვისას. მიგვაჩნია, რომ ხალხური მედიცინის გამოცდილების შესწავლა და
 მათი მეცნიერული დამუშავება დაეხმარება მედიცინის მუშაკებს მრავალი დაავადების და მათ შო-
 რის ღვიძლის დაავადების მიმართ წარმატებულ ბრძოლაში.*

ღვიძლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა. მასში მიმდინარეობს სხვადასხვა ნივ-
 თიერებათა მეტაბოლიზმი და დეტოქსიკაცია, ცილების და ენზიმების სინთეზი, ვიტამინების
 მარაგის შენახვა და სხვა. მრავალი მეცნიერი სწავლობდა და სწავლობს ღვიძლის დაავადე-
 ბებს და მათი მკურნალობის მეთოდებს. კვლევების თანამედროვე მეთოდების, საუკეთესო
 აპარატურის მიუხედავად გართულებული შემთხვევები და ავადმყოფთა სიკვდილიანობა მა-
 ინც მაღალია.

ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა ხალხურ ხელნაწერებში, კარაბადინებში აღწერილი
 მკურნალობის მეთოდები და გამოყენებული რეცეპტურა, შეგვედარებინა იგი თანამედროვე
 მეცნიერული მედიცინის საშუალებებთან. კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა ინფორმა-
 ციის მოძიების, განზოგადებისა და ანალიზის მეთოდები.

შუა საუკუნეების ბრწყინვალე სამედიცინო ძეგლებში დაავადებებთან ერთად განხი-
 ლულია სამკურნალო რეცეპტურა, მცენარეები, წამლის მომზადებისა და გამოყენების წესები.
 ჩვენ დავინტერესდით ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნით“ ქანანელი -
 „უსწორო კარაბადინი“ და დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდით“.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ წიგნში მოიძიო ინფორმაცია ისეთ ორგანოზე, რომე-
 ლიც თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება ისეთ სასიცოცხლოდ აუცილებელ ორგანო-
 ებს, როგორცაა გული და ტვინი. სწორედ ამის შესახებ წერდა თავის კარაბადინში ზაზა ფა-
 ნასკერტელ-ციციშვილი: "ღვიძლი ასოი არს მთავარი ტანის შიგან ვითვე ტუინი და გული",
 "სახლი სისხლისა არს ღვიძლი"-გვამცნობს XVს-ის მკურნალი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვი-
 ლი.

ნამდვილად შეიძლება ღვიძლი იწოდებოდეს როგორც „სისხლის სახლი“, რადგანაც თა-
 ნამედროვე სამედიცინო განმარტებით „ღვიძლის მილიონობით უჯრედი გამუდმებით ამუ-
 შავებს სისხლს, რათა მისი სწორი ქიმიური შემადგენლობა უზრუნველყოს“.

XV ს-ის მკურნალი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი არც ღვიძლის ფუნქციებზე იშუ-
 რებს საუბარს: "სტომაქს აადულებს და დაადნობს საჭმელსა და მისცემს ნაწლეუსა, რომელს
 მამარხუელი ჰქუიან. და მერმე იქიდადმან ამოზიდავს ღვიძლი და მოკრებს მისკენ მიტ ძარ-
 ლუებით, რომელ ღვიძლისაგან შედგმულ არს. მას ნაწლეუსა არს იგი, რომელსა უზახიან მასა-
 რიკა, რომელი მიიწევს მის კერძ სიწმინდე საჭამადისა და არს იგი სიწმინდე მგზავს ქაშქისა,



რომელ არს წუენი ქერის კორკოტისა, მას ეგვანების სიწმიდე საჭამადისა. მაშინ იზიდავს ძალთა შემოკრებულთა და რა მიიყვანოს შიგან, დააყენოს ძალითა დამყენებითა ბრძანებითა ღვთისათა და მერმე მოადნობს ძალთა მამდნობელთა და მერემე შეიქნების სისხლად, და მერმე გაიყოფვის იქიდადმან. ღუიძლი, რაცა წმინდა და კარგი სისხლი არს, მარღუთა მისცემს და ყოველსა ასოშიგან გაგზავნის და არს ძალი ღუიძლიშიგან ოთხნი ღარზანი, რომელთა სახელები ჰქუიან: მამკრებელი და დამჭირველი, მამდნობელი და გამცემელი. ესე ყოველსა ასოშიგან არის, მაგრა სტომაქსა და ღუიძლიშიგან უფრო არის ამას ღარიზი ჰქუიან"-აქ ნახსენებია ხარიზი, რომელიც მარღვს ნიშნავს.

თანამედროვე მედიცინის თვალთახედვით ღვიძლის ფუნქციებიდან აღვნიშნავთ შემდეგს:

1)სითბოს მილიტარიზაცია. ღვიძლის ყველაზე მაღალი ტემპერატურა აქვს ორგანიზმში-40 °C.

2)მაგნე ნივთიერებების მოცილება ორგანიზმიდან.

3)საკმლის მონელებაში მონაწილეობა. საკვებით გამდიდრებული სისხლი პირდაპირ წვრილი ნაწლავიდან ღვიძლში გადადის, რომელიც მათ ორგანიზმისთვის სასარგებლო ან უბრალოდ უვნებელ ნივთიერებებად გადაამუშავებს. 4)ნაღვლის გამომუშავება და გამოყოფა, რომელიც ხელს უწყობს ცხიმების შეწოვას წვრილ ნაწლავში და მარილმჟავას ნეიტრალიზაციას. 5)სისხლში შაქრის (გლუკოზის) შემცველობის რეგულირება და ზედმეტი გლუკოზის შენახვა. 6)საკვები ნივთიერებების, ვიტამინების და რკინის დაგროვება.

რომ დავუკავშიროთ ღვიძლის მიერ შესრულებული ფუნქციების შესახებ ეს ორი სრულიად სხვადასხვა დროს (თითქმის ექვსი საუკუნით განსხვავებული) დაწერილი მოსაზრებები, განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია ღვიძლის მიერ ნაწლავში არსებული საკვები ნივთიერებების ორგანიზმისთვის სასარგებლო, უვნებელ ნივთიერებებად გადაამუშავების პროცესი. სწორედ ასეთ გასუფთავებულ მასას ადარებს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი „ქაშქს“- „წუენი ქერის კორკოტისა" ე. ი ქერის წყალს- ე. წ ღულდს.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის "სამკურნალო წიგნში" საინტერესოაააა გადმოცემული აგრეთვე სადიაგნოზო საშუალებანი, დაავადებათა გამოცნობის ხერხები, ავადმყოფთა ობიექტური გასინჯვის მეთოდები და სხვა. მოცემულია უაღრესად რაციონალური სქემა ავადმყოფთა გამოკვლევისა, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი გონებამახვილობით. ავადმყოფობისადმი მეცნიერი „აქიმის" დამოკიდებულებაში ავტორი გარკვეულ მნიშვნელობას აძლევს სნეულის „გამოკითხვას", რასაც დღეს ანამნეზს ვუწოდებთ „და შეიტყუას სიდიდე და სიმცრო და გამოიკითხოს სნებისაგან, და მერმე ვკითხოთ მას უკნის და შეუტყოთ, რომელ შესულიყოს გულსა ზედან სნებისაგან, ან წაკიდებისაგანი" (ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის "სამკურნალო წიგნი" I ტომი).

ასე, რომ მათთვის „ავადმყოფის გამოკვლევის სისტემაში „გამოკითხვა" შედის როგორც დიაგნოსტიკის ერთ-ერთი საშუალება. ავადმყოფის გასინჯვის და გამოკვლევის ჩატარების დროს ექიმი სარგებლობს წინასწარ შემუშავებული სქემით: სქემა შეიცავს 9 ძირითად "ნიშანს", რომელთაც უნდა მიაქციოს ექიმმა ყურადღება დიაგნოზის დასმისას." ესენია: „მაჯის გასინჯვა, განავლის გამოკვლევა, მარდის გამოკვლევა, დაავადების დრო, ხანგრძლივობა, კრიზისის (ბურანის) გამორკვევა. ამასთან მხედველობაში უნდა მიიღოს კლიმატური პირო-



ბები, რომელშიც უხდება ავადმყოფს ცხოვრება, უნდა დააკვირდეს ავადმყოფის გამომეტყველებას, სახეს და ტანს, შეკრიბოს ცნობები დაავადების დაწყების, განვითარებისა და მიმდინარეობის შესახებ." (ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის "სამკურნალო წიგნი" I ტომი).

აქვე საინტერესოა მოვიტანოთ ქანანელის მოსაზრება: „აწე როგორცა აქიმი სნეულსა ზედა მივიდეს პირველად ესე ჰკითხოს, ვითა პირშიგან გემო როგორი გაქუსო. თუ ასე თქუას ტკბილი მიცო, იცოდი რომე სისხლისგან არის, თუ ასრე თქუას მწარედ მაქსო, იცოდე ზაფრისაგან არის" და სხვა.

მე-15- მე-16 საუკუნეების მკურნალები ღვიძლის შემდეგ დაავადებებს განიხილავდნენ:

1) ღვიძლის სიმხურვალე

2) სინედლე და სიგრილე ღვიძლისა (ხმელი ღვიძლი)

3) სიმსივნე ღვიძლის და მათთან დაკავშირებული ტკივილები. მაშინ როდესაც თანამედროვე მედიცინა განიხილავს ღვიძლის დაავადებებს: ციროზს, ცხიმოვან ჰეპატოზს, ღვიძლის ქრონიკულ უკმარისობას, სიმსივნეს, მეტასტაზებს ღვიძლში, ჰეპატიტებს.

„რომე რეულობანი და ბრუნვანი ღვიძლისანი კაცთა სნეულთანი, აგრეთვე მრთელთა კაცთანი არიან რეულობანი და ქვევანი ღვიძლისანი, და ზოგთა კაცთა ღვიძლი არ უფრო მხურვალე ზოგთა არს უფრო ხმელი“-ამბოზს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი.

აქვე განიხილავს ღვიძლის თითოეულ დაავადებას ცალ-ცალკე მაგ: "თუ კაცის ღვიძლი მხურვალე იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს: ძარღუნი სავსენი იყუნენ და ფართონი (ფერზედან წითლად იყოს და მოყუითანოდ) და უცემდეს. ამის უფალი კაცი იყოს, ახალმოწიფულობის ჟამსა - ზაფრა მეტი დაესხას, თმა მუცელსა და ტანსა მისსა მრავალი, ტანზედა ხმელი იყოს - სიმხურვალე ღვიძლისა გაახურვებს და აშფოთებს, რომელ სიმხურვალე არს მას შიგან და მისგან დაემართების ღვიძლსა წყლული ძნელი და მისი ნიშანი -ფსელი იყოს ყუითელი ზაფრანის ფერად, ძარღუნი სცემდენ ჩქარად და ზედ-ზედა და საჭამადი არ მოუნდებოდეს." „მისი ნიშანი ესე არს რომე პირი ნიადაგ მშრალი იყოს და ენა ყუითელ და გონება შეკრვით იყოს".

„ღვიძლის სიმხურვალე“-ეს დაავადება სრულიად შესაძლებელია იყოს დღესდღეობით ე. წ. ჰეპატიტი -ღვიძლის ანთება, რომლის გამოწვევა შეუძლია სხვადასხვა ვირუსს, ბაქტერიას, ზოგიერთ მედიკამენტს, ტოქსინს, ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებას და სხვა. თუმცა ჰეპატიტის ერთ-ერთ ყველაზე ხშირ მიზეზს A, B და C ჰეპატიტის ვირუსები წარმოადგენენ.

მართალია მე-15-მე-16 საუკუნეში ამ ვირუსების შესახებ ინფორმაცია თითქმის არ არსებობდა, მაგრამ ჰეპატიტების სიმპტომებს ძალიან ჰგავს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის მიერ დახასიათებულ ღვიძლის სიმხურვალის სიმპტომებს. მაგ: თანამედროვე მედიცინა ჰეპატიტის სიმპტომებად (განსაკუთრებით B და C ტიპის) ასახელებს შემდეგს: 1) მომატებული ტემპერატურა-არაუმეტეს 39,5 °C. 2) სახსრების და კუნთების ტკივილი. 3) გულის რევა, პირღებინება, უმადობა. 4) დიარეა. 5) კანისა და თვალის სიყვითლე. 6) ძალიან მუქი ფერის შარდის და ღია ფერის ფეკალიების გამოყოფა. 7) შემუპუბული და მგრძნობიარე ღვიძლი. 8) კანის ქავილი 9) სიმძიმის შეგრძნება ფერდქვეშ მიდამოში.

ამ ორი ერთმანეთისაგან ექვსი საუკუნით დაცილებული ღვიძლის დაავადებების სიმპტომატიკაში აღმოვაჩინეთ ზოგიერთ მსგავსებას. მაგ:

1) „ზაფრა მეტი დაესხას“-განმარტებათა ლექსიკონის მიხედვით -ეს გულისხმობს



ავადმყოფის გაყვითლებას ღვიძლის დაავადების დროს.

2) „ფსელი იყოს ყუითელ ზაფრანის ფერად“- შარდის ფერის ცვლილება, გამუქება.

3) „ძარღვნი სავსენი იყუნენ და ფართონი და უცემდეს,“ "სიმხურვალე ღვიძლისა გაახურვებს და აშფოთებს, რომელი სიმხურვალე არს მას შიგან და მისგან დაემართების ღვიძლისა წყლული ძნელი"- აღბათ აქ ნამდვილად იგულისხმება შემუშავებული და მგრძობიარე ღვიძლი.

4) „საჭამადი არ მოუნდებოდეს“- ე. ი. ჰქონდეს უმადობა.

5) „გონება შეკრით იყოს" - "ცნობილია, რომ ღვიძლის უკმარისობის მე-3 ტერმინალურ სტადიაზე ხდება მეხსიერების დაქვეითება და ცნობიერების პროგრესული დარღვევები". (კარაბადინი, "ხალხური სამკურნალო რეცეპტები")

ყოვლად შესაძლებელია ეს ორი ერთმანეთისაგან საკმაოდ დროით დაცილებული დიაგნოსტიკა ერთი და იგივე დაავადების სხვადასხვა დროს დაწერილი ვერსია იყოს - მეორე რათქმუნდა უფრო სრულფასოვანი და მეცნიერულად დასაბუთებული თანამედროვე ვერსიაა, ოღონდ უკვე ჰეპატიტად მონათლული და განმტკიცებული სამედიცინო კვლევების და ექსპერიმენტების საშუალებით.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს თავის კარაბადინში საინტერესოდ აქვს აღწერილი ღვიძლის სიმხურვალის დროს ავადმყოფის მიერ მისაღებად დასაშვები ჯანსაღი ბუნებრივი საკვები - „მისი საჭმელი ასრე შეუწყვ: ქერის წყალი და ქასინის წყალი ნუშის ზეთითა და საჭმელად - თარა და ასპანახი, და ჭაკუნტლისა მხალი, ესე ძმრითა და ნუშის ზეთი თუ აჭამე და ნედლი ქინძიცა ჩაყარე შიგა თუ ერთობ სუსტად იყოს და ამან ძალი ვერ მისცესა, მერმე ვარიას, დურეჯს, კაკაბსა და ხობობს, თიკანსა, რომელსაცა იშობდე, იმას აჭმევ, და წურილი თევზი ნუშის ზეთითა აჭამე. თუ ხილი მოინდომოს, ბროწეული და ვაშლი აჭამე ცოტა და უქერქოდ ბიე და თეთრი ყურძენი, და ცოტა სხალი, და ბროწეული. მეტი ყველა კლებით აჭამე, და ბროწეული უფროსი ჭამოს."

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი აქვე გვთავაზობს გარეგან სახმარი წამლის შემადგენლობას: „და გარეთ ესე წამალი დასდევ - აიღე თხის ბალანი და მურტი, თუითოსაგან ოცი დრამი, მასტაქი - ხუთი დრამი, სუმბული - სამი დრამი, სუმფული და მასტაქი კარგად წმინდად დანაყე და ერთმანერჩიგან გაურივე, და ბიის ზეთი ანუ მასდაქის - ასი დრამი, და ცუელი - ოცი დრამი, ცუილი და ზეთი დაადნე და წამლები შიგან გაურივე და სამოსლითა ზედა დასდევ. რა ღვიძლი გატფეს, სამსა დღესა უზმარა ოცი დრამი სიქინჯუპინი შეასუი წყლით და გაზაფხულისა დამდეგსა და ზაფხულისა სისხლი გამოუშვას ბასალიკისაგან, ანუ აპლდრისაგან, და რევანდი შეასუი".

ზემოთ აღწერილი ავადმყოფის საკვები რაციონისა და მკურნალობის სქემაში ბევრი უცხო სიტყვა გვხვდება მაგ: „ქერის წყალი" - იგივე ლუდი, „ქასინის წყალი" - ვარდკაჭკაჭას წყალი, „თარა" - წიწმატი, „ჭაკუნტლისა მხალი"- ჭარხლის ფხალი, „დურეჯი"- ფრინველის სახეობა, „მურტი"- იგივე მურდი, იგივე მირტი-მარადმწვანე ბუჩქოვანი მცენარე, „მასდაქი"- იგივე მაზდაქი, იგივე მაზდიქ-კევი, „სიქინჯუპინი"-იგივე სიქინჯუპინი, იგივე სიქანგუპინი-თაფლითა და ძმრით შემზადებული სასმელი, რომელშიც ურევდნენ ხოლმე წამალსაც.

დავით ბაგრატიონი ასევე გვთავაზობს ღვიძლის ტკივილის დასაამებლად გარეგანად დასაფენ წამალს: „აწე, ეს წამლები არის, რომე ტლედ ქნათ და გულს და ღვიძლზედა გარდა-



აკრათ; და ღვიძლის ტკივილს და სიმსივნეს, ორსავე უშველის: მოიტანე ვარდის კაჰკაჰის ფოთოლი, დანოყილი სანდალი, ძმარი და ვაშლის წვენი, ეს წამლები, რომელიც იყოს; ცოტა ქაფური გაურივეთ და ამის წყალშია ერთი ხელისახოცი დაასველეთ და გულს და სტომაქს და ღვიძლის საწოლს ალაგზედა გარდააკარით და ძალითა ღვთისათა, ღვიძლის ტკივილს და სიმსივნეს, ყუელას უშველის”. აქედან „ტლე” ნიშნავს შემოსადებელ წამალს, ე. ი. გარეგან სახმარ წამალს, ალბათ ჩვენი დროის ემპლასტროების წინამორბედს.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი კიდევ ერთ ღვიძლის საინტერესო პათოლოგიას აღწერს თავის კარაბადინში ესაა -ღვიძლის სიმსივნე.

„თუ სიმსივნე იგი ფიცხელი იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ხელ დასდევ ღვიძლზედან, და რომელ იყოს ღვიძლსა შიგან, მრგვალი და მაგარი იქნების და თუ არა გამოჩნდეს მრგვალი და მყარი, და არცა ტყავი მისი იყოს სქელი, მაშინ სიმსივნე ღვიძლისა მისისა ცოტა იყოს. თუ რამე სიმსივნე იყოს კუთსა შიგან ღვიძლისასა, იყოს მაშინ გრძელი”. (ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის I ტომი) ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის მიერ აღნიშნული სიმსივნის სიმპტომატიკაში სამი სიმპტომი: 1)უმადობა, 2)ტკივილის და სიმძიმის შეგრძნება ღვიძლის მხარეს, 3)ღებინება - ახლაც განიხილება თანამედროვე მედიცინის მიერ როგორც წამყვანი სიმპტომები ღვიძლის კიბოს მიმდინარეობისას.

ქანანელი უებარ და არც ისე რთულ რეცეპტს გვთავაზობს ღვიძლის სიმსივნეზე - შარაბი ვარდისა: „ვარდი წითელი გამორჩეული მისის გურკისაგან და თესლისაგან, ოთხი ლიტრა და ახალსა ქოთანსა ჩასდვა და დაასხა ზედა მდულარე წყალი რაზომნ დაფაროს, დაბუროს ზედა და იყოს დღესა და ღამესა მერმე წასწურო მის ვარდისაგან და აილო შაქარი თეთრი ხუთი ლიტრა და ან ათი და თანგირათა ჩასდვა და ზედა იგი წყალი ჩაასხი, რომელ ვარდისაგან წაგწუროს და შეუგზენით ქვეშე ცეცხლი წყნარად და მოხდინი პერულსა და შესქელდეს და ჭურჭელსა ჩაასხა და იხმაროს, სარგებლისა არს თუ ღთისა უნდეს”. აქედან „გურკა“-იგივე კურკა, „შარაბი“-შარბათი, სიროფი.

ქანანელის მიხედვით -თეთრი სანდლის შარბათი -„ღვიძლი რომე ფიცხლად იყოს მისთვის კარგია”. ის ასე მზადდება: „სამოცი დრამი სანდალი და დაქლიბოს და დაფხიკოს და დაალბოს ძმრითა და წყლითა ასრე რომე ერთი წილი ძმარი იყოს და ორი წილი წყალი, სანდალი ჩახუშიგა ჩაყარე და აგრე დაალბე ერთსა დღესა, ძმარი ერთი ლიტრა უნდა და წყალი ორი ლიტრა. მერმე ადუღე რომე ნახევრად მოიყაროს, მერმე ისი სანდალი დატყლიყე და ამოიღე, მერმე რაზომიცა წყალი იყოს, ეგზომი შაქარი ადუღე სადამდეს შესქელდეს, პერულს მოჰხდინი და მერმე უკმოდგი დაურივე სადამდის გასწორდეს და მისგან შესმა უზმომან ცივითა წყლითა დიდსა კაცსა შუიდი მუტყალი და ყმაწუილს სამი მუტყალი”.

„შარბათი” - ეს არის ტბილი სასმელი შაქრისა ან ხილისაგან, თითქმის ჰგავს სიროფს, მაგრამ ალბათ უფრო ნაკლებად ბლანტი, “სანდალი”-მცენარე სანდალოზი.

ქანანელის „უსწორო კარაბადინი“-ში წამალთა მიმართებაში ავადმყოფის ასაკობრივი შეზღუდვები გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: „მარტვილი”, „დიდი კაცი”, „ყმაწვილი” და სხვა. ამავე კარაბადინში ღვიძლის სისუსტის სამკურნალოდ ნახსენებია „სიგანგუბინი”, ისევე როგორც ამას ვხვდებით ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნში“-ში - „სიქინჯუბინის” სახელწოდებით. ქანანელის მიერ კი ახსნილია მისი დამზადებაც.

„აიღე: ორი ლიტრა წყალი და ერთი ძმარი და ერთი ლიტრა თაფლი, ადუღე და პერული



მოხადე ვირემ შესქელდეს. მისგან შესმა უზმოსა ცივითა წყლითა ექუსი მუტყალი, გაყენე და შესვას და თუ კაპრის წვენი დაასხას იგი ეჯობინების.” აქ ნახსენებია სიტყვა -„გაყენე“- განა-ზავე. „კაპრის წვენი” ანუ გამონაჟური იხმარებოდა წამლად.

არ შეიძლება მივიწყებას მივცეთ ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გაჩნდა დამ-წერლობა, სამედიცინო გამოცდილება ჩანაწერების სახით მაშინდელი მწიგნობრების, უმე-ტესწილად საეკლესიო პირების მიერ იქმნებოდა. ბერებმა და მონაზვნებმა დაიწყეს წამლების დამზადება მცენარეული ნედლეულიდან და ავადმყოფთა მკურნალობა. სწორედ ეს დაედო საფუძვლად ხალხურ მედიცინას, შემდგომ კი სატადრო მედიცინას.

კარაბადინებზე მუშაობამ დაგვანახა, რომ ქართველი ხალხი ფლობს ფასდაუდებელ სა-განძურს. აღმოვაჩინეთ გარკვეული მსგავსება როგორც დაავადების დამახასიათებელი ნიშნე-ბის აღწერისას, ასევე ავადმყოფთან ურთიერთობის განხილვისას. მიგვაჩნია, რომ ხალხური მედიცინის გამოცდილების შესწავლა და მათი მეცნიერული დამუშავება დაეხმარება მედი-ცინის მუშაკებს მრავალი დაავადების და მათ შორის ღვიძლის დაავადების მიმართ წარმატე-ბულ ბრძოლაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დავით ბაგრატიონი - „იადიგარ დაუდი“. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1992 წ.
2. ზაზა ფანასკერტელ- ციციშვილი - „სამკურნალო წიგნი“. თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1959 წ.
3. ქანანელი - „უსწორო კარაბადინი“თბილისი. 1940 წ. 400გვ
4. ნ. ტატიშვილი, გ. სიმონია - შინაგანი სნეულებანი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

TREATMENT OF LIVER DISEASES IN FOLK AND SCIENTIFIC MEDICINE: SIMILARITY AND DIFFERENCE

**NANA JIKIA, IRINE PKHAKADZE, KETEVANI GABUNIA
 AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY. FACULTY OF MEDICINE. KUTAISI.
 ABSTRACT**

Liver diseases were of great interest for many scientists in the past and it has great value as well nowadays.

The aim of our research work is to represent those approaches and applied recipes for liver treatment described in folk manuscripts and old medical books (karabadins). While working on these materials the most interesting and deserving to be noticed are the introductions of the books with great respect to God and healers' deep belief to be assisted by Him in their profession. Old medical books (Karabadins) draw the readers' attention by old Georgian language so unfamiliar for us nowadays.

The research work shows certain similarities in describing characteristics of these diseases as well as in reviewing of relationship between healers and patients.

Studying folk medical experience and their scientific examination are sure to help people with medical professions in their successful fight against many diseases and among them against liver diseases.

თანამედროვე ფარმაცია
 მეცნიერება და პრაქტიკა



IN SILICO PREDICTION OF PHYSICAL, CHEMICAL AND BIOPHARMACEUTICAL PROPERTIES OF THIOCTIC ACID

INNA KOVALEVSKA, OLENA RUBAN

National University of Pharmacy. Department of Industrial Technology of Drugs. Kharkiv, Ukraine

To determine the possible behavior when interacting with excipients and the human biological environment, the properties of thioctic acid were predicted by searching for quantitative structure-activity/structure-property ratios using ChemAxon, ChemBioOffice 2010 software. Thioctic acid complies with Lipinski's "rule of five" and can be used for oral administration: the molar mass does not exceed 500, it has in its structure not more than 10 H-bond acceptors and rotation connections, not more than 5 H-bond donors, logP is not more than 5. Calculated Structural-Molecular descriptors such as constitutional, geometric, topological, and quantum-chemical allow concluding that it is advisable to create a complex of thioctic acid with a high-molecular carrier, which will ensure its stability and predicted permeability to various parts of the gastrointestinal tract.

Introduction and aim: an alternative to experimental research methods for determining the physicochemical and biopharmaceutical properties of substances is the methodology of QSPR (Quantitative Structure-Property Relationship) and QSAR (Quantitative Structure-Activity Relationship). To establish the structure-property relationship, descriptors such as molecular weight, polar surface area, solvent surface area, number of H-bond donors and acceptors, and so on are used. Despite very significant differences in the algorithms of different software, the general methodological prerequisite for QSAR/QSPR studies is the assumption that there is an objective existence of a relationship between the structure of a substance expressed using descriptors and its chemical properties and biological activity.

Research methodology: the main directions in each method of analyzing the structure-properties relationship are to determine the indicator to be investigated and describe the structural parameters (descriptors) of the d_j object. ChemAxon, ChemBioOffice 2010 software was used to find the structure-activity/structure-property relationships of thioctic acid using the following descriptors: electron effects that affect the ionization or polarity of the substance, steric features of the structure that play an important role in assessing the strength of binding to a biotarget, lyophilicity, which characterizes the ability of an API to pass membrane cells – permeability.

Results and implications: the solubility of the active pharmaceutical ingredient is the main factor in predicting the bioavailability of the product, being developed. Its quantitative indicators are the dissociation constant (pKa), logarithms of distribution in the octanol/water system in ionized (logD) and non-ionized form (logP).

Most APIs are weak acids or bases, so they can exist in both ionized and non-ionized forms. The hydrogen index of the medium controls the ratio of ionized/non-ionized forms of the substance along the gastrointestinal tract and, consequently, absorption. The relationship between ionization and oral absorption is that non-ionized molecules are more permeable than ionized molecules, and therefore the non-ionized state is the defining form for passive diffusion. The degree of ionization of a molecule at a particular pH can be determined using the acid dissociation constant pKa, which is a critical parameter in determining the properties of the API. The dissociation constant is an indirect indicator of the lyophilicity of a substance because there is no constant value of the hydrogen index in the body and its consideration is important when predicting the behavior of the active pharmaceutical ingredient in vivo.

The pKa of thioctic acid has a value of 4.52, which indicates the strong acidic properties of the molecule. With an increase in the value of the hydrogen index above 4.5, thioctic acid is in a dissociated state. As the pH increases, the hydrophilicity increases significantly. This makes it possible to predict a



low degree of intestinal permeability. The obtained data indicate that TA at physiological pH values is completely ionized and therefore is practically not absorbed by diffusion, but is transferred by active transport or filtration.

The absorption and distribution of xenobiotics in organs and tissues is always associated with the transport of its molecules through barrier membranes, which is characterized by an isoelectric point. It corresponds to the pH of the solution at which the concentration of positive and negative charged ions is the same. This indicator directly correlates with the dissociation constant.

According to the results of the study, it was found that the isoelectric point has the following values for physiological pH values: 1,2 – -0,001; 4,5 - -0,487; 6,8 – -0,995. At PH 1,7, thioctic acid has limited diffusion, which reduces solubility. The result obtained may indicate poor solubility of the API in the stomach. The choice of excipients when developing the composition of medicines with thioctic acid should be based on the fact that they should not reduce the pH of the medium. As the pH increases, thioctic acid molecules form a stable dispersion, which contributes to an increase in TA solubility and a decrease in lyophilicity. The data obtained confirm the logD calculation.

Lyophilicity is one of the factors of intestinal absorption. Its main indicator is the distribution coefficient (log P), which depends on the interaction degree of inter- and intramolecular forces of the functional hydrophobic and hydrophilic groups of the molecule. For a complete picture of the lyophilicity of a substance, the logD value is used, which is calculated for a specific pH and takes into account the dissociation constant of the substance.

The following logD values for physiological pH values have been determined: 1,2 – 2,114; 4,5 – 1,824; 6,8 - -0.141. The results obtained indicate unsatisfactory bioavailability of thioctic acid in the lower gastrointestinal tract. The calculated log P is 2.11, which indicates possible spontaneous penetration through biological membranes.

Most methods used *in silico* calculate the eigenvalue of solubility for each API in the form of the solute concentration that is in equilibrium with the solid phase when dissolved.

From the obtained data, it can be concluded that the maximum solubility value of API is at pH 7.2 and is $\log S=0$ (266.32 mg/mL). At physiological values of the hydrogen index in the stomach, thioctic acid has practically no solubility. Thus, the LogS value is in the range of -2.93 – 2.79, which is 0.242 mg/mL – 0.314 mg/mL. The results obtained correlate with the calculated logD and logP values and suggest a low degree of oral bioavailability of thioctic acid.

Also, to establish the composition-structure relationship, topological descriptors are used, which characterize both the chemical and geometric properties of a substance. A significant role in determining the structure of a substance is played by the value of the topological surface, which correlates with the value of solubility and indicates the degree of interaction with the solvent due to the formation of bonds, their angle, and changes in the surface geometry. Semi-empirical calculations of modeling the thioctic acid structure under energy minimization conditions were performed to find the transition state and change the surface value available for the solvent. Calculations were performed considering the radius of water molecules (1.4 Å).

Visualization of this descriptor makes it possible to observe the presence of an increase in the degree of curvature of the solid sphere of the dissolved thioctic acid molecule, which is available for the solvent. The obtained data indicate a possibly higher solubility of the TA molecule at different dissolution conditions. This finding confirms the presence of undivided electron pairs (lp) and changes in binding angles. The structure of the molecule becomes less rigid, which facilitates the increase in the dissolution degree.

According to the calculated structural and molecular descriptors such as constitutional (number of atoms, their types), geometric (surface, volume), topological (binding indices), and quantum-chemical



(dipole moment, polarity, energy), which are components of the Lipinsky's rule and the Wiener index, it is possible to conclude of unstable behavior at the time of passage through the gastrointestinal tract and the possibility of changing its physicochemical properties by changing the thermodynamic conditions for obtaining the drug.

Conclusion: thus, the results obtained allow us to conclude on the advisability of changing the physicochemical properties of thioctic acid in order to ensure its stability and predicted permeability to various parts of the gastrointestinal tract.

Keywords: thioctic acid, structural parameters, physical and chemical properties

References

1. In silico structural anatomization of spleen tyrosine kinase inhibitors: Pharmacophore modeling, 3D QSAR analysis and molecular docking studies / A. Ganjooet al. *Journal of Molecular Structure*. 2019. Vol. 1189. P. 102-111.
2. Kawakami K. Modification of physicochemical characteristics of active pharmaceutical ingredients and application of supersaturatable dosage forms for improving bioavailability of poorly absorbed drugs. *Adv Drug Deliv Rev*. 2012. Vol. 64. P. 480–95.
3. Ковалевська, І. В., Рубан О.А. Дослідження фізико-хімічних та технологічних властивостей тіоктової кислоти. *Фармацевтичний журнал*. - 2016. - № 6. - С. 71-78.
4. Хайруллина В. Р., Акбашева Ю. З., Гимадиева А. Р. Анализ взаимосвязи «Структура-активность» в ряду некоторых производных 5-этилуридина с выраженной противогерпетической активностью. *Вестник Башкирск. ун-та*. 2017. № 4.
5. Шохин И. Е., Раменская Г. В. Методы прогнозирования кишечной проницаемости лекарственных веществ с применением компьютерного моделирования. *Биомедицина*. 2011. № 2. URL: <https://cyberleninka.ru/article/n/metody-prognozirovaniya-kishechnoy-pronitsaemosti-lekarstvennyh-veschestv-s-primeneniem-kompyuternogo-modelirovaniya> (дата обращения: 28.08.2019).
6. Elmira Arab Tehrany, Frantz Fournier, Stéphane Desobry, Simple method to calculate octanol–water partition coefficient of organic compounds. *Journal of Food Engineering*. 2004. Vol. 64, Issue 3. P. 315-320.
7. Kanfer I. Report on the International Workshop on the Biopharmaceutics Classification System (BCS) : scientific and regulatory aspects in practice. *J Pharm Pharm Sci*. 2002. Vol. 5. P. 1-4.
8. Сучасні напрямки підвищення біодоступності активних фармацевтичних інгредієнтів: Методичні рекомендації / І.В. Ковалевська, О.А. Рубан – Х. НФаУ, 2018.- 36 с.

თიოქტის მჟავას ფიზიკური, ქიმიური და ბიოფარმაცევტული თვისებების პროგნოზირება

IN SILICO

ინა კოვალევსკა, ოლენა რუბან

ფარმაციის ეროვნული უნივერსიტეტი. წამალთა საქარხნო ტექნოლოგიის კათედრა. ხარკოვი. უკრაინა
რეზიუმე

იმისათვის რომ გაგვესაზღვრა თიოქტის მჟავას დამხმარე ნივთიერებებთან და ადამიანის ბიოლოგიურ გარემოსთან ურთიერთქმედებისას შესაძლო ქცევა, თიოქტის მჟავას თვისებების პროგნოზირება მოხდა რაოდენობრივი თანაფარდობების: სტრუქტურა-აქტივობა/სტრუქტურა-თვისება განსაზღვრის მეთოდით ChemAxon, ChemBioOffice 2010 კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. თიოქტის მჟავა აკმაყოფილებს ლიპინსკის „ხუთეულის წესს“ და შეიძლება გამოყენებულ იქნას პერორალური მიღებისას: მოლური მასა არ აღემატებოდა 500-ს, თავის სტრუქტურაში მას აქვს არაუმეტეს 10 წყალბადური ბმის აქცეპტორული და როტაციური კავშირები არაუმეტეს 5 წყალბადური ბმის დო-



ნორთან, ხოლო $\log P$ არ აღემატებოდა 5. გამოთვლილი იქნა სტრუქტურულ-მოლეკულური აღწერილობები, როგორცაა ქიმიური შემადგენლობა, სტრუქტურა, გეომეტრიული და კვანტურ-ქიმიური სტრუქტურა. კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სასურველია შეიქმნას თიოქტის მჟავას კომპლექსი მაღალმოლეკულური მატარებლით, რაც უზრუნველყოფს მის სტაბილურობასა და პროგნოზირებად ბიოშეღწევადობას კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა ნაწილში.



თანამედროვე ფარმაცია
მეცნიერება და პრაქტიკა



**DIRECTION 2. ELABORATION OF FORMULATION AND TECHNOLOGY OF MODERN
 COSMECEUTICALS, CHEMICAL-PHARMACEUTICAL AND BIOTECHNOLOGICAL
 PREPARATIONS. THEIR BIOPHARMACEUTICAL AND PHARMACOLOGICAL STUDY**

**მიმართულება 2. თანამედროვე ქიმიურ-ფარმაცევტული, კოსმეტიკური და
 ბიოტექნოლოგიური პრეპარატების
 რეცეპტურისა და ტექნოლოგიის შემუშავება,
 ბიოფარმაცევტული შესწავლა**

**Carica Papaya-ს პროტეაზების შემცველი ლიპოსომების
 რეცეპტურული და ტექნოლოგიური კვლევები**

დ. ლაბაზიძე, მ. ორჯონიძე, ბ. ცაბარეიშვილი, ლ. ნადირაშვილი,
 ბ. ერქომაიშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმი-
 ის ინსტიტუტი

ფერმენტოთერაპიაში პროტეოლიზური ფერმენტების გამოყენების სირთულეები უკავშირდება მათ გვერდით მოვლენებს, ტოქსიკურობას, ალერგენობას, ბიოსითხეებში ფერმენტის დაუცველობას და ინაქტივირებას. კვლევა ეძღვნება მცენარე პაპაიას (Carica Papaya) უმწიფარი ნაყოფების რძეწვენისაგან მიღებული პროტეოლიზური ფერმენტების კომპლექსის - პაპაინის ლიპოსომური წამლის ფორმის შემუშავებას.

პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა. თსსუ ი. ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია ორიგინალური პრეპარატი „კარიპაზიმი“, რომელიც ფართოდ გამოიყენება საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის (ხერხემლის თიაქარი) პათოლოგიის სამკურნალოდ ელექტროფორეზის მეთოდით [1,2]. კარიპაზიმის აქტიური კომპონენტი - პაპაიას ფერმენტების კომპლექსი - პაპაინი ფიზიოლოგიურ, შეშუპებისა და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებასთან ერთად ავლენს პროტეაზების დამახასიათებელ არასასურველ გვერდით მოვლენებს, როგორცაა ალერგენობა, სწრაფი ინაქტივირება ფიზიოლოგიურ პირობებში, ლოკალურად მაღალი კონცენტრაციის შექმნის სირთულე და სხვა, რაც ზღუდავს მათ თერაპიულ გამოყენებას. მეტიც, პაპაინი მისი მაღალი ალერგენური და სხვა ტოქსიკური თვისებების გამო ამოღებულია ზოგიერთი ევროპული ქვეყნის სამკურნალო საშუალებების რეესტრიდან [3]. პაპაინის ახალი სამკურნალო ფორმების შემუშავების კვლევები არ კარგავს აქტუალობას [4]. პრობლემა შეიძლება დაძლეული იქნეს ფერმენტის იმობილიზაციის გზით. ფერმენტების ჩართვა ლიპოსომებში პირველ რიგში იცავს მათ ინაქტივირების, pH-ის ცვლილების, მაღალმოლეკულური ტოქსინების, ინჰიბიტორების, მიკროორგანიზმების ან სხვა ფერმენტების ზემოქმედებისაგან, მეორეს მხრივ იცავს ორგანიზმს ტოქსიკური სუბსტანციის (ფერმენტის) მავნე ზემოქმედებისაგან. ლიპოსომები ბიომეთავსებადია, არ იწვევენ იმუნოლოგიურ, ალერგიულ და პიროგენულ რეაქციებს, და დაშლის შემდეგ მათი შემადგენელი ფოსფოლიპიდები უტილიზირდება უჯრედის მემბრანის კომპონენტებად. აღნიშნულიდან გამომდინარე ფერმენტული პრეპარატის ახალი თაობის თანამედროვე სამკურნალო ფორმის შემუშავება შექმნის პრეპარატის გამოყენების ახალ პერსპექტივებს.

კვლევის მიზანია პაპაინის მაღალეფექტური და ნაკლებ ტოქსიკური ლიპოსომური



ფორმის შემუშავება, რაც გააფართოებს აღნიშნული ფერმენტების ფარმაცოლოგიური გამოყენების არეალს.

რეაქტივები და მასალები: მცენარე პაპაიას (Carica Papaya) უმწიფარი ნაყოფების რძეწვე-ნისაგან მიღებული ფერმენტების კომპლექსი - პაპაინი (Nanning Pangbo Biological Engineering Co., Ltd); ლიპოსომური მემბრანის შემადგენელი კომპონენტები: სოიოს ფოსფატიდილქოლინი, კვერცხის ფოსფატიდილქოლინი, ქოლესტერინი, D-გლუკოზა, ალფა-ტოკოფეროლის აცეტატი, L-ცისტეინი, სეფადექსი G-25, სეფადექსი G-50–Sigma Aldrich-დან, კაზეინი – Carl Roth - დან.

მეთოდები: გამოყენებული იყო კვლევის ფიზიკო-ქიმიური და ტექნოლოგიური მეთოდები. ლიპიდური აპკის ჰიდრატაციის, იჟექციისა და ულტრაბგერითი დამუშავების მეთოდები [5, 6, 7]; ლიპოსომების ხარისხის მაჩვენებლების დასადგენად შემუშავებული იქნა თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები - ნატიური და ლიპოსომური პაპაინის პროტეოლიზური აქტივობები განისაზღვრა კაზეინის სუბსტრატზე ანსონის მოდიფიცირებული მეთოდით [8]; სპექტროფოტომეტრული განსაზღვრა ჩატარდა კვარცის კუვეტებში (10 მმ), Jasco V-730 UV-Vis სპექტროფოტომეტრზე. სპექტრები ავტომატურად დამუშავდა UV-Probe სისტემის პროგრამული უზრუნველყოფით (ვერსია 2.14.02). pH განისაზღვრა Milwaukee - Mi 150 pH მეტრზე. ნანონაწილაკების საშუალო დიამეტრი და ძეგა - პოტენციალი - აპარატზე Zetasizer Nano ZS, Malvern Instruments, - სინათლის გაბნევის დინამიური სპექტროსკოპიის მეთოდით: ინკაფსულირების ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებული იქნა გელ-ფილტრაცია (სეფადექსი G-50 და G-25), ლიპოსომური დისპერსია სტერილურად იფილტრებოდა მემბრანულ ფილტრებში (ფორების დიამეტრი 45 მკმ). კვლევების შედეგები სტატისტიკურად დამუშავდა პროგრამით Microsoft Excel.

კვლევის შედეგები, მათი ინტერპრეტაცია და დასკვნები: კვლევის პირველ ეტაპზე შეირჩა დამხმარე ნივთიერებები, მათი ფიზიკო-ქიმიური და ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად. ლიპოსომური მემბრანის ძირითად კომპონენტად გამოყენებული იქნა ბუნებრივი ფოსფოლიპიდები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უჯრედის აგებულებასა და ფუნქციონირებაში - ფოსფატიდილქოლინი (კვერცხისა და სოიოს ლეციტინები) და ქოლესტერინი, რომლის დანიშნულებაც მიანიჭოს ნანოსტრუქტურას მექანიკური სიმტკიცე, ბუნებრივი ანტიოქსიდანტი ალფა-ტოკოფეროლი - ლიპიდების ჟანგვითი პროცესების გასაწესებად.

ლიპოსომებს ვიღებდით იჟექციის და ულტრაბგერითი დამუშავების მეთოდებით. პირველ შემთხვევაში პაპაინის წყლიან ფაზაში სწრაფად შეგვყავდა ლიპიდის ეთანოლიანი ხსნარი, მეორე შემთხვევაში კი ფოსფოლიპიდური აპკის ჰიდრატირებას ვახდენდით პაპაინის წყლახსნარით. ლაბორატორიულ პირობებში მიღებული მახასიათებლებით (ნაწილი, ინკორპორირების ხარისხი) ნაჩვენები იყო ჰიდრატაციის მეთოდის უპირატესობა. ამ მეთოდით მომზადდა ლიპოსომების 5 პირველადი კომპოზიცია, პაპაინისა და ფოსფოლიპიდების სხვადასხვა წონითი თანაფარდობით. მიღებული ლიპიდური დისპერსიის სტერილური ფილტრაციის შემდეგ მოწმდებოდა ლიპოსომების საშუალო დიამეტრი და დისპერსიულობა (ცხრილი-1). ოპტიმალურად იქნა მიჩნეული კომპოზიცია მასური თანაფარდობით: პაპაინი / ლეციტინი / ქოლესტერინი / ალფა-ტოკოფეროლის აცეტატი, (1,0 : 10,0 : 2,0 : 0,03).



მიღებული ლიპოსომების საშუალო დიამეტრი მერყეობდა 400 დან 840 ნმ, პოლიდისპერსულობის ინდექსი 0,52 -დან 0,96-მდე. კვლევის შემდეგ ეტაპზე, ლიპოსომების ზომების შემცირების და ჰომოგენურობის მიღწევის მიზნით გამოყენებული იქნა ულტრაბგერის მეთოდი. ნიმუშებს ულტრაბგერითი დამუშავების წინ ვამატებდით გლუკოზას (ლევციტინის მასის 30%), წამლის ფორმის მიცემის მიზნით, და ვატარებდით 43 კპკ სიხშირის ულტრაბგერას 15 - 60 წთ-ის განმავლობაში. ნაწილაკების ზომების ეფექტური შემცირება მიიღწეოდა 45 წუთიანი „გახმოვანების“ შედეგად (ცხრილი 1).

ინკორპორირების ეფექტურობის დასადგენად განხორციელდა ლიპოსომებში „ინკორპორირებული“ და „თავისუფალი“ პაპაინის დაყოფა გელ-ფილტრაციის მეთოდით სეფადექსებზე G-25 და G-50, ელუანტი - გასუფთავებული წყალი, ელუაციის სიჩქარე 0,5 მლ/წთ (მიწოდება ტუმბოს საშუალებით). პაპაინის რაოდენობის კონტროლი ხორციელდებოდა სპექტროფოტომეტრულად 280 ნმ ტალღის სიგრძეზე. წინასწარი კვლევებით შესწავლილი იქნა ნატიური პაპაინის და თავისუფალი ლიპოსომების გელ-ფილტრაცია იგივე პირობებში. ლიპოსომური დისპერსიის გელ-ფილტრაციით მიიღებოდა პაპაინის შემცველი ორი ფრაქცია, ლიპოსომური პაპაინის გამოსვლის დრო (7- 12 წუთი) ემთხვევა ლიპოსომების გამოსვლის დროს, თავისუფალი პაპაინი - (18-23 წთ), წარმოდგენილია ქრომატოგრამაზე (სურ. 1.)

დასკვნა: ბუნებრივი ფოსფოლიპიდების: ქოლესტერინის და სოიოს ლევციტინის საფუძველზე შემუშავებულია პაპაინის შემცველი ლიპოსომების ნიმუშები ფოსფოლიპიდური აპკის ჰიდრატაციის და ულტრაბგერითი დამუშავების მეთოდით. მიღებულია ლიპოსომები ხარისხის პარამეტრებით (საშუალო დიამეტრი : 192,6 ნმ (მათ შორის 174,1 ნმ -ის ზომის ნაწილაკები შეადგენს 85,8%) , პოლიდისპერსულობის ინდექსი - 0,308 , ძეტა-პოტენციალი - (- 36,3± 4,7) , ინკორპორირების ეფექტურობა შეადგენს საშუალოდ 70-80%.


ცხრილი 1. ჰიდრატაციის მეთოდით მიღებული პაპაინის ლიპოსომების ზომები ულტრაბგერით დამუშავებამდე და დამუშავების შემდეგ

შე	მოდელური შემადგენლობის წონი-ნაწილი				Daver. nm (ულტრაბგერით დამუშავებამდე)	PDI (ულტრაბგერით დამუშავებამდე)	Daver. nm (ულტრაბგერის შემდეგ)	PDI (ულტრაბგერის შემდეგ)	Z-Pot mV (ულტრაბგერის შემდეგ)
	პაპაინი	კვერცხის ლევციტინი	სოიოს ლევციტინი	ქოლესტერინი					
1	1,0	11,0	0	0	840,6	0,838	694,4	0,421	-27,4 ± 4,64
2	1,0	0	11,0	1,0	669,2	0,965	465,9	0,565	-57,8± 6,56
3	1,0	0	10,0	2,0	509,8	0,449	192,6	0,308	-36,3±4,72
4	1,0	5,0	5,0	0	479,5	0,753	257,1	0,443	-
5	1,0	5,0	5,0	1,0	400,1	0,517	333,7	0,507	29,4±6,57 -36,4±4,64

შენიშვნა: ყველა ნიმუში შეიცავდა ალფა-ტოკოფეროლის აცეტატს (ლევციტინის რაოდენობის 0,3 %),



სურ. 1. პაპაინის ლიპოსომური დისპერსიის გელ-ფილტრაციის ქრომატოგრამა



ლიტერატურა:

1. Найдин В., Бобков Ю., Юричев П. Способ лечения неврологических и ортопедо-травматологических патологии. Патент России 2 141 359, 20.11.1999г.
2. Карипазим (Caripazum) Лиофилизат д/пригот. р-ра д/наружн. прим. 350 ПЕ: фл. 1 шт. регистрационного удостоверения №:П N013577/01 от 19.05.08 Институт фармакохимии им.И.Г.Кутателадзе АН Грузии (Грузия), Vidal - Copyright © Справочник Видаль «Лекарственные препараты в России»
3. Shuren J (2008-09-22). "Topical Drug Products Containing Papain; Enforcement Action Dates" (PDF). United States Food and Drug Administration, Department of Health and Human Services. Archived from the original (PDF) on 1 March 2017.
4. Sahu K, Kaurav M, Pandey RS. Protease loaded permeation enhancer liposomes for treatment of skin fibrosis arisen from second degree burn. Biomed Pharmacother. 2017 Oct;94:747-757
5. Kirby and Gregoriadis, Biotechnology v.2, p.979-984 (1984)
6. A.D.Bangham et al., J. Mol. Biol. 13, 238 (1965)
7. 7.C. Demetzos Monograph on "Pharmaceutical Nanotechnology: Fundamental and Practical Applications", Ed. Springer 2016
8. Каверзнева Е.Д. Стандартный метод определения протеолитической активности для комплексных препаратов протеаз. Прикл. Биохим. И микробиол. 1971, 7(2), 225-228.

DEVELOPMENT OF TECHNOLOGIES AND FORMULATIONS OF CARICA PAPAYA PROTEASE LIPOSOMES

D. LAGAZIDZE, M. ORJONIKIDZE, G. TSAGAREISHVILI, L. NADIRASHVILI, G. ERKOMAISHVILI
Tbilisi State Medical University, Iovel Kutateladze Institute of Pharmacochemistry
SUMMARY

"Karipazim" - an original medication of the TSMU I. Kutateladze Institute of Pharmacochemistry is successfully being used to treat maladies of the musculoskeletal system (spinal hernia).

The active component of Karipazim - a complex of enzymes derived from the milky sap of unripe fruits of the Papaya plant (*Carica papaya*) – papain is known to have a fibrinolytic, edematous and anti-inflammatory activity, but also shows a variety of adverse side effects such as allergies, rapid elimination, rapid inactivation in physiological conditions, a difficulty in local concentration build up and so on.

In order to overcome this problem a laboratory technique for obtaining papain-containing liposomes by the method of phospholipid shell hydration has been developed; based on natural phospholipids: cholesterol, soy and lecithin.

The ratio of membrane components and papain was determined as well as the qualitative parameters of liposomes (D- 192.6 nm ; PDI- 0.308 ; zeta-potential - (- 36.3± 4,7) and the average efficiency of papain incorporation (70-80%).



SOME ISSUES RELATED TO THE DEVELOPMENT OF CREAM FOR ACNE SPOT TREATMENT

CHUBINIDZE N.Z.¹, BASHURA A.G.², ABULADZE N.B.¹, ALAVIDZE N.¹,
IAVICH P.A.^{1,3}

¹Akaki Tsereteli State University. Kutaisi. Georgia

²National University of Pharmacy. Kharkiv. Ukraine

³Tbilisi State Medical University I. Kutateladze Institute of Pharmacochemistry. Tbilisi.
Georgia

Acne is the most common skin disease not only in the United States, but also in a number of other countries, and it strikes up to 80% of the population at some point in their life. To date, there are widely used the active cosmetics applied point-by-point to the problematic skin areas, contributing to their early recovery.

The purpose of our study was to develop the remedy for acne spot treatment in the form of cream, using active pharmaceutical ingredients mostly of natural origin.

We identified the active pharmaceutical ingredients of cream. Based on the composition of the active substances and the purpose of cream, we chose an emulsion base and determined its components and their quantities.

A pharmaceutical study of a number of properties of the cream was carried out, as well as an allergy test on volunteers.

The results obtained allow us to continue work on improving the formulation and further pharmaceutical study of developments for acne spot treatment.

The Global Burden of Disease Study 2010 found that acne vulgaris (henceforth acne) is the eighth most common skin disease, with an estimated global prevalence (for all ages) of 9.38%. In different countries and among different age groups, the prevalence of acne varies, with estimates ranging from 35% to close to 100% of adolescents having acne at some point. Acne is the most common skin disease not only in the United States, but also in a number of other countries, and it strikes up to 80% of the population at some point in their life [1-2].

To date, there are widely used the active cosmetics applied point-by-point to the problematic skin areas, contributing to their early recovery.

The purpose of our study was to develop the remedy for acne spot treatment in the form of cream, using active pharmaceutical ingredients mostly of natural origin.

Based on the composition of active substances and the purpose of cream, we have chosen an emulsion base that contained: distilled monoglycerides (which are both an emulsifier and a stabilizing substance), cetyl palmitate (with its properties, it is an analogue of animal spermaceti, without natural impurities), stearin (an emulsifier and stabilizer), Carbomer 940 (stabilizer, gelling agent), methyl and propyl esters of gallic acid, and desalted water.

As active pharmaceutical ingredients, there were used: acids - salicylic, lactic, glycolic, mandelic; dry extracts of aloe leaves, chamomile flowers; essential oils of eucalyptus, tea tree; and also - chlorhexidine bigluconate, medical sulfur, zinc acetate mixed with zinc oxide (in equal amounts); sea buckthorn oil.

As is known, cosmetic creams are classified into emulsion, fat- and gel-based creams. By the type of the emulsion, emulsion creams are classified into water/oil, oil/water and mixed creams. Fat-based creams are composed of fatty components and special additives. Gel-based creams are the colloidal systems containing water, fat emulsions, special additives and gel-forming components. We used for the study the standard that applies to cosmetic creams, gel-based creams and other similar products intended for skin-care [3].

A physical form of the drug dosage form being developed is an indiscrete mass that does not foreign matters. The color is white with a yellowish-reddish tinge. It smells like a fragrance component. A



mass fraction of water and volatile substances is not less than 75%. The stability of the emulsion was determined in accordance with GOST 29188.3 (State Standard) [4]. When determining the colloidal stability after centrifugation in the test tubes, no separation of water or oil phases is observed. When determining the thermal stability, after the aging of cream in a test tube at a temperature of 40-42 °C, no separation was observed as well for 24 hours.

Additionally, the following studies were conducted: the spread test was carried out according to the methodology [5]. By the formed spots (45 -55 mm), the cream must be quite easily applied onto the skin. More study is planned on the osmotic properties of cream, its stability during storage, shelf life and so on.

When spreading cream onto the inner flexura of the elbow joint of the volunteers twice a day within 5 days, no allergic reactions were observed. Volunteer tests are still ongoing.

The results obtained allow us to continue work on improving the formulation and further pharmaceutical study of developments for acne spot treatment.

REFERENCES:

1. Anna Hwee Sing Heng, Fook Tim Chew Systematic review of the epidemiology of acne vulgaris *Scientific Reports* volume 10, Article number: 5754 (2020). Available from: <https://www.nature.com/articles/s41598-020-62715-3>
2. Jonette E. Keri. Вульгарные угры. University of Miami, Miller School of Medicine. Последнее изменение содержания дек. 2018. Available from: <https://www.msmanuals.com/ru/профессиональный/дерматологическая-патология/акне-и-связанные-с-ними-расстройства/вульгарные-угры>
3. ГОСТ 31460-2012 Кремы косметические. Общие технические условия. Available from: <http://docs.cntd.ru/document/1200096465>
4. ГОСТ 29188.3-91 Изделия косметические. Методы определения стабильности эмульсии. Available from: <http://docs.cntd.ru/document/1200022370>
5. Иванкова Ю.О., Верниковский В.В., Степанова Э.Ф. Исследования по выбору основы для наружной лекарственной формы коллагеназы//Современные проблемы науки и образования. 2015. № 2-2.; URL: <http://www.science-education.ru/ru/article/view?id=22085> (дата обращения: 01.02.2018).

აკნეს წერტილოვანი მკურნალობის რეცეპტურის შემუშავების ზოგიერთი საკითხი ნათია ჩუბინიძე¹, ალექსანდრე ბაშუჩა², ნინო აბულაძე¹, ნატო ალავიძე¹, კაველ იავიჩი³

¹აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი. საქართველო
²ფარმაციის ეროვნული უნივერსიტეტი. ხარკოვი. უკრაინა

³ოსსუ ი.ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი. საქართველო რეზიუმე

აკნე კანის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა არა მარტო აშშ-ში, არამედ რიგ სხვა ქვეყნებშიც. ავადობს მოსახლეობის 80% ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში. დღეისათვის აკნეს პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის გამოიყენება კოსმეტიკური საშუალებები, რომლებიც დაიტანება კანის პრობლემურ უბნებზე წერტილოვნად, რაც ხელს უწყობს სწრაფ ეფექტს.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო აკნეს საწინააღმდეგო საშუალების შემუშავება კრემის სახით და წერტილოვანი მკურნალობისათვის ძირითადად ბუნებრივი წარმოშობის აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტების გამოყენებით.

ჩვენს მიერ განსაზღვრული იქნა აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტების ჩამონათვალი, აქტიური ნივთიერებებიდან და კრემის დანიშნულებიდან გამომდინარე ჩვენ ამოვირჩიეთ ემულსიური ფუძე, განვსაზღვრეთ ფუძის კომპონენტები და მათი თანაფარდობა.

გამოკვლეული იქნა კრემის ზოგიერთი ფარმაცევტული მახასიათებელი, ასევე ჩატარებულია სინჯი ალერგიულობაზე. სინჯი ჩატარდა კვლევის მონაწილეებზე და მათი ოჯახის წევრებზე.

მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა გაგრძელდეს მუშაობა აკნეს წერტილოვანი მკურნალობის რეცეპტურის დახვეწისა და განვითარებისათვის და ჩატარდეს მათი მომავალი ფარმაცევტული შესწავლა.



ბიოლოგიურად აქტიური მშრალი ტომატპროდუქტების წარმოება

მაღზაზი მიქაბერიძე, მარიაგი მიქაბერიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესორი. ქუთაისი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სტუდენტი. ქუთაისი,

მოცემული ნაშრომი ეძღვნება მშრალი ტომატპროდუქტების წარმოების პროცესში ინფრაწითელი სხივური ენერჯის გამოყენებას. ჩვენს მიერ შემუშავებულია მშრალი ტომატპროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური სქემა; დადგენილია ინფრაწითელი (იწ) სხივური ენერჯით ტომატის ნედლეულის თბური დამუშავების (შრობა) ოპტიმალური რეჟიმული პარამეტრები; დადასტურებულია იწ სხივური ენერჯით ტომატის ნედლეულის თბური დამუშავების მეთოდის მიზანშეწონილობა და პერსპექტიულობა.

დღესათვის მსოფლიოში პომიდორი ყველაზე გავრცელებული ბოსტნეულია. სტატისტიკური მონაცემებით ტომატის წარმოება წელიწადში 130 მილიონ ტონას აჭარბებს, პოპულარულია კულინარიული და სამედიცინო ფუნქციური თვისებებით, როგორც ნედლეული, ისე მისგან წარმოებული ნახევარფაბრიკატები. ტომატის მსხვილი მწარმოებლები არიან ჩინეთი, აშშ, თურქეთი და ინდოეთი. პომიდორს აწარმოებს ევროკავშირის ქვეყნებიც - იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, ჰოლანდია და რუმინეთი (8%). ევროპელთა 90% მოიხმარენ პომიდორს. ევროპულ ბაზარზე შემოტანილი ბოსტნეულის დიდი წილი პომიდორზე მოდის.

პომიდორი და მისი წვენი, რკინის მაღალი შემცველობის გამო სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და ანემიის დროს. პომიდორში შემავალი ნივთიერებები ახდენს ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზებას, თირკმელებისა და ნაწლავების სტიმულირებას, არტერიული წნევის და ქოლესტერინის დონის დაქვეითებას. ლიკოპინი, რომელითაც მდიდარია პომიდორი, ანეიტრალებს თავისუფალ რადიკალებს, ხელს უშლის სიმსივნური წარმონაქმნების ზრდა-განვითარებას და დნმ-ის მუტაციას. პომიდორის ნახევარფაბრიკატები შეიცავს რემეძავას, რომელიც სასარგებლოა ნაწლავის ნორმალური მიკროფლორის შენარჩუნებისათვის. პომიდორის ნაყოფი შეიცავს ცილებს, ნახშირწყლებს, პექტინურ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, კაროტინოიდებს, ვიტამინებს, მინერალებს. პომიდორის კალორიული შემცველობა არის 19,9 კკალ.

შრობის ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა მშრალი ტომატპროდუქტები წარმოებული იქნეს როგორც საწარმოო, ისე საოჯახო პირობებში. აღნიშნული პროდუქტები გამოიყენება როგორც უშუალოდ საკვებად, ასევე ემატება სალათებს, ორცხობილებს, ომლეტებს, ხორცპროდუქტებს და სხვა, გამოირჩევა მკვეთრი არომატით, განსხვავებით ტომატპასტებისაგან და თუნდაც ნედლი ტომატისაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ მშრალი ტომატპროდუქტები არ ითქვიფება კერძების მომზადებისას და ფაქტიურად სრულად ინარჩუნებს ფორმას და გემოვნურ თვისებებს.

ჩვენი შრომის მიზანს შეადგენდა მშრალი ტომატპროდუქტების წარმოების (ორად და ოთხად დაჭრილი, უხეშად დაქუცმაცებული (კანგაუცლელი) პროცესის ინტენსიფიკაცია.

შრობის პროცესი კვების მრეწველობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია და ხორციელდება კონვექტიური ტიპის საშრობი მანქანებით, რომლებსაც დადებით მხარეებთან ერთად აქვთ მთელი რიგი უარყოფითი მხარეები, ამიტომაც ამ მიმართულებით კვლევებისა და



ძიების გაფართოება უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. სწორედ ამან განსაზღვრა ჩვენს მიერ შერჩეული საკვლევი თემა და შრობის პროცესისათვის არჩეული ენერჯის წყარო – ინფრაწითელი სხივური (იწ) ენერჯია.

შშრალი ტომატპროდუქტების წარმოების ჩვენს მიერ შერჩეულ ტექნოლოგიურ სქემას იწ სხივური ენერჯის გამოყენებით აქვს შემდეგი სახე: **ნედლეული ტომატი – ინსპექცია – რეცხვა – დახარისხება – დაკალიბრება – დაჭრა – შრობა იწ სხივური ენერჯით – დაყოვნება – დახარისხება – დაფასოება – შენახვა.**

საკვლევ მასალად არჩეული იქნა „ჩვეულებრივი პომიდორი“ წითელი შეფერილობით, რომლისგანაც მომზადდა დაჭრილი (ორად დაჭრილი (წონა - 26,8 გრ, მთლიანი ფართობი - 58,5 სმ², ჩამოჭრილი ზედაპირის ფართობი (%)) - 19,2 სმ², სასარგებლო ხვედრითი ფართობი - 0,72 სმ²/გრ და ოთხად დაჭრილი (12,4 გრ, 40,3 სმ², 18,5 სმ², 1,45 სმ²/გრ) უხეშად დაქუცმაცებული (3,7 გრ, 14,6 სმ², 9,3 სმ², 2,75 სმ²/გრ), კანგაუცლელი საკვლევი მასალა (იხ. ცხრ.1).

ცხრილი 1

საკვლევ მასალად არჩეული ტომატის ნედლეულის საშუალო ქიმიური და ფიზიკური მაჩვენებელი

პროდუქტი	საშუალო ქიმიური და ფიზიკური მაჩვენებელი					pH
	გლუკოზა, %	ფრუქტოზა, %	ასკორბინმჟავა მგ/100გრ	ლიკოპინი მგ/100გრ	ხსნადი ნივთიერებები %	
ტომატის კონდიციური ნედლეული	1,85	1,65	31	2,75	5,20	4,1

მრავალრიცხოვანმა ექსპერიმენტებმა უჩვენეს, რომ ტომატის დაჭრილი ნაყოფების ხელოვნური შრობა ეფექტურია შრობის სამი ფაზით.

მეთოდის შესაბამისად საკვლევი მასალა შეგვქონდა გაცხელებულ კამერაში და ვათავსებდით მეტალის ბადეზე ერთ რიგად. პროცესის ოპტიმალურ ტემპერატურებად მიღებული გვექონდა შრობის I ფაზა - 70-75 °C, შრობის II ფაზა - 50-55 °C, შრობის III ფაზა - 75-80°C.

ცხრილი 2

გამშრალი ტომატპროდუქტების გაყავისფერების ინდექსი სხვადასხვა ტემპერატურაზე

პროცესის ტემპერატურა, °C	შრობის ხანგრძლივობა, T, წთ		გაყავისფერების ინდექსი, A	ნარჩენი ტენიანობა, %
საანალიზო (შრობა მოქმედი ტექნოლოგიით)	80-85	360-480	1,255	13-15
ექსპერიმენტული (შრობა იწ სხივური ენერჯით)	70-75	175-225	0,670	13-15
	50-55			
	80-85			

კვლევებით დადგინდა იწ სხივური ენერჯით ტომატპროდუქტების შრობის რეჟიმები, კერძოდ: უწყვეტი დასხივების შემთხვევაში: იწ გენერატორების ტიპი – nik-220-1000; დასხივების სიმკვრივე P=0,3±0,5კვტ/მ²; დაცილება გამოსაკვლევ მასალასა და იწ სხივების გენერატორებს



შორის $H=18\text{სმ}$; თბური დასხივების ხანგრძლივობა - I ფაზა – $\tau = 60...65$ წთ ($70-75^{\circ}\text{C}$); II ფაზა – $\tau = 90...95$ წთ ($50-55^{\circ}\text{C}$); III ფაზა – $\tau = 25...65$ წთ ($80-85^{\circ}\text{C}$), ნახევარფაზრიკატის ნარჩენი ტენიანობა, 13-15%.

ექსპერიმენტების შედეგებმა უჩვენეს, რომ იწ სხივების სპეციფიკური ეფექტური ზემოქმედება მასალაზე მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქციის ხარისხს (იხ. ცხრ. 2, 3).

ცხრილი 3

საანალიზო და ექსპერიმენტული მზა ნიმუშების ორგანოლეპტიკური შედარებითი დახასიათება

ორგანო-ლეპტიკური მკვებ-ლები	გარეგანი სახე	ფერი	გემო და სუნი	ექსტრაქტის კონსისტენცია	ტენის მასური წილი, %
საანალიზო	არაერთგვაროვანი ფორმის მშრალი პროდუქტი, ადვილად იდენტიფიცირებადი, როგორც ტომატი, არაწებვადი, ერთფეროვანი შეფერილობის, გარეგნული დეფექტების გარეშე, ზედაპირული ტენიანობის გარეშე	მუქი წითელი, ერთგვაროვანი	საიამოვნო, მომყავო-მოტკბო, დამახასიათებელი კონცენტრირებული ტომატპროდუქტებისათვის, გარეშე სხვა სუნისა და არომატის გარეშე	ხორციანი, საგრძნობლად პლასტიკური	16
ექსპერიმენტული	არაერთგვაროვანი ფორმის მშრალი პროდუქტი, ადვილად იდენტიფიცირებადი, როგორც ტომატი, არაწებვადი, მკვეთრი ერთფეროვანი შეფერილობის, გარეგნული დეფექტების გარეშე, ზედაპირული ტენიანობის გარეშე	მუქი წითელი, ნათელი, ერთგვაროვანი, გაჯერებული,	საიამოვნო, მომყავო-მოტკბო, დამახასიათებელი კონცენტრირებული ტომატპროდუქტებისათვის, მკვეთრად გამოხატული, გარეშე სხვა სუნისა და არომატის გარეშე	ხორციანი, საგრძნობლად პლასტიკური	16

ამდენად, იწ ენერჯის გამოყენებით ბიოლოგიურად აქტიური ტომატპროდუქტების წარმოება იწ სხივური ენერჯის გამოყენებით მიზანშეწონილი და პერსპექტიულია. ექსპერიმენტული მონაცემებით დადგინდა ტომატპროდუქტების შრობის რეჟიმები, კერძოდ: უწყვეტი დასხივების შემთხვევაში: იწ გენერატორების ტიპი – NIK-220-1000; დასხივების სიმკვრივე $P=0,3\pm 0,5\text{კვტ/მ}^2$; დაცილება გამოსაკვლევ მასალასა და იწ სხივების გენერატორებს შორის $H=18\text{სმ}$; თბური დასხივების ხანგრძლივობა - I ფაზა – $\tau = 60...65$ წთ ($70-75^{\circ}\text{C}$); II ფაზა – $\tau = 90...95$ წთ ($50-55^{\circ}\text{C}$); III ფაზა – $\tau = 25...65$ წთ ($80-85^{\circ}\text{C}$). პროცესის ინტენსივობა იზრდება 3-ჯერ და მეტად. იწ სხივების სპეციფიკური ეფექტური ზემოქმედება მასალაზე მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქციის ხარისხს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მიქაბერიძე მ. კვების საწარმოების პროცესები და მანქანა-აპარატურული სისტემები. სახელმძღვანელო. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქ. ქუთაისი. 2015 წ. 492 გვ.;
2. მიქაბერიძე მ. კინწურაშვილი ქ. ხილ-ბოსტნეულის შრობის ტექნოლოგია და ტექნოლოგიური



მოწყობილობა. სახელმძღვანელო. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქ. ქუთაისი, 2014. 300 გვ;

3. Микаберидзе М.Ш., Чакветадзе Ш. М., Пруидзе М. Р. Интенсификация процессов сушки ягод в поле ИК лучей // Экономика: экономика и сельское хозяйство, 2017. №8 (20). URL: [http://aeconomy.ru/science/agro/intensifikatsiya-protsessov-sushki-/](http://aeconomy.ru/science/agro/intensifikatsiya-protsessov-sushki/)
4. მიქაბერიძე მ. სასურსათო პროდუქტთა წარმოების პროცესში ნედლეულის დამუშავების ძირითადი მეთოდები. დამხმარე სახელმძღვანელო. „მზმ პოლიგრაფის“ გამომცემლობა, ქ. ქუთაისი. 2019 წ. 290 გვ.

PRODUCTION OF BIOLOGICALLY ACTIVE DRY TOMATO PRODUCTS
MALKHAZI MIKABERIDZE, MARIAMI MIKABERIDZE
Akaki Tsereteli State University. Professor. Kutaisi.
Akaki Tsereteli State University. Student. Kutaisi
ABSTRACT

This work is dedicated to the use of infrared energy in the production of dry tomato products. We have developed a technological scheme for the production of dry tomato products; Have been established optimal modes of thermal processing (drying) of tomato raw material with infrared (IR) energy; The expediency and prospects of heat treatment (drying) of tomato raw materials in the field of infrared rays are substantiated.

თანამედროვე ფარმაცია
მეცნიერება და პრაქტიკა



RESEARCH OF RHEOLOGICAL PROPERTIES OF SEMISOLID DOSAGE FORMS

KUKHTENKO H. P., KUKHTENKO O. S., SAIKO I. V., KRAVCHUK V. V.
National University of Pharmacy, Kharkiv, Ukraine

Rheological studies form the basis of the pharmaceutical development of semisolid medicines and the substantiation of parameters of their technological process. The combination of rheological parameters allows characterizing the samples under study in terms of their consistency properties, as well as studying the degree of their mechanical destruction and deformation under the influence of destructive factors. These parameters allow assessing consumer properties (spreadability, tube extrusion), mechanical stability, and safety at storage.

Introduction. The State Pharmacopoeia of Ukraine defines semisolid medicinal products (SSMP) as semisolid dosage forms (SSDF) with specific rheological attributes at a set temperature: a non-Newtonian flow type, a certain structural viscosity, pseudoplastic (or plastic), and thixotropic properties. The combination of these properties can be determined using rheoviscometers, which operation is based on the gradual destruction of a SSDF structure with subsequent restoration.

Comprehensive rheological studies are necessary for [1,]:

- development of the optimal composition of a SSMP (evaluation of the effect of excipients on the plastic-viscous properties of systems);
- development of production technology (system behavior during mixing, dispersion, deaeration);
- selection of transportation and packaging conditions (the behavior at the transfer of the SSMP, filling in tubes);
- evaluation of consumer properties (squeezing out of the tube, stability, spreadability, softness, and tenderness of the sensation on the skin, prevention of an arbitrary flow out of the tube);
- system stability assessments (long-term storage stability, transport stability).

Purpose of research. To investigate the rheological (viscoelastic or structural-mechanical) properties of semisolid medicinal products, made on various carrier bases.

Materials and methods of research. The objects of the study were semisolid medicinal products, manufactured by the chemical and pharmaceutical plant "Krasnaya Zvezda" (Kharkiv) and different in dispersion medium (carrier base):

- "Hyoxyson" ointment, the base consists of mineral oil and yellow soft paraffin;
- "Prednisolone" ointment, base-glycerin, soft yellow paraffin, purified water, stearic acid, emulsifier No. 1;
- "Diclofenac 1%" gel, base-glycerin, mineral oil, carbomer, polyethoxylated hydrogenated castor oil, 15% ammonia, 96% ethanol, purified water;
- "Thiotriazolin" gel, base – methylcellulose, glycerin, water;
- "Laevomekol" ointment, base-polyethylene glycol 400, and polyethylene glycol 1500.

The rheological (structural and mechanical) properties of the samples were determined using a rotary viscometer "Rheolab QC" (Anton Paar, Austria) with coaxial cylinders C-CC27/SS, which meets the requirements of the ISO 3219 standard. Rheological parameters were studied at a temperature of 25 ± 0.5 °C.

The experiment was controlled using the RheoPlus software. Plotting of the rheological curve was carried out in three stages: a) linear increase of the shear rate from 0.1 sec^{-1} to 350 sec^{-1} , with 115 points of measurement and point measurement duration 5 sec; b) constant shear at a shear rate of 150 s^{-1} , one measurement point of 5-sec duration; c) a linear decrease in shear rate from 350 sec^{-1} to 0.1 sec^{-1} , with



115 points of measurement and measurement point duration of 5sec.

Using the Casson's mathematical model, the system flow point and "viscosity at infinite shear rate" have been determined.

The study of thixotropic properties was carried out in three stages: a) a constant shear at a rate 1 sec^{-1} , 5 points of measurement, duration of measurement point 5 sec; b) a constant shear rate of 150 sec^{-1} , 50 points of measurement, duration of a measurement point 1 sec; c) constant shear rate of 1 sec^{-1} , 250 points of measurement, duration of a measurement point 1 sec.

Results and conclusions. All the SSDF samples under study, except for the "Thiotriazolin" gel, had a plastic flow type, i.e. for the system to flow, it is necessary to achieve a certain yield stress expressed in the shear rate. During the increasing shear rate, a stress emerges within the system, counteracting the shear; the shear stress at which the system begins to flow is called the yield point (Fig. 1, 2).

The yield point, calculated by Casson model for ointment "Hyoxysone" - 227,6 Pa, for ointment "Prednisolone" - 123,19 Pa, for ointment "Laevomekol" - 60,59 Pa, gel "Diclofenac 1%" - 68,29 Pa, gel "Thiotriazolin" - 0.35 Pa, the gel "Troxeutin" - 67,61 Pa. The higher the value of the yield point is, the more force must be applied to the tube to squeeze out the ointment, but at low values, spontaneous leakage from the tube can be observed. Thiotriazolin gel has a pseudoplastic flow type, the yield point has a low value, which indicates a spontaneous flow process (Fig. 4, 5) [1, 2, 3, 4, 5].




Fig. 1 rheological flow Curves of the studied samples of semisolids

Many models, describing the rheological curve, assume that the viscosity tends to a constant limit value at high shear rates. This is why it is often referred to as "viscosity at infinite shear rate". The calculated "viscosity at infinite shear rate" is equal To $0.59 \text{ Pa} \cdot \text{sec}$ for Hyoxyzone ointment, $0.33 \text{ Pa} \cdot \text{sec}$ for Prednisone ointment, $1.06 \text{ Pa} \cdot \text{sec}$ for Laevomekol ointment, $0.76 \text{ Pa} \cdot \text{sec}$ for Diclofenac 1% gel, $2.30 \text{ Pa} \cdot \text{sec}$ for Thiotriazoline gel, and $0.26 \text{ Pa} \cdot \text{sec}$ for Troxeutin gel.

As can be seen from the results, the "Thiotriazoline" gel has the highest value of "viscosity at infinite shear rate" at low values of rheoparameters, which characterizes it as a strong system.

During the study of the rheological type of flow the ascending and descending curves are plotted,



the ascending characterizes the behavior of the system at increasing speed of destruction, descending one characterizes its recovery at a decreasing speed. The area enclosed between the ascending and descending curves is called the hysteresis area. The value of the hysteresis loop area has a twofold meaning: on the one hand, the smaller its value, the faster the system is restored after destruction, which guarantees its stability during processing, and on the other hand, the larger it is, the better the spreadability, i.e. the ability of the semisolid to be distributed on the skin surface, occupying a larger area, the larger the area of the hysteresis loop (Fig. 2) [1, 2, 3, 4, 5].




Figure 2. Dependence of the shear stress (τ , PA) on the shear rate (γ , s^{-1})




Fig. 3 Three-interval test for studying the thixotropic properties of the studied samples of semisolids

The calculated value of the hysteresis loop area is 42006 Pa/s for Hyoxysone ointment, 25438 Pa/s for Prednisolone ointment, 28011 Pa/s for Levomekol ointment, 1380 Pa/s for Diclofenac 1% gel, and



920 Pa/s for Thiotriazoline gel. The data demonstrate that for ointments made on a hydrophobic basis, a larger area of the hysteresis loop is characteristic, while for gels, regardless of the nature of the gel-forming agent, a small area of the hysteresis loop is characteristic.

The study of thixotropic properties is performed under shear conditions with a constant rate, which is a criterion of difference from the study of the flow curve, where the shear rate is increasing [1, 2, 3, 4, 5]. The studied samples after the destruction at a constant rate of 150 s^{-1} for 50 s restore the structure in different ways, thus, the gels "Diclofenac 1%" and "Thiotriazoline" restore the viscosity by 95.22% and 97.11%, respectively 10 sec after removing the shear rate and 97.12% and 98.30, respectively, after 60 sec. Levomekol ointment restores the structure to a lesser extent-15.26% after 10 seconds and 26.99% after 60 seconds. Prednisolone ointment behaves radically differently, after 10 seconds the viscosity is restored by 455.89% and after 60 seconds the viscosity is 116.62% (Fig. 3).

Conclusions. Thus, the study of the rheological properties of SSDF has both theoretical significance and practical application of the research results in the development of the composition and technology.

References

1. Bautista F, de Santos J, Puig J, et al. Understanding thixotropic and antithixotropic behavior of viscoelastic micellar solutions and liquid crystalline dispersions. I. The model [Article]. Journal of Non-Newtonian Fluid Mechanics. 1999 JAN 1999;80(2-3):93-113.
2. Dinkgreve M, Fazilati M, Denn M, et al. Carbopol: From a simple to a thixotropic yield stress [Article]. Journal of Rheology. 2018 MAY 2018;62(3):773-780.
3. Kukhtenko H, Gladukh I, Kukhtenko O, et al. Influence of Excipients on the Structural and Mechanical Properties of Semisolid Dosage Forms. Asian Journal of Pharmaceutics. 2017 Jul-Sep;11(3):P575-P578.
4. Malkin A.Ya., Isaev A.I. Rheology: concepts, methods, applications. trans. from Eng. St. Petersburg: Profession;2007.
5. Mazger TG. The Rheology Handbook: For users of rotational and oscillatory rheometers. 2nd revised ed. Hannover: Vincentz Network; 2006.

რბილი წამლის ფორმების რეოლოგიური თვისებების გამოკვლევა
კუსტინკო ჰ. პ., კუსტინკო ო. ს., საიკო ი. ვ., კრავჩუკ ვ. ვ.
ფარმაციის ეროვნული უნივერსიტეტი. ხარკოვი. უკრაინა
რეზიუმე

რეოლოგიური კვლევები ქმნიან საფუძველს რბილი წამლის ფორმების განვითარებისათვის და მათი ტექნოლოგიური პროცესების პარამეტრების დასაბუთებისათვის. რეოლოგიური მახასიათებლები საშუალებას იძლევიან დავახასიათოთ საკვლევი ნიმუშების კონსისტენტური თვისებები, ასევე მათი დეფორმაციისა და მექანიკური ხარისხი მათზე დამრღვევი ფაქტორების ზემოქმედების დროს. ამ პარამეტრებით შესაძლებელი ხდება შეფასდეს რბილი წამლის ფორმების სამომხმარებლო თვისებები (განთხევადობა/ცხებადობა, ტუბებიდან გამოწნევა/ექსტრუზია), მექანიკური მდგრადობა და უსაფრთხოება შენახვის დროს.

თანამედროვე ფარმაცია
მეცნიერება და პრაქტიკა



EXTRACTS AS A COMPONENT OF MEDICINAL PRODUCTS

MATSIUK K., VYSHNEVSKA L., BUHAI A.
National University of Pharmacy, Kharkiv, Ukraine

Increased interest in drugs derived from medicinal plant raw materials (MPRM) is still observed due to their effectiveness and safety. Medicinal plant raw materials contain a complex of biologically active compounds (BAS) of various chemical structure and physiological action in a balanced and harmonious combination, which allows to optimally influence all pathological links of the disease, including chronic, i.e. long-term, course of the disease. The common molecular structure and high degree of affinity of BAS plants and human tissues, as well as the similarity of many biochemical processes occurring in their cells, provides a significant effect of phytomedicines on individual stages of metabolism in cells without disrupting the natural course of physiological processes in the body. Widespread use of MPRM is observed in Europe, Asia, America, despite the well-developed chemistry of organic synthesis and the possibility of creating synthetic biologically active compounds, i.e. the problems of extraction and increase the efficiency of extraction methods are relevant.

It is the extracts obtained from medicinal plant raw materials that are used in pharmaceutical development both as intermediates and as final (finished) products. Total drugs are natural mixtures of active pharmaceutical ingredients and ballast substances, the full qualitative and quantitative composition of which is unknown. By extracting one or more substances from complex systems with a selective extractant, it is possible to obtain quantified extracts in which the content of components or markers is regulated within certain limits. The extractant is chosen depending on the mechanism and technological features of the extraction process. It must be with low solubility in the original medicinal plant raw materials, selectivity, i.e. the ability to extract from the source material only one component or group of desired components.

MPRM mainly has several types of biological activity, each of which is associated with different BAS groups, so the medical use of the same type of medicinal raw material may be different. When extracting medicinal plant raw materials, mixed solvents (extractants) are often used to improve the separation conditions.

**მასტრატები როგორც სამკურნალო პროდუქტების კომპონენტი
მაცისკ კ., ვიშნევსკა ლ., ბუჰაი ა.
ფარმაციის ეროვნული უნივერსიტეტი, ხარკოვი, უკრაინა
რეზიუმე**

სამკურნალო მცენარეული ნედლეულისგან მიღებული წამლებისადმი ინტერესი კვლავ მზარდია მათი ეფექტურობისა და უსაფრთხოების გამო. სამკურნალო მცენარეული ნედლეული შეიცავს ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კომპლექსს, სხვადასხვა ქიმიური სტრუქტურისა და ფიზიოლოგიური მოქმედების დაბალანსებული და ჰარმონიული კომბინაციით, რაც საშუალებას იძლევა ოპტიმალურად მოახდინოს გავლენა ყველა პათოლოგიაზე, დაავადების ქრონიკული, ანუ გრძელვადიანი მიმდინარეობის ჩათვლით. მცენარეებისა და ადამიანის ქსოვილების ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ზოგადი მოლეკულური სტრუქტურა და მაღალი აფინურობა, ასევე მათ უჯრედებში მიმდინარე მრავალი ბიოქიმიური პროცესების მსგავსება, უზრუნველყოფს ფიტომედიკამენტების მნიშვნელოვან გავლენას უჯრედებში მიმდინარე მეტაბოლიზმის ცალკეულ ეტაპებზე, ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესების ბუნებრივი მიმდინარეობის დარღვევის გარეშე.

ევროპაში, აზიაში და ამერიკაში ფართოდ გამოყენება სამკურნალო მცენარეული ნედლეულის-



გან მიღებული წამლები, მიუხედავად ორგანული სინთეზის კარგად განვითარებული ქიმიისა და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შექმნის შესაძლებლობებისა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სამკურნალო მცენარეული წებლეულის მოპოვების პრობლემები, მათი მოპოვების მეთოდების ეფექტურობის გაზრდა და სამკურნალო მცენარეული წებლეულის ექსტრაქციის მეთოდების ეფექტურობის გაზრდა.

ექსტრაქტები, მიიღება სამკურნალო მცენარეული წებლეულისგან, რომლებიც გამოიყენება ფარმაცევტულ წარმოებაში როგორც შუალედური, ასევე საბოლოო (მზა) პროდუქტების სახით. სამკურნალო მცენარეული წებლეულისგან მიღებული წამლები არის აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტებისა და ბალასტური ნივთიერებების ბუნებრივი ნარევეები, რომელთა სრული თვისობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობა უცნობია. რთული სისტემებიდან ერთი ან მეტი ნივთიერების გამოყოფა და რაოდენობრივი შემცველობით წებლეულთან 1:1 ექსტრაქტების მიღება შესაძლებელია შერჩევითი ექსტრაქციით, რომელშიც კომპონენტების შემადგენლობა ან მარკერები რეგულირდება გარკვეულ ზღვრებში. ექსტრაქტის არჩევა ხდება მათი მოქმედების მექანიზმის შესაბამისად და ექსტრაქციის პროცესის ტექნოლოგიური მახასიათებლების მიხედვით. ექსტრაქტი უნდა იყოს შერჩეული დაბალი ხსნადობით ორიგინალ სამკურნალო მცენარეულ წებლეულის გამოსაწვლილად, ამიტომ აუცილებელია ექსტრაქციის შერჩევითობა, ე.ი. საწყისი მცენარეული წებლეულიდან მხოლოდ ერთი კომპონენტის ან სასურველი კომპონენტების ჯგუფის ექსტრაქციის შესაძლებლობა.

სამკურნალო მცენარეული წებლეულისგან მიღებული წამლებს ძირითადად აქვს რამდენიმე სახის ბიოლოგიური აქტივობა, თითოეული მათგანი ასოცირდება განსხვავებულ ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ჯგუფებთან, ასე რომ, ერთი და იგივე ტიპის სამკურნალო წებლეულის სამედიცინო გამოყენება შეიძლება განსხვავებულიც იყოს. სამკურნალო მცენარეული წებლეულის ექსტრაქციისას, ექსტრაქციის პროცესების გასაუმჯობესებლად ხშირად იყენებენ შერეულ ექსტრაგენტებს.

თანამედროვე ფარმაცია
მეცნიერება და პრაქტიკა



აზირომიცინის მოქმედების სპეციფიკა კისტოფიბროზის მძიმე პაციენტებში

მ.კანდელაკი, ნ.ალაშიძე, ლ.გვარამია, ნ.თავაძე
 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აზირომიცინი (აზალიდი, 9-დეოქსო-9ა-აზა-9ა-მეთილ-9ა-ჰომოერიტრომიცინი A, 9-დეოქსო-9ა-აზა-9ა-მეთილ-9ა-ჰომოერიტრომიცინ დიჰიდრატი) რეკომენდებულია კისტო-ფიბროზის მკურნალობაში, სასუნთქი ტრაქტის *Ps. aeruginosa* - ით ქრონიკული კოლონიზაციისას, მისი ანტიმიკრობული და იმუნომოდულაციური თვისებების გამო. ანთებით კერაში პრეპარატი ამცირებს ნეიტროფილების ქემოტაქსისს, თრგუნავს ციტოკინების ექსპრესიას, ასუსტებს მიკრობის ვირულენტობა/პათოგენობას მხოლოდ ხანგრძლივ სამკურნალო რეჟიმში და მცირე დოზებში, რის შედეგადაც უმჯობესდება პაციენტთა სიცოცხლის ხარისხი და ხანგრძლივობა.

პანკრეასის კისტოფიბროზი (მუკოვისციდოზი) მძიმე პათოლოგიაა, რომელსაც თანახლავს სასუნთქი სისტემის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და იშვიათად, სანაღვლე და შარდ-გამოყოფი გზების დაზიანება.

კარგად არის ცნობილი, რომ დაავადება გენეტიკურად განპირობებულია. მის განვითარებას საფუძვლად უდევს ტრანსმემბრანული მარეგულირებელი ცილის (CFTR) დეფექტი, რომელიც პასუხისმგებელია Na-ის და Cl-ის იონების ტრანსპორტზე უჯრედის მემბრანაში. კისტოფიბროზის დროს, პათოლოგიური ცვლილებები აღინიშნება ყველა ორგანოში, სადაც ეგზოკრინული ჯირკვალი გამოყოფს ლორწოს, მათ შორის სასუნთქ გზებში. Cl-იონები ვედარ გადადის ჯირკვლის სადინარში, ხდება გამოყოფილი სეკრეტის დეჰიდრატაცია და შესაბამისად, მისი წებოვნების მომატება.

სასუნთქი სისტემის დაზიანება კისტოფიბროზის ფონზე მძიმეა. პაციენტთა უმეტესობას სიცოცხლეში გადააქვთ ფილტვების დაავადების გამწვავების უამრავი ეპიზოდი, მორეციდივე და გახანგრძლივებული პნევმონიების სახით, რის შედეგადაც მათი იმუნური სისტემა სხვადასხვა პათოგენის შეტევის მუდმივი ობიექტი ხდება. ბრონქული სეკრეტიდან ამოთესილი მიკრობიოლოგიური სპექტრიც სერიოზულია - *St.aureus*, *Ps.aeruginosae*, *B.cenocepacia*, *H.influencae*, ატიპიური მიკობაქტერიები და სხვა. სწორედ ინფექციური გართულებები სასუნთქი ორგანოების მხრიდან არის დაავადებულთა სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი. გამომდინარე აქედან, ანტიბიოტიკები წარმოადგენს მუკოვისციდოზის მკურნალობის აუცილებელ კომპონენტს და მათ მიერ პათოლოგიური პროცესის გაკონტროლება ხორციელდება როგორც გამწვავებისას, ასევე რემისიის პერიოდში (ქრონიკული თერაპია) [1].

თანამედროვე ეტაპზე, მუკოვისციდოზის პათოგენური მექანიზმების შესწავლით ირკვევა, რომ ინფექციური პროცესის გარდა, ფილტვის დაავადების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მძაფრი ანთებითი რეაქცია, ციტოკინების ჰიპერპროდუქციით და გამოხატული ნეიტროფილური ინფილტრაციით. ამ უკანასკნელთა მიერ გამოყოფილი ღმმ, ელასტაზა, ტოქსიკური ჯანგბადის რადიკალები და პროტეოლიზური ფერმენტები დამაზიანებელ როლს თამაშობს პათოლოგიურ პროცესში.

გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან, ჩვენი მიზანია მიმოვიხილოთ მაკროლიდი აზირომიცინის უჯრედშიგა ფარმაკოკინეტიკა და ვაჩვენოთ მისი როგორც იმუნომოდულა-



ტორის თვისებები, ავღწეროთ პრეპარატის მრავალმხრივი ზემოქმედება *Ps.aeruginosae* - ბაქტერიაზე, რომელიც ითვლება კისტოფობროზით დაავადებულთა ძირითად რესპირატორულ პათოგენად.

აზოთრომიცინი მეორე თაობის, „თანამედროვე“ მაკროლიდია, რომელიც ახდენს მუკოვისციდოზის მიმდინარეობის მოდიფიცირებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასუნთქ ხეში მრავლდება ფსევდომონაზური ბაქტერიების მუკოიდური შტამები. მიკროორგანიზმების კოლონიზაციას თან ახლავს ე.წ. ბიოფენების ფორმირება, სადაც გროვდება ბაქტერიები და მათ მიერ გამოშვებული დიდი რაოდენობის ალგინატები (პოლისაქარიდული არაუჯრედული მატრიქსი). აღნიშნულ პირობებში მიკროორგანიზმები უკვე მიუწვდომელია როგორც ანტიბიოტიკების, ასევე იმუნური სისტემისთვის. გარდა ამისა, ბიოფენებში შემავალი ალგინატები, როგორც ანტიგენები, შედიან რეაქციაში ანტისხეულებთან, რაც წარმოქმნის დამატებით იმუნურ კომპლექსებს, ლიმფოციტებისა და პოლიმორფულ-ბირთვიანი ლეიკოციტების მასიური ინფილტრაციით და ანთებითი ალტერაციებით. „ხელსაყრელ“ პირობებში, ფსევდომონაზური ბაქტერიები იწყებენ ბიოფენებიდან გამოთავისუფლებას და სასუნთქ გზებში ვითარდება მწვავე ინვაზიური ინფექცია. ამ შემთხვევაში სისტემური ანტიბიოტიკების (მაგ, ცეფალოსპორინების ინტრავენური ინექცია) გამოყენება დროებით აუმჯობესებს კლინიკურ სიმპტომატიკას, თავისუფლად მოზინადრე, ე.წ. „პლანქტონური“ ბაქტერიების განადგურების ხარჯზე. ამავე დროს, გამომწვევის ბოლომდე ერადიკაცია ვერ ხერხდება, რადგან ცოცხალი ბაქტერიების გარკვეული ნაწილი რჩება ბიოფენების შიგა შრეებში.

ექსპერიმენტული კვლევების მონაცემებით ირკვევა, რომ 15 - წევრიან მაკროლიდს ($C_{38}H_{72}N_2O_{12}$), აზოთრომიცინს, გააჩნია უნიკალური თვისება, მცირე კონცენტრაციებშიც კი, დაამუხრუჭოს ფსევდომონას ბიოფენების შემდგომი ფორმირება. ძირითადი სამიზნე „კოოპერაციული მგრძობელობის“ პროცესისა (quorum sensing) და მისი სასიგნალო მოლეკულების, ანუ აუტონდუქტორების სინთეზის დათრგუნვაა, რასაც თან სდევს იმუნური პასუხის შესუსტება (პროინფლამატორული ციტოკინის, ინტერლეიკინ - 8 შემცირებით) და ლორწოს ჰიპოპროდუქცია. პრაქტიკულად, ქვორუმ-სენსინგზე (ბაქტერიული კულტურის რეაქცია) დამოკიდებულია ბიოფენების სტრუქტურული მთლიანობის ფორმირება და შენარჩუნება.

ხანგრძლივი გამოყენების ფონზე, აზოთრომიცინი სხვა მექანიზმებითაც ასუსტებს *P.aeruginosa* - ს ვირულენტობის და პათოგენობის ფაქტორებს. კერძოდ, იგი თრგუნავს ალგინატების პროდუქციას და მასთან იმუნური კომპლექსების ფორმირებას, ზღუდავს მიკრობთა მოძრაობას, მათ ადჰეზიას სასუნთქ ეპითელიუმზე, ხოლო მცირე დოზებში ინტრაცელულურად დაგროვებისას, ახდენს ბაქტერიციდულ ეფექტს. ანტიმიკრობული მოქმედების სპექტრთან ერთად, მაკროლიდი ასტიმულირებს მაკროფაგების აქტივობას და აადვილებს ნეიტროფილების მიერ ფსევდომონაზების ფაგოციტირებას. დადგენილია, რომ პრეპარატი გამოირჩევა აგრეთვე ბრონქების ეპითელიურ უჯრედებში ანტივირუსული რეაქციების ინდუცირების უნარით [2].

აზოთრომიცინის მნიშვნელოვან ფარმაკოთერაპიულ სამიზნეს კისტოფობროზით დაავადებულლებში წარმოადგენს მასპინძლის ორგანიზმის (მაკროორგანიზმი) რესპირატორულ ტრაქტში ანთებითი რეაქციის აქტივაცია. ფუნდამენტურმა კვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნული მაკროლიდი ავლენს უნიკალურ ანთების საწინააღმდეგო ეფექტებს, იმუნომოდულაციის



სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით. უპირველესად, იგი თრგუნავს ციტოკინურ პასუხს, რასაც თან ახლავს პროანთებითი მედიატორების TNF- α , IL-1 β , IL-6, IL-8, IL-4, GM-CSF სინთეზის შემცირება; მეორეს მხრივ, ნეგატიურად მოქმედებს რესპირატორული ტრაქტის ეპითელიურ უჯრედთა სასიგნალო გზებზე, რაც უპირველესად, გამოიხატება ტრანსკრიფციის ფაქტორების – NF-kB და AP-1 ბლოკირებაში. სწორედ ამ მექანიზმით შეიძლება აიხსნას აზითრომიცინის სარწმუნო ეფექტი, არაპირდაპირი მექანიზმით დათრგუნოს ლორწოს ჰიპერსეკრეცია, ციტოკინების პროდუქცია, ნეიტროფილების რეკრუტირება (ქემოატრაქცია) ანთებით კერაში და უჯრედთა პროლიფერაცია. და ბოლოს, აზითრომიცინი იწვევს გლუტათიონ - S - ტრანსფერაზის აქტივობის შემცირებას, რითაც ავლენს ანტიოქსიდანტურ თვისებებს [2,4].

ამრიგად, აზითრომიცინის სასარგებლო ეფექტი კისტოფიბროზის მქონე პაციენტებისთვის, გამომდინარეობს მისი ორმაგი - ბაქტერიციდული და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებიდან. მყავე არეში მდგრადობისა და ლიპოფილური თვისებების გამო, პრეპარატი სწრაფად შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან და ფილტვის ანთების კერაში ქმნის ეფექტურ კონცენტრაციებს (სასუნთქი გზებში მისი უჯრედშიგა კონცენტრაცია 1200-ჯერ მეტია, ვიდრე სისხლის პლაზმაში). ამასთან, წამლის ნახევრადდაშლის პერიოდი განმეორებითი მიღებისას იზრდება 48-96 საათამდე, რის გამოც პრეპარატის ბაქტერიციდული კონცენტრაცია ნარჩუნდება ბოლო მიღებიდან 5-7 დღის განმავლობაში (პოსტანტიბიოტიკური ეფექტი).

Illustration 4. Respondents' opinion about the pharmacists' certification by the government.

Analysis: The vast majority of respondent Patients' consider, that the government should make the certification of pharmacists.

Conclusion: The higher pharmaceutical education and the pharmacist specialists' certifications programs are guarantee for higher professionalism of pharmacist specialists and of higher pharmaceutical service provision in pharmacies. Only the pharmacists with higher pharmaceutical education have the right to work at the pharmacist position in the pharmacies. Therefore, the role of pharmacist should be underlined in healthcare system. The higher quality healthcare and pharmaceutical services education level is of great matter. The provided study showed that the health of patients was directly related to the professional education level of pharmacist. Therefore, pharmacist should have appropriate higher pharmaceutical education, higher professional knowledge in pharmacology, pharmaceutical care, pharmacotherapy, clinical pharmacy and other professional subjects.

Key words: pharmaceutical care, medicine, regulation, pharmacist, patient, pharmacy, drug-store, profession.

REFERENCES

1. Thomas R. Brown; By Thomas R. Brown - Handbook of Institutional Pharmacy Practice // 4th (fourth) Edition; American Society of Health-System Pharmacists (December 1, 2006); pp. 65-71.
2. Mary E. Mohr RPhMS; Standards of Practice for the Pharmacy Technician (Lww Pharmacy Technician Education) // LWW; Student edition (January 20, 2009);pp. 312-336.
3. International Pharmaceutical Federation. FIP Statement of Policy: Medicines Information for Patients. The Hague: FIP; 2008. Available at:http://www.fip.org/www/uploads/database_file.php?id=290&table.id.
4. Krass I. Ways to boost pharmacy practice research. The Pharmaceutical Journal 2015;(2).
5. ParthasarathiG. A Textbook of Clinical Pharmacy Practice: Essential Concepts and Skills // Universities Press India Private Limited; 2 edition (January 18, 2017); pp. 26-37.
6. Franklin B. D.& van Mil J. W., Defining clinical pharmacy and pharmaceutical care // Pharm World Science 2005;27(3): p. 137-144.
7. N. Sulashvili; Peculiarities of professional and career improvement strategy for pharmacists' republic of Armenia ministry of education and science; Yerevan state medical university; Dissertation; Dissertation for the



- Scientific Degree of PhD in Pharmaceutical Sciences; On specialty 15.00.01 – Pharmacy; YEREVAN – 2019; Pp 1-175;
- Shane P. Desselle, David P. Zgarrick, Greg Alston; Pharmacy Management: Essentials for All Practice Settings // Fourth Edition; 2016,pp. 329-347.
 - Michael Ira Smith, Albert I. Wertheimer, Jack E. Fincham; Pharmacy and the US Health Care System; Pharmaceutical Press // 4th Revised edition edition (April 15, 2013);pp. 402-426.
 - International Pharmaceutical Federation (FIP). Continuing Professional Development/Continuing Education in Pharmacy // Global Report 2014. The Hague: International Pharmaceutical Federation; 2014.
 - Clinical Skills for Pharmacists: A Patient-Focused Approach //3 edition (Tietze, Clinical Skills for Pharmacists) by Karen J. TietzePharmD (Mar 31, 2011).
 - Red-Hot Careers; Clinical pharmacist RED-HOT Career Guide; 2592 REAL Interview Questions // Create Space Independent Publishing Platform 2017;pp. 216-242.
 - Karen J. TietzePharmD; Clinical Skills for Pharmacists: A Patient-Focused Approach, 3e (Tietze, Clinical Skills for Pharmacists) // Mosby; 3 edition (March 31, 2011); pp. 64-96.
 - N. Sulashvili, N. Kvizhinadze, M. Gogashvili, M. Beglaryan; Common characteristics and scope of young pharmacist professionals in Georgia; Materials of 12th Scientific and Practical Internet Conferences, The National University of Pharmacy, Scientific and Practical Internet-Conference: «Pharmacoeconomics in Ukraine, Condition and Development Prospects», (Kharkiv, Ukraine, May 22, 2020 Year). Pp 153-156.
 - Royal Pharmaceutical Society (RPS). Foundation Pharmacy Framework, a Framework for Professional Development in Foundation Practice across Pharmacy // London: Royal Pharmaceutical Society; 2014.
 - Van Mil J. F., Schulz M., Tromp TFD. Pharmaceutical care, European developments in concepts, implementation, teaching, and research: a review // Pharm World Sci. 2014;26(6); pp. 303–321.

**THE FEATURES OF PHARMACISTS' PROFESSIONAL CHALLENGES AND REGULATION TRAIT
ISSUES THOUGHT- OUT BY THE PATIENTS
NODAR SULASHVILI, MARGARITA BEGLARYAN, IRINE ZARNADZE, SHALVA (DAVIT)
ZARNADZE, NAIRA CHICHOYAN, TAMAR TSINTSADZE, NATIA KVIZHINADZE
ABSTRACT**

The main objective of the study was to analyze the features of pharmacists' professional challenges and regulation trait issues thought-out by the patients in Georgia. The study was a quantitative investigation and analysis of the features of pharmacists' professional challenges and regulation trait issues thought-out by the patients Georgia by using questionnaires. Were conducted a survey study. Questionnaires were for patients; 1506 patients were interviewed. Were used methods of systematic, sociological (surveying, questioning), comparative, mathematical-statistical, graphical analysis. The data were processed and analyzed with the SPSS program. We conducted descriptive statistics and regression analyses to detect an association between variables. Statistical analysis was done in SPSS version 11.0. A Chi-square test was applied to estimate the statistical significance and differences. We defined $p < 0.05$ as significant for all analyses. According to the study results, the majority of respondents mostly significant factors while choosing a pharmacy were: service culture, wide range of products and reasonable prices. For less than half part of respondents mostly significant factors while choosing a pharmacy were: possibility to receive consultation about medications with a physician/ a pharmacist, convenient location of the pharmacy, high qualification of pharmacist personnel. Therefore, the role of pharmacist is underlined in healthcare system. For the higher quality healthcare and pharmaceutical services education level is of great matter. The study provided showed that the health of patients was directly related to the professional education level of pharmacist. Therefore, pharmacist should have appropriate higher pharmaceutical education, higher professional knowledge in pharmacology, pharmaceutical care, pharmacotherapy, clinical pharmacy and other professional subjects. The higher pharmaceutical education and the pharmacist specialists' certifications programs are guarantee for higher professionalism of pharmacist specialists and of higher pharmaceutical service provision in pharmacies. Only the pharmacists with higher pharmaceutical education have the right to work at the pharmacist position in the pharmacies.



პაციენტების თვალთ დანახული ფარმაცევტების პროფესიული გამოწვევების მახასიათებლები და რეგულირების საკითხები

ნოდარ სულაშვილი 1³, მარბარტა ბებლარიან 2³, ირინე ზარნაძე 3³,
 შალვა (ღაბით) ზარნაძე 4³, ნაირა ჩიჩოიან 5³, თამარ ცინცაძე 6³, ნათია კვიციანი 7³
რეზიუმე

1. ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ფარმაცევტული მენეჯმენტის დეპარტამენტი, ერევანი, სომხეთი.
2. ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. ფარმაცევტული მენეჯმენტის დეპარტამენტი, ერევანი, სომხეთი.
3. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანდაცვის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო.
4. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კვებისა და ასაკობრივი მედიცინის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო.
5. ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. ფარმაცევტული დეპარტამენტი. ერევანი, სომხეთი.
6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციისა და ფარმაცოლოგიის დეპარტამენტი. თბილისი, საქართველო.
7. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო.
8. თბილისის ღია უნივერსიტეტის მედიცინის საერთაშორისო სკოლის ფარმაცოლოგიის მიმართულება, თბილისი, საქართველო.

კვლევის ძირითადი მიზანი იყო შეგვესწავლა პაციენტების თვალთ დანახული ფარმაცევტების პროფესიული გამოწვევების მახასიათებლები და რეგულირების საკითხები. განხორციელებულ იქნა პაციენტების თვალთ დანახული ფარმაცევტთა პროფესიული პრობლემების მახასიათებლებისა და რეგულირების საკითხების რაოდენობრივი შესწავლა და ანალიზი. კვლევა ჩატარდა კითხვარების გამოყენებით. კითხვარები შედგენილი იყო პაციენტებისთვის; გამოიკითხა 1506 პაციენტი. გამოყენებული იქნა სისტემური, სოციოლოგიური, შედარებითი, მათემატიკურ-სტატისტიკური, გრაფიკული ანალიზის მეთოდები. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა და გაანალიზდა SPSS-11 პროგრამის გამოყენებით. ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად ჩატარებულ იქნა აღწერითი სტატისტიკა და რეგრესიის ანალიზი. სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS ვერსია 11.0-ში. Chi-Square ტესტი გამოიყენებულ იქნა სტატისტიკური მნიშვნელობისა და განსხვავებების შესაფასებლად.

$P < 0,05$. გამოკითხვის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები აფთიაქის არჩევისას იყო: მომსახურების კულტურა, მედიკამენტების ფართო ასორტიმენტი და ხელმისაწვდომი ფასები. ასევე გამოკითხულთა უმრავლესობისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები აფთიაქის არჩევისას იყო: ფარმაცევტისგან მედიკამენტების შესახებ რჩევების მიღების შესაძლებლობა, აფთიაქის მოსახერხებელი ადგილმდებარეობა და მაღალკვალიფიციური ფარმაცევტული პერსონალის არსებობა აფთიაქში. ამრიგად, ფარმაცევტის როლი მნიშვნელოვანია და სასიცოცხლო ჯანდაცვის სისტემის წარმატებაში. სამედიცინო და ფარმაცევტული მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ფარმაცევტის განათლების დონეს. კვლევამ აჩვენა, რომ პაციენტების ჯანმრთელობა პირდაპირ კავშირშია ფარმაცევტების უმაღლესი განათლების დონესთან. ამიტომ ფარმაცევტებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უმაღლესი ფარმაცევტული განათლება და მაღალი დონის პროფესიული ცოდნა შემდეგი საგნებისა: ფარმაცოლოგია, ფარმაცევტული ზრუნვა, ფარმაცოთერაპია, კლინიკური ფარმაცია და ასევე სხვა პროფესიული დარგების სფეროების ღრმა და სისტემური ცოდნა. კვლევის შედეგების თანახმად უმაღლესი ფარმაცევტული განათლება და ფარმაცევტთა სასერთიფიკატო პროგრამები არის ფარმაცევტების მაღალი პროფესიონალიზმისა და აფთიაქში უმაღლესი დონის ფარმაცევტული დახმარებისა და ფარმაცევტული მომსახურების გაწევის გარანტიის საფუძველი. კვლევის შედეგებიდან ნათლად ჩანს რომ, აფთიაქში მხოლოდ უმაღლესი ფარმაცევტული განათლების ფარმაცევტებს უნდა ჰქონდეთ ფარმაცევტის პოზიციაზე მუშაობისა უფლება და შესაძლებლობა, როგორც ეს არის დარეგულირებული დასავლეთის ქვეყნებში.



პაციენტთა მომსახურება: XXI საუკუნის ავთიაქების ვიქტორი

ნინო აბულაძე, ნანა ბარათაშვილი, თამარ კილაძე, ნინო ბაკურაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვლევა წარმოადგენს მცირე მიმოხილვას და ეყრდნობა ძირითადად ლიტერატურული მონაცემების ანალიზს. იგი ავლებს პარალელს საქართველოში ფარმაცევტულ მომსახურებასა და დანარჩენ ევროპაში მის მდგომარეობას შორის.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა პაციენტთა მომსახურება ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე, გამოგვეჩვენა კარგი სააფთიაქო პრაქტიკის რეკომენდაციების დაცვის კანონმდებლობითი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა წანამდღვრების მნიშვნელობა.

ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახდა დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების ფარმაცევტული საქმის მოწყობის, სანებართვო-საკონტროლო სისტემის, აფთიაქების მონოპოლიზაციის, ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის, სააფთიაქო ასორტიმენტისა და სერვისების ზრდის საკითხები; OTC და Rx პრეპარატების დანიშვნაში ფარმაცევტისა და თერაპევტის შესაძლო თანამონაწილეობის იურიდიული ასპექტები. ზემოჩამოთვლილს მჭიდროდ უკავშირდება კარგი სააფთიაქო პრაქტიკა და ფარმაცევტული მომსახურება აფთიაქებში.

ფარმაცევტული საქმიანობა დღეს განსაკუთრებით საინტერესო და შემოსავლიანი საქმეა. აფთიაქი წარმოშობის დღიდანვე იყო კომერციული ორგანიზაცია, მაგრამ წლების მანძილზე მას არ დაუკარგავს თავისი სამედიცინო შინაარსი და ყველა ფარმაცევტის და აფთიაქის თავმომწონეობის საგანი წამლის ხარისხი და ფარმაცევტული მომსახურება იყო.

ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახდა დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ბელგიისა და ევროპის სხვა ქვეყნების ფარმაცევტული საქმის მოწყობის, სანებართვო-საკონტროლო სისტემის, აფთიაქების მონოპოლიზაციის, ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის, სააფთიაქო ასორტიმენტისა და სერვისების ზრდის საკითხები; OTC და Rx პრეპარატების დანიშვნაში ფარმაცევტისა და თერაპევტის შესაძლო თანამონაწილეობის იურიდიული ასპექტები. ზემოჩამოთვლილს მჭიდროდ უკავშირდება კარგი სააფთიაქო პრაქტიკა და ფარმაცევტული მომსახურება აფთიაქებში.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა პაციენტთა მომსახურება ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე, გამოგვეჩვენა კარგი სააფთიაქო პრაქტიკის რეკომენდაციების დაცვის კანონმდებლობითი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა წანამდღვრების მნიშვნელობა.

კვლევა წარმოადგენს მცირე მიმოხილვას და ეყრდნობა ძირითადად ლიტერატურული მონაცემების ანალიზს. იგი ავლებს პარალელს საქართველოში ფარმაცევტულ მომსახურებასა და დანარჩენ ევროპაში მის მდგომარეობას შორის.

სანამ ჩვენს კვლევას შევუდგებოდით, გავიხსენეთ საქართველოს აფთიაქების წარმოშობის სათავეები XIX საუკუნის შუა ხანებში, გავავლეთ პარალელი ვიქტორიანულ აფთიაქთან და გვინდა აღვნიშნოთ, რომ მაშინაც და დღესაც ქართული ფარმაცევტული აზროვნება ევროპულ სივრცესთანაა დაკავშირებული [1, 2].

რამდენად მდგრადია აფთიაქების თანამედროვე მოდელი, როგორ ვქმნით და ვთავაზობთ პაციენტებს ახალ-ახალ მომსახურებას, როგორ ვაიძულებთ სახელმწიფო უკეთ გაიგოს ფარმაცევტების წვლილი და ღვაწლი პროფესიულ საქმიანობაში, იქნება თუ არა აფთიაქი მომავალში. თუ ეს კითხვები ჩვენთვის ცნობილია, მარტოც არ ვართ. ასეთი განსჯა მიდის ევ-



როპის მთელს კონტინენტზე.

ევროპის სააფთიაქო სისტემების მოწყობა მრავალფეროვანია, თუმცა პრობლემები, რომელთა წინაშე დგება სააფთიაქო საქმე, განსაცვიფრებლად მსგავსია. წნეხი, რომელსაც განიცდის ფარმაცია, საოცრად ფართოდაა გავრცელებული ამ ქვეყნებში.

დიდი ბრიტანეთი საზოგადოებრივი აფთიაქების დაარსების მხრივ ევროპაში ავანგარდია, ამიტომ ბრიტანელი ფარმაცევტებისაგან ქართულმა ფარმაციაშიც ბევრი რამ უნდა ისწავლოს [3].

საფრანგეთი და ესპანეთი არის ევროპის ორი ქვეყანა ფარმაცევტული საქმის რეგულირების ყველაზე მკაცრი სისტემით. ყველა აფთიაქი ეკუთვნის ფარმაცევტებს. სააფთიაქო ქსელები აკრძალულია. ახალი აფთიაქის გახსნის კანონმდებლობა კრძალავს აფთიაქის გახსნას, თუ არ იქნება დაცული გეოგრაფიული და დემოგრაფიული პრინციპები. ეს კი მეტ-ნაკლებად შეუძლებელს ხდის ახალი აფთიაქების გახსნას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აფთიაქთა სიმჭიდროვე ორივე ქვეყანაში მეტია, ვიდრე დიდ ბრიტანეთში. ამასთანავე, მხოლოდ აფთიაქებს აქვთ გამორჩეული უფლება გაყიდონ OTC პრეპარატები.

ევროპის სხვა მსხვილი ბაზრებიც მკაცრადაა რეგულირებული. გერმანიაში არ არსებობს შესვლის კონტროლი, მაგრამ დაუშვებელია ფარმაცევტული ქსელები. იტალიაში შეიძლება სუპერმარკეტში წამლის ყიდვა ურეცეპტოდ, მაგრამ აფთიაქის მფლობელობა და მისი დაარსება-გახსნა შეზღუდულია. ევროკავშირში არსებობენ ქვეყნებიც, სადაც ბაზარზე შესვლის კონტროლი არ არსებობს, ქსელური აფთიაქის შექმნა და ღია გაყიდვაში OTC პრეპარატების გამოტანა დასაშვებია. ესენია ქვეყნები, რომლებიც, როგორც მათზე ამბობენ, სრულადაა ლიბერალიზებული [3, 4]

ევროკომისია გადაჭრით მხარს უჭერს თავისუფალ ბაზრებს. ევროსასამართლოს ერთ-ერთ საქმეში განხილულია მესაკუთრეობის წესები, ხოლო მეორეში - წამლის შემოტანის შეზღუდვაზე კონტროლის საკითხები. ორივე შემთხვევაში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდვები გამართლებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მოსაზრებით, ავადმყოფისთვის წამალი უნდა იყოს ხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო.

გერმანიის, იტალიისა და საფრანგეთის ფარმაცევტები იწონებდნენ ამ გადაწყვეტილებას, თუმცა ლიბერალიზაციის საშიშროება არსად გამქრალა. XXI საუკუნის დასაწყისში ირლანდიის, ნორვეგიის, შვეციის, პორტუგალიის, ნაწილობრივ იტალიის, ასევე აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნების მთავრობებმა ევროსასამართლოს მიერ დაწესებული შეზღუდვები გააუქმეს. თანავდროულად ესპანელმა კანონმდებლებმა აღადგინეს სააფთიაქო ქსელების ნებართვა, რაც გახდა პოლიტიკური სპეკულაციის საგანიც კი მაგალითად, იტალიაში. ფრანგი ფარმაცევტები იბრძვიან OTC პრეპარატებზე მონოპოლიის შენარჩუნებისათვის. თვით გერმანელი ფარმაცევტებიც პესიმისტურად აფასებენ სააფთიაქო ქსელების გაქრობას მომავლის ფარმაციაში [3, 4]. ეს იმას ნიშნავს, რომ ფარმაცევტებს აწყობთ სააფთიაქო ქსელები, მაგრამ, ინტერესმოკლებული არაა, როგორ აისახება იდეის მხარდაჭერა წამლის მომხმარებლებზე.

საგადასახადო და ფარმაცევტთა ანაზღაურების სისტემა დიდ ბრიტანეთში განსხვავდება ევროკავშირის სისტემისაგან, რამაც კრიზისის პერიოდშიც კი აფთიაქები ვერ დააზარალა მაშინ, როცა იგი ევროპის ყველა ქვეყანას შეეხო და რიგ შემთხვევებში აფთიაქები დაიხუ-



რა კიდევ [3].

სააფთიაქო მომსახურების პოპულარიზაცია შეუძლია ახალ სერვისებს აფთიაქში. რა სერვისები შეუძლია შესთავაზოს აფთიაქმა პაციენტს, გარდა წამალთმომსახურებისა. მიმოხილულმა ლიტერატურულმა წყაროებმა დაგვარწმუნეს, რომ აფთიაქი ყოველთვის იყო და იქნება ყველაზე ახლო, ფამილარული ურთიერთობების ადგილი. იმას, რასაც ვერ შევცვითხებით ექიმს, ადვილად შეგვიძლია ვკითხოთ ფარმაცევტს. გარდა იმისა, რომ აფთიაქები სთავაზობენ პაციენტებს სხვადასხვა მედიკამენტებს, გენერიულსა და ჯენერიკებს, სუბსტიტიურ ანალოგებს, ისინი სთავაზობენ სხვადასხვა სამედიცინო სერვისებსაც (წნევის გაზომვა, მხედველობის შემოწმება, სისხლის ანალიზი, თერაპევტთან ერთად OTC და Rx დანიშნულებაში თანამონაწილეობა და სხვა).

ზოგიერთ ქვეყნებში არსებობს ფარმაცევტული მომსახურების განვრცობის იურიდიული შეზღუდვები, ხშირად ძალიან გავრცელებულიც, რაც ეწინააღმდეგება ნებისმიერ მნიშვნელოვან სიახლეს აფთიაქში. ამ სიახლეებს წინააღმდეგობას უწევენ მედიცინის მუშაკები. თერაპევტების გარდა დიდ ბრიტანეთში ექიმებს ხშირად ანაზღაურებას უხდიან მათი ვიზიტების გამო. აქ ისინი უფრო ხიან შემოსავლისა და სტატუსის დაკარგვას, თუ ფარმაცევტები გააფართოებენ თავიანთ როლს [3].

თუმცა ნელა, მაგრამ ყველაფერი იცვლება. ბელგიასა და საფრანგეთში, ასევე ნიდერლანდებში, ამ ბოლო ხანებში შემოდებული იქნა სამედიცინო სამსახურის ახალი, მათთვის მისაღები ვერსია. ირლანდიელებმა და პორტუგალიელებმა ვაქცინაცია აფთიაქში შესაძლებლად მიიჩნიეს. თუმცა ევროკავშირის დანარჩენი ქვეყნების ფარმაცევტების მზერა უწინდებურად დიდი ბრიტანეთისკენაა მიმართული, იგი მათთვის წარმოადგენს ფარმაცევტული მომსახურების ვექტორს. კარგი ფარმაცევტული პრაქტიკის ასპექტები, რომლებიც დიდ ბრიტანეთში აღიქმება, როგორც „თავისთავად იგულისხმება“, აღმატებიან უმრავლესობის ყველაზე თამამ ნაოცნებარ ფარგლებს. საკითხავია, შეუძლია თუ არა დიდ ბრიტანეთს რამე ისწავლოს დანარჩენი ევროპისაგან, ამას გვეუბნება აღნიშნული ნაშრომი [3]. ევროპის სხვა ქვეყნების აფთიაქები მკაცრი ეკონომიის გამო მოკლებული არიან ახალი ბიზნეს-მოდელების შემუშავების შესაძლებლობას, ამიტომ აფთიაქში ახალი სერვისების შემუშავება შეზღუდულია, თუმცა არსებობს სამაგალითო, რაც შეიძლება დაისესხონ აფთიაქებმა, თვით დიდ ბრიტანეთშიც კი.

ავილოთ საფრანგეთში შექმნილი „აფთიაქის დოსიე“ (DP). DP - ეს არის თვით ფრანგი ფარმაცევტების მიერ შექმნილი და დანერგილი წამლების ელექტრონული ჟურნალი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით საფრანგეთის ყველა აფთიაქისთვის ხელმისაწვდომია. იგი ქვეყნის ნებისმიერ ფარმაცევტს საშუალებას აძლევს გაიგოს ავადმყოფის ბოლო ოთხთვიანი დანიშნულებები არა მარტო Rx, არამედ OTC პრეპარატების შესახებ. თუმცა აქ პაციენტის თანხმობა აუცილებელია. ამ ჟურნალმა შეამცირა რეცეპტში ცდომილებები და აღწერა წამლის გვერდითი, ადრე შეუმჩნეველი მოქმედებები.

სამაგალითოა ფარმაცევტისა და თერაპევტის თანამშრომლობის ჰოლანდიური სისტემა. დიდ ბრიტანეთშიც და სხვა ქვეყნებშიც ფართოდაა აღიარებული, რომ თუ ფარმაცევტები და თერაპევტები უფრო ახლოს ითანამშრომლებენ, გაუმჯობესდება წამლის უსაფრთხოება და ეფექტურობა, ასევე ავადმყოფის მოვლა. ნიდერლანდებში ეს წინადადება სერიოზულა-



დაა აღიარებული. აფთიაქარისა და თერაპევტის აღრიცხვის ეს პრაქტიკა ხდება სულ უფრო პოპულარული. ფარმაცევტები მიიღებენ ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგებს, შეძლებენ წაიკითხონ დიაგნოზი რეცეპტში. ორი პროფესია ხვდება ერთმანეთს და განიხილავენ მკურნალობას. ამის მიუხედავად, თერაპევტებს კანონით უფლება არ აქვთ გახსნან აფთიაქები. ჰოლანდიური სისტემა შეიძლება მომავალი პირველად მედიკო-სანიტარული დახმარების ნიმუშადაც კი გამოდგეს.

შეზღუდვებზეც არის სათქმელი, რომ ზოგიერთ ქვეყნებში, რაც აქ არ ყოფილა მოხსენებული, დაშვებულია რეცეპტზე გასაყიდი მედიკამენტების ინტერნეტით გაყიდვა. ეს ჩვენის აზრით, არაა მოსაწონი და არც მაგალითს არ ავიღებდით ამ ქვეყნებიდან. ბევრი ამტკიცებს, რომ ტექნოლოგიური რევოლუცია, ინტელექტუალური მომსახურეობა, ინტერნეტ-აფთიაქები, საცალო ფარმაცევტული ბიზნესის გამოწვევაა. მთელს მსოფლიოში აფთიაქს აქვს აღმავლობის თუ დაცემის პერიოდი, მაგრამ იგი თავისი უნარის წყალობით ამტკიცებს, რომ შეუძლია დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილება, რისთვისაც ღირს ავადმყოფებმა გადაიხადონ [3]. როგორც ვხედავთ, ყველა სააფთიაქო სისტემა სხვადასხვაგვარია, მაგრამ ჩვენ მათი განხილვით ვხდებით ინტეგრირებული.

მეცნიერთა მიერ გამოკვლეული იქნა ასევე პაციენტთა აზრი. 15 ქვეყნის 20 პაციენტის ჩატარებული ანკეტირებით და ლიტერატურული წყაროების ანალიზით დადასტურდა, რომ სააფთიაქო სისტემას ყველა ქვეყანაში აქვს ძლიერი მხარეები და აქვს საფრთხილო მომენტები, რომლებიც გასათვალისწინებელია. ძლიერ მხარეთა შორის დასახელდა – აფთიაქების მაღალი ხელმისაწვდომობა, წამლის უსაფრთხო და ეფექტური გავრცელება, პროფესიული კომპეტენციის მაღალი დონე, რაც აფთიაქებს გამოადგებათ შემეცნებითი მომსახურეობისათვის.

წყარო [5] ავითარებს იგივე მოსაზრებას, რომ აფთიაქები მიუხედავად ამ ძლიერი მხარეების ფლობისა, სათანადოდ ვერ იყენებენ მათდამი პაციენტის მაღალ მისაწვდომობას და ვერ აწოდებენ პაციენტებს ჯანდაცვის თუ სამედიცინო მომსახურეობის მრავალფეროვან სახეობებს.

ერთ-ერთ მახეს გამოკითხულთა აზრით, წარმოადგენს ის, რომ სააფთიაქო სისტემის როლი თუ არ ამალდა, აფთიაქები ორიენტირებული იქნებიან გაყიდვებზე და არა ჯანდაცვაზე. მეორე საფრთხეა აფთიაქის მხრიდან მოსახლეობის მიერ წამლისა და კოგნიტიური მომსახურეობის ხელმისაწვდომობაში უთანასწორობის რისკის წარმოშობა. ამასთანავე, ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ სააფთიაქო სისტემის განვითარება ემყარება ქვეყანაში არსებულ სისტემას - პოლიტიკურს, ეკონომიკურს, მონეტარულს, ტექნოლოგიურს, ეკოლოგიურსა და სხვ. აქედან გამომდინარე სააფთიაქო სისტემები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად ვითარდებიან რეგულირების პროცესის სხვადასხვაობის გამო.

ზოგიერთ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, აფთიაქების გახსნაზე შეზღუდვების ლიბერალიზაციამ (დერეგულირებამ), გამოიწვია დიდ ქალაქებში აფთიაქების რიცხვის ზრდა, ხოლო სოფლის ტიპის ადგილებში პირიქით - შემცირება. ეს არის მოსახლეობის ერთი ნაწილის დაჩაგვრა სამედიცინო მომსახურეობისა და წამლის მიღების საკითხში.

რესპონდენტთა აზრით, აფთიაქები საკმაოდ გაფართოებულ მომსახურეობას სთავაზობენ მოსახლეობას, როგორცაა: წამლის მიმოხილვა, სიგარეტის მწვეველობის მანებლობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროპაგანდა, რაც ეხმარება წამლით მკურნა-



ლობას და საზოგადოებრივ ჯანდაცვას. გამოკითხულებმა ასევე გამოთქვეს აზრი, რომ ფარმაცევტის როლი არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ამას თვლის ხელისუფლება და სადაზღვევო კომპანიები, რადგან ისინი აწოდებენ მოსახლეობას არა მარტო წამალს, არამედ მომსახურეობასაც.

და ბოლოს, ავთიაქებისათვის კანონმდებლობითი დერეგულაცია იწვევს ბევრი ახალ-ახალი ავთიაქის გახსნას და არყევს თითოეული ავთიაქის ეკონომიკურ მდგრადობას [5].

ავთიაქში ფარმაცევტული მომსახურეობის წესები დადგენილია ჯერ ISO-ს, შემდეგ FIP და WHO მიერ. ამ უკანასკნელებმა მომსახურეობის სტანდარტი ჩამოაყალიბეს და რეკომენდაცია გაუწიეს მსოფლიო ქვეყნებს, იგი მიეღოთ: ესაა - კარგი საავთიაქო პრაქტიკა - Good Pharmacy Practice (GPP) [6]. ამასთანავე საქართველოში შექმნილია დოკუმენტის პროექტი სახელწოდებით: წამლის ეროვნული პოლიტიკა [7].

მიუხედავად ზოგადად ქართული და ქართული ფარმაცევტული კანონმდებლობის მრავალრიცხოვანი ხარვეზებისა [8], საქართველოში არსებობენ საავთიაქო ქსელები, რომელთა მომსახურეობის სტანდარტი მსოფლიო სტანდარტია, ერთ-ერთი სანიმუშო ფარმაცევტული ქსელის ორ ასეულზე მეტი ავთიაქი საქართველოს მოსახლეობას გარანტირებული ხარისხის მედიკამენტებს, საავთიაქო ასორტიმენტის მრავალ სხვა საქონელს და მომსახურეობას სთავაზობს. ეს იყო „პირველი კომპანია, რომელმაც მომსახურეობის სტანდარტი შეიმუშავა და დანერგა მთელ ქსელში, ამავე მიზნით კომპანიაში მონიტორინგის სამსახური ფუნქციონირებს. კვალიფიკაციის ასამაღლებლად თანამშრომლებს მუდმივად უტარებენ სწავლებას... ტრენინგ-ცენტრის და მოწვეული სპეციალისტები. ...ავთიაქის სრული ქსელი ყოველწლიურად გადის საკონტროლო აუდიტს ხარისხის მართვის სტანდარტების უცხოელი სპეციალისტების მიერ. ... პირველი ფარმაცევტული ქსელია, რომელმაც წარმატებით გაიარა სასერთიფიკაციო აუდიტი, გერმანულმა სასერთიფიკაციო ორგანიზაციამ “TUV-Reinland/Berlin-Branderburg Group”-მა ... საავთიაქო ქსელს მიანიჭა ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციის (International Organization for Standardization) სერთიფიკატი ISO 9001:2000“ [9].

დასკვნა:

როგორც ვხედავთ, ევროკავშირის წამყვანი ქვეყნებისა და საქართველოს პრობლემები განუყოფელია, მაგრამ თავისი დარგობრივი მყარი რესურსების გამო ქართული ფარმაცევტული ბაზარი ვითარდება, ბიზნესი თავისი გზით მიდის, ხოლო მომხმარებელი და ფარმაცევტ-სპეციალისტები ვექტორისადმი იმედით მზერამიპყრობილი უკეთეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ ფარმაციასა და ავთიაქს.

საკვანძო სიტყვები: ფარმაცევტული მომსახურეობა, ავთიაქები ევროპის ქვეყნებში, GPP, Rx, OTC პრეპარატები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Original Victorian pharmacy recreated in full at the Science Museum. The Pharmaceutical Journal 13 DEC 2019. By Corrinne Burns. Available from: <https://www.pharmaceutical-journal.com/news-and-analysis/opinion/books-and-arts/original-victorian-pharmacy-recreated-in-full-at-the-science-museum/20207418.article>
2. VICTORIAN PHARMACY BBC - 'Complete Four Episodes' (full). Available from: <https://www.youtube.com/watch?v=jXnVTMzS3s>
3. John Chave. The Challenges we Share with Some EU Countries: what Can we Learn?. The Pharmaceutical



Journal (Royal Pharmaceutical Society Publication). 11 Feb. 2014. Available from:

<https://www.pharmaceutical-journal.com/the-challenges-we-share-with-some-eu-countries-what-can-we-learn/11134173.article?firstPass=false>

4. Pharmaceutical Regulation in 15 European Countries. Review. Available from: https://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0019/322444/HiT-pharmaceutical-regulation-15-European-countries.pdf?ua=1
5. Assessment of pharmacy systems in selected countries - Identification of literature and experiences December 2011. Available from: http://europharm.pbworks.com/w/file/fetch/53213512/Assessmentofpharmacysystems_WEB_samlet.pdf
6. Good Pharmacy Practice. Joint FIP/WHO Guidelines of GPP: Standards for Quality of Pharmaceutical Services. Available from: https://www.fip.org/files/fip/WHO/GPP%20guidelines%20FIP%20publication_final.pdf?fbclid=IwAR3pFDOZ-oKpBaa0pVDRTgKWTOw6eB19tjae68bXbmMgWVMnFQgOMvx73sQ
7. წამლის ეროვნული პოლიტიკა: პროექტი. ხელმისაწვდომია: https://www.medportal.ge/officialuri_informatia/reforma/Drug.policy.pdf
8. წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის აუდიტი. 2015 წ. ანგარიში. ხელმისაწვდომია: <https://sao.ge/files/auditi/efeqtianobis-angarishi/2015/wamlis-regulireba.pdf>
9. პე-ეს-პეს ავთიაქი. ხელმისაწვდომია: <https://psponline.ge/index.php?/PSPPharmacy.html>

PATIENT CARE: THE 21ST CENTURY PHARMACY VECTOR
NINO ABULADZE, NANA BARATASHVILI, TAMAR KILADZE, NINO BAKURADZE
Akaki Tsereteli State University
ABSTRACT

The study is a brief review and relies mainly on the analysis of literary data. It draws a parallel between the pharmaceutical service in Georgia and situation in the rest of Europe.

The aim of our investigation was to study patient services on the example of EU countries, to clarify the importance of legal, political, economic and other guideline Good Pharmacy Practice recommendations.

Of particular interest to us were the development of pharmacies in the UK, Germany, France, Spain, Belgium and other countries, the licensing system, the monopoly of pharmacies, the country's customs policy, the growth of pharmacy assortment and services, Legal aspects of possible involvement of pharmacist and therapist in prescribing OTC and Rx drugs. The above is closely related to Good Pharmacy Practice and pharmaceutical services in pharmacies.

Key words: patient care, pharmacies in EU, GPP, Rx, OTC.

თანამედროვე ფარმაცია
მეცნიერება და პრაქტიკა



თანამედროვე ბამოწვევები ფარმაციაში

ნ. ალავიძე, თ. კერტიანი, ნ. ბაკათაშვილი, ნ. ჩუბინიძე, ი. კიკვიძე
 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მედიცინის ფაკულტეტი

საკითხი ეხება ფარმაციაში არსებული თანამედროვე გამოწვევების განხილვას ზოგიერთი განვითარებული ქვეყნების მაგალითზე და მათი გამოყენების შესაძლებლობის მოსინჯვას ქართული ფარმაცევტული ბაზრის სინამდვილეში.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ლიტერატურის მიმოხილვა, განვითარებულ ქვეყნებში ფარმაციის თანამედროვე გამოწვევების შესახებ და მათი გამოყენების შესაძლებლობის მოსინჯვა ქართული ფარმაცევტული ბაზრის სინამდვილეში.

კვლევისათვის გამოყენებული იქნა ინფორმაციის მოძიების, განზოგადებისა და ანალიზის მეთოდები.

როგორც ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, 1. აშშ-ს მონაცემებით, გასულ წელს მზარდი კონკურენცია და საცალო სააფთიაქო ქსელების კონსოლიდაცია შეინიშნებოდა ქვეყნის მასშტაბით, სადაც დაახლოებით 67000 საცალო სააფთიაქო ადგილია, რაც ნიშნავს, რომ ეს აფთიაქები მუდმივად იბრძვიან უფრო მეტი პაციენტისთვის.

სააფთიაქო ქსელების ინსტიტუტის 2018 წლის ეკონომიკური ანგარიშის თანახმად, აშშ აფთიაქებისა და აფთიაქების მენეჯერების შესახებ, საცალო აფთიაქები რეცეპტებზე გასაყიდი მედიკამენტების სავარაუდოდ 47,4 %-ს ემსახურებიან. მიუხედავად ამისა, მათი რეცეპტით მიღებული შემოსავლის წილი მცირდება (2012 წელს 35.9 პროცენტიდან 2017 წელს 32.6 პროცენტამდე). ეს ნაწილობრივ გამოწვეულია ანაზღაურების გამოწვევების გაზრდით და ფარმაცევტული დარგის ინდუსტრიის სხვა ფაქტორებით. საცალო აფთიაქები ხშირად მიმართავენ კონსოლიდაციას.

იმავდროულად, საზოგადოებრივი აფთიაქის წილი მცირედით შემცირდა, თუმცა, შემოსავლები კვლავ იზრდება. შემოსავლების, ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ბაზრის წილის დასაცავად, საზოგადოებრივმა აფთიაქებმა ყურადღება უნდა მიაქციონ შემოსავლის ახალი წყაროების მოძიებასა და მომსახურების დივერსიფიკაციას. დივერსიფიკაციის სტრატეგიები შეიძლება შეიცავდეს:

- ჯანმრთელობის სკრინინგისა და ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარებას
- ვაქცინებისა და იმუნიზაციის შეთავაზებას (თუნდაც ნიშური მოგზაურობის ვაქცინაცია)
- ჯანმრთელობის გაუმჯობესების პროგრამების უზრუნველყოფას (მოწვევის შეწყვეტა, წონის მართვა და სხვა)
- ჯანმრთელობის ჰოლისტიკური ვარიანტების დაცვას (ეთერზეთები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები)
- პოპულარული ყოველდღიური პროდუქციის გაყიდვას, მომხმარებლების წახალისების მიზნით, „შეიძინონ მთელი მაღაზია“
- ჯანმრთელობის სკრინინგისა და ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარებას
- ვაქცინებისა და იმუნიზაციის შეთავაზება (თუნდაც ნიშური მოგზაურობის ვაქცინაცია)



➤ პოპულარული ყოველდღიური პროდუქციის გაყიდვა, მომხმარებლების წახალისების მიზნით, „შეიძინონ მთელი მაღაზია.“

2. სპეციალიზებული სააფთიაქო ბაზრის ზრდა წარმოადგენს საზოგადოებრივი აფთიაქების მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 24 პროცენტს, იუწყება წამალთა ქსელის ინსტიტუტი. და, როდესაც სპეციალიზებული აფთიაქი ყოველწლიურად ივსებს მოცულობას, გონივრულია, რომ დამოუკიდებელმა აფთიაქმა განიხილოს ამ სტრატეგიის დამატება მის მომსახურებებში [1, 2].

ამასთან, სპეციალიზირებულ აფთიაქების ბაზარზე შეჭრა არ არის რისკს მოკლებული და სპეციალური თერაპიის მზარდი კონკურენციის ფონზე, საზოგადოებრივმა აფთიაქებმა ძალზე მნიშვნელოვანია გააკეთონ რისკების გათვლა ამ ნაბიჯის გადადგმამდე. აფთიაქებმა უნდა გააკეთონ ბაზრისა და შესაძლებლობების საფუძვლიანი შეფასება, რათა უზრუნველყონ, რომ ეს ნაბიჯი მართლაც სიცოცხლისუნარიანია.

რამდენად იცის აფთიაქმა, რომ ეს არის სამიზნე ბაზარი? არის ეს ბაზარი სწორი და მზად არის სპეციალიზებული სააფთიაქო მომსახურებისთვის? იმის გამო, რომ სპეციალიზებული აფთიაქი მუშაობს აბსოლუტურად განსხვავებული ბიზნეს მოდელით, ვიდრე ტრადიციული აფთიაქი (და მოითხოვს ახალ ტექნოლოგიებს, პოლიტიკას, პროცესებსა და აკრედიტაციებს), არის თუ არა მზად სხვა აფთიაქები გამოწვევის მისაღებად?

3. ბრძოლა სწორი ტექნოლოგიური არჩევანის გაკეთების მიზნით

ექვგარეშეა, რომ ტექნოლოგიას შეუძლია და ეხმარება აფთიაქებს უფრო სიზუსტესა და ნაკლები შეცდომების დაშვებაში. URAC- ის თანახმად, საცალო ვაჭრობის აფთიაქების შესახებ 2018 წლის ანგარიშის თანახმად დღევანდელი ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს აფთიაქებს გააუმჯობესონ ხარისხის უზრუნველყოფა, შეამცირონ შეცდომები, გაზარდონ პაციენტის პირდაპირი და პასიური დაცვა, მოახდინონ პოტენციურად საშიში მედიკამენტების ურთიერთქმედების გათვლა და პაციენტების მედიკამენტების სინქრონიზაციაც კი, ბიზნესის უფრო შეუფერხებლად წარმართვის მიზნით.

სხვადასხვა ტექნოლოგიები სხვადასხვა მიზნებს ემსახურება. მაგალითად:

- ავტომატიზაცია და რობოტული ტექნოლოგიები - მომსახურების გაუმჯობესებას
- დაცვისა და შეფუთვის ტექნოლოგიები - წამლის ვარგისიანობის ვადებს
- ელექტრონული რეცეპტების შევსების ტექნოლოგიები - მომსახურების სისწრაფეს და ხარისხს
- სააფთიაქო მენეჯმენტის პროგრამული უზრუნველყოფის ტექნოლოგიები - აფთიაქის მართვის გაუმჯობესებას

4. ბლოკირებები პროვაიდერის სტატუსის მისაღწევად

პროვაიდერის სტატუსი არის ფარმაცევტების საკანონმდებლო მოლიპული გზა და ის ხშირად ახდენს გავლენას მომსახურების გაწევაზე.

ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც დამოუკიდებელმა ფარმაცევტებმა უნდა განაგრძონ დაკვირვება და მხარდაჭერა.

5. თანამშრომლობის პრაქტიკის შეთანხმებების უზრუნველყოფა

თანამშრომლობა საზოგადოების ჯანდაცვის სხვა პროვაიდერებთან არის კარგი სტრატეგია. CPA-ს (CPA - სერტიფიცირებული სპეციალისტი) პრაქტიკისთვის, ხომ არ ჯობია აპ-



ლიკანტს ჰქონდეს ლიცენზია იმ შტატში, სადაც იმუშავებს. ლიცენზირების კვალიფიკაციის მისაღებად ნებისმიერ შტატში, მათ უნდა ჩააბარონ ერთიანი CPA გამოცდა. CPA გამოცდაზე გასასვლელად უნდა ჰქონდეთ ბაკალავრის დიპლომი და დოკუმენტირებული სამუშაო გამოცდილება. საზოგადოებრივი აფთიაქი და სხვა პროვაიდერი ოფიციალურად განსაზღვრავს, თუ რომელი პაციენტის მოვლა შეუძლია ფარმაცევტს, ტიპური პრაქტიკის მიღმა. რატომ არის ეს გამოწვევა?

URAC (URAC ახდენს მთელი დარგის აკრედიტაციასა და სეტიფიკაციას და გამოავლენს ხარისხის დონეს). CPA– ს მიღწევას უფრო მეტად სჭირდება მართონი, ვიდრე სპრინტი. ფარმაცევტის მხრიდან კომუნიკაცია, ნდობა და სანდობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ექიმებთან ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და აღზრდისთვის, რომლებიც არღვევენ პასუხისმგებლობას და კონტროლს.

6. მოგების შემცირება

რა სტრატეგიებს იყენებდა თქვენი აფთიაქი გასული წლის გამოწვევების დასაძლევად? მზად ხართ ახალი წლისთვის? თქვენი მიდგომა ან სტრატეგია სხვაზე მეტად სასარგებლოა? რომელმა მცდელობამ მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა? როგორ ისარგებლა თქვენს აფთიაქმა, თუ არ ისარგებლა თქვენს მიერ განხორციელებული ინიციატივებით?

მიუხედავად იმისა, რომ აფთიაქი ყოველწლიურად სხვადასხვა გამოწვევებს ატარებს, ხელმისაწვდომი ფასი კვლავ რჩება სიის სათავეში.

ქვემოთ ჩამოთვლილია ექვსი ყველაზე მთავარი გამოწვევა:

- წამლის ხელმისაწვდომობა
- ოპოიდური კრიზისი
- სამედიცინო / სააფთიაქო პრიორიტეტების გამოყოფა
- წამლის დეფიციტი.
- რეგულაციების სიმრავლე
- ტექნოლოგია.

სასურველია ფარმაცევტებმა იმუშაონ პაციენტებისთვის უსაფრთხო გარემოში, მაგრამ ამისათვის ბიზნეს-მოდელი არ არსებობს. ბევრია პროდუქტი და ტექნოლოგია, რამაც შეიძლება პრობლემები გამოიწვიოს

უფრო მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს ტექნოლოგიაზე და უფრო მეტი სიფხიზლეა საჭირო შეცდომები არ იქნას დაშვებული, ახალ წამლებზე უნდა მიეწოდოს მართალი ინფორმაცია, რადგან ზოგჯერ წერილობითი ინფორმაცია არაა ხელმისაწვდომი [2,3].

დასკვნა: ჩვენ უნდა ვიცოდეთ და შეიძლება გავიზიაროთ ეს გამოცდილებები და მოვახდინოთ იმპლემენტაცია ქართულ რეალობაში, რაც მომავალში დაგვეხმარება აფთიაქის რეალიზაციის ზრდაში, აფთიაქის გაფართოებაში და ფინანსების ყაირათიან გამოყენებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mark Mechelse. Community pharmacy and retail taking on new role. Chain Drug Review. September 4, 2018. Available from: <https://www.chaindrugreview.com/community-pharmacy-and-retail-taking-on-new-role/>
2. Adam J. Fein. The 2018 Economic Report on U.S. Pharmacies and Pharmacy Benefit Managers. Drug Channels Institute. February 2018. Available from: <https://drugchannelsinstitute.com/files/2018-PharmacyPBM-DCI-Overview.pdf>



3. URAC: Retail Community Pharmacies: Adapting and Innovating to Succeed in a Turbulent Marketplace. June 4, 2018. Available from: <https://www.urac.org/publications/retail-community-pharmacies-adapting-and-innovating-succeed-turbulent-marketplace>

MODERN CHALLENGES IN PHARMACY

Nato Alavidze, Tamar Pertaia, Nana Baratashvili, Natia Chubinidze, Irma Kikvidze
Akaki Tsereteli State University. Faculty of Medicine

ABSTRACT

The issue concerns the discussion of modern challenges in pharmacy on the example of some developed countries and opportunity to share this experience in the pharmaceutical marketplace of Georgia.

თანამედროვე ფარმაცია
მეცნიერება და პრაქტიკა



ANALYSIS OF THE RANGE OF MEDICINAL PRODUCTS FOR THE TREATMENT OF HERPES INFECTION, WHICH ARE PRESENTED ON THE PHARMACEUTICAL MARKET OF UKRAINE

CHYHYRYNETS Ya.V., KRYKLIVA I.O.

National University of Pharmacy, Department of Industrial Technology of Drugs, Kharkiv, Ukraine

A marketing study of the Ukrainian market of medicinal products (MP) used in the treatment of herpes infections has been carried out. As a result of the analysis, the relationship between domestic and foreign manufacturers has been established. The structure of MP by country of manufacture, composition, form of release has been studied. Thus, the analysis of the range of antiherpetic drugs in the pharmaceutical market of Ukraine indicates the domination of imported drugs of local action. Therefore, the development of new combined drugs for the treatment of herpetic infections in the form of medicated films is an urgent task.

Introduction. Herpesvirus infections are among the most common human viral diseases. According to the WHO, diseases associated with the herpes simplex virus are second (15.8%) after influenza (35.8%).

Despite the fact that considerable time has passed since the identification of herpesvirus nosologies and significant advances in the treatment process of both the underlying pathology and its complications have been made, there is a number of reasons that make the treatment of herpesvirus infections (HVI) relevant [4].

One of the problems of dermatology and pharmacy is the creation of rational products for the treatment of herpes. In particular, the priority is protection of the affected surface, necessary for effective control of pain and the development of secondary infection.

Dosage forms that are currently used to treat herpes are not effective enough due to the inability to ensure a constant concentration of drugs on the affected surface, the short duration of contact, the duration of treatment [1].

A fundamentally new method of treating herpes is the use of medicinal films based on soluble polymers. This dosage form is the most promising alternative to traditional drugs for the treatment of herpes, as they allow depositing the active pharmaceutical ingredients at the site of application, provide accurate dosing, stability, and high therapeutic efficacy.

Besides, they provide good protection of the affected area from external factors, are well modeled on the wound surface, laying close to it, provide the necessary vapor exchange, and are well fixed on the affected area [3].

Aim. Analysis of the market of MP for the treatment of herpes, justification of the feasibility of medical films creation.

Materials and methods. The analysis of the range of antiherpetic drugs was carried out during 2020 according to the information and search system "Morion", which allows analyzing the range of medicinal products. Comparisons and marketing research methods were also used.

Results. We have carried out an analysis of the market of drugs for the treatment of herpes registered in Ukraine, based on the data of pharmacological reference books, using the State Register of Medicinal Products and the Compendium.

According to the research, it has been found that in the pharmaceutical market of Ukraine there is the following situation - domestic drugs account for 44% and foreign 56%. Foreign drugs were mainly



represented by manufacturers from Belgium, Great Britain, Poland, Croatia, and India. The data are shown in Figure 1.




Figure 1. Analysis of the structure of drugs for the treatment of herpes presented on the pharmaceutical market of Ukraine.

According to Figure 2, monocomponent preparations account for 95%, and combined ones make only 5% of all drugs on the market.




Figure 2. Distribution of drugs by composition.

In herpes of the skin and mucous membranes use drugs for external application, which help reduce clinical manifestations at the site of the lesion, accelerate epithelialization and reduce the time of removal of the virus from the lesion.

The results of the analysis of the distribution of drugs by type of dosage form have shown that in Ukraine drugs for the external treatment of herpes infection (HI) are registered in different dosage forms (DF) - semisolid, liquid and solid, with semisolid products predominating (88.5%) [2].

Among semisolid medicinal products predominate creams (their share among all drugs is 46.2%), the share of drugs in the form of ointments is 34.7%, gels, and liniments - 3.8%, lip balms and pencils have been found in single — as a development, and such a dosage form as medicinal films is not available at all [2].

Conclusions. Carrying out the analysis of the pharmaceutical market of drugs for the treatment of herpetic lesions, it was found that the combined drugs are insignificant, and the range of phytopreparations and drugs containing combinations of active pharmaceutical ingredients of synthetic



and herbal origin is limited, which confirms the feasibility of domestic combined treatment for this ailment.

References

1. Andrashko, Yu. V. New aspects in understanding the course of herpetic skin diseases and effective topical therapy [Text] / Yu. V. Andrashko, TI Checherska, GM Koval // Ukrainian Journal of Dermatology, Venereology, and Cosmetology. - 2013. - Issue 1. - P.129-133.
2. Babiy O.V. Analysis of the range of drugs for external treatment of herpes infection, represented in the pharmaceutical market of Ukraine. / O.V Babiy, K.F Vashchenko // Ukrainian Medical Almanac. - 2012. - Vol. 15, Issue 5 (appendix). - P.19-21.
3. Veretennikova, M.A Modern pharmacotherapy of herpes using various dosage forms / MA Veretennikova // Pharmaceutical Sciences. –2014. –Issue 8. - P. 1630 - 1634.
4. Savychuk N.O Preventive and anti-relapse therapy of the oral mucosa and lips diseases associated with herpes viruses // Modern dentistry. - 2011. - Issue 5. - P. 35–38.

ჰერპესული ინფექციის სამკურნალო მედიკამენტების სპექტრის ანალიზი, რომლებიც წარმოდგენილია უკრაინის ფარმაცევტულ ბაზარზე
ჩიჰირინეც ი. ვ., კრიკლივა. ი. ო.
ფარმაციის ეროვნული უნივერსიტეტი, წამალთა სამრეწველო ტექნოლოგიის დეპარტამენტი, ხარკოვი, უკრაინა
რეზიუმე

ჩატარდა ჰერპესული ინფექციების სამკურნალო მედიკამენტების უკრაინის ბაზრის მარკეტინგული კვლევა. ანალიზის შედეგად დადგინდა, ურთიერთკავშირი ადგილობრივ და უცხოელ მწარმოებლებს შორის. მწარმოებელი ქვეყნების მიხედვით შესწავლილი იქნა სამკურნალო პროდუქტების სტრუქტურა, შემადგენლობა, გამოშვების ფორმები. ანტიჰერპესული მედიკამენტების სპექტრის ანალიზმა დაადგინა იმპორტირებული წამლების დომინირება ადგილობრივ ბაზარზე. ამრიგად, უკრაინაში ჰერპესული ინფექციის სამკურნალო კომბინირებული ახალი წამალთ-ფორმების შექმნა გადაუდებელი ამოცანაა.

თანამედროვე ფარმაცია
მეცნიერება და პრაქტიკა



DIRECTION 4. NEW MEDICAL MATERIALS IN PHARMACY AND MEDICINE
მიმართულება 4. ახალი სამედიცინო მასალები ფარმაციაში და მედიცინაში

**THE USE OF ULTRASOUND THERAPY IN THE PRACTICE OF A
COSMETOLOGIST**

BASHURA A.G., BOBRO S.G., KRAN A.S., MIRGOROD V.S., PERETYATKO A.A.
National University of Pharmacy, Kharkiv, Ukraine

Currently, ultrasound therapy is widely used in the arsenal of cosmetic institutions. The ultrasonic effect on the skin of the face stimulates the hydration of the epidermis, activates the synthesis of own collagen fibers in the dermis and skin turgor, activates the work of the microvasculature. In beauty salons, ultrasonic peeling and ultraphonophoresis are most often used.

Modern cosmetology uses the latest methods in a reasonable combination, achieving high aesthetic results. Physical factors can have a fairly strong effect on the body, little comparable to the effect of cosmetics and manual massage.

It is, first of all, a powerful irritant of nerve receptors, which are contained in excess in the epidermis, to a lesser extent in the dermis, significantly represented in muscle tissue and are almost absent in adipose tissue. Physical factors are artificially created, but the mechanism of action is similar to the factors of the natural environment: electric current, ultrasound, vacuum action, vibrations, ultraviolet and infrared radiation, electromagnetic laser waves. The most important mechanism of a physical factor's impact on the human body is the introduction from the external environment of the energy of this impact on a biological object [3, 5].

Ultrasonic waves are mechanical vibrations of a medium with a frequency over 20,000 Hz. Ultrasound increases the physiological lability of nerve centers, peripheral nerve conductors, eliminates spasms of smooth muscle elements of the skin and blood vessels, and parabiosis of excitable tissues. Due to an increase in the conductivity of nerve conductors, the reticular formation, the hypothalamic-pituitary, and limbic systems and the higher centers of the parasympathetic nervous system are activated. Besides, ultrasound increases the physiological lability of the nerve centers, eliminates the spasm of smooth muscle elements of the skin and blood vessels, and parabiosis of excitable tissues [1, 4].

Under the influence of pulsed ultrasonic exposure with small doses, tissue renewal occurs, which is morphologically expressed in an increase in the number of young cellular elements with well-developed protoplasm, a relative increase in the number of elastic fibers, an increase in the number of phagocytes, mast cells, and DNA in tissues.

Medicinal phonophoresis is a combined effect on the body of ultrasonic vibrations and medicinal and nutrient substances introduced with their help. Due to the significant radiation pressure of ultrasound (reaching 10 Pa), molecules of medicinal substances acquire greater mobility and move deep into the tissues. The increase in skin permeability and histohematogenous barriers caused by ultrasound creates favorable conditions for the penetration of drug molecules [2, 3, 7].

